

ვაცტანგ როდონეია  
ავთანდილ არაპული

ნინო ნაკუდაშვილი  
მარინე ხუციშვილი

## ქართული ენა და ლიტერატურა

V კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფებითი გულია საქართველოს განათლებისა  
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს



2018

ქართული ენა და ლიტერატურა  
V კლასის გასწავლებლის ნიგნი



ავტორები:  
ვახტანგ როდონაია  
ნინო ნაკუდაშვილი  
ავთანდილ არაბული  
მარინე ხუციშვილი

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა ქეთევან გოგავა

© „სწავლანი“, 2018 წელი. პირველი გამოცემა  
გამომცემლობა „სწავლანი“  
მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 39  
ტელ.: 2 36 91 85  
[www.stavlani.ge](http://www.stavlani.ge)

ISBN 978-9941-9548-3-2

V. Rodonaia, N. Nakudashvili, A. Arabuli, M. Khuchishvili  
GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE 5  
Teacher's book  
First Edition, 2018  
Published by STSAVLANI Publishing

## შ ი ნ ა რ ს ი

### 1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

შესახალი .....	5
საგნის სწავლების მიზნების, ამოცაების, სტანდარტის შედეგებისა და სახელმძღვანელოს შინაარსის ურთიართყავშირის რუკა (მატრიცა) .....	6
სპეციფიური საგნობრივი უნარების განვითარება.....	13
მოსწავლაზე ორიანეტირებული სწავლების სტრატეგიები	
სახელმძღვანელოში .....	20
მოსწავლის შეფასების პრინციპები .....	21

### 2. ინფორმაცია მოსწავლის ჩვეულება და ნიგნის შესახებ

აგების პრინციპები .....	34
-------------------------	----

### 3. მასწავლებლის ნიგნის პრაქტიკული ნაირი

კომანდარები ენის ნაირის თითოეულ სტრუქტურულ ელემენტზე .....	35
სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგენერის ზოგადი პრინციპები .....	84
საინიციატიული გაკვეთილების სცენარები .....	85

### 4. მასწავლებლის ნიგნის დასკვნითი ნაირი

სახელმძღვანელოში მოცამული ზოგიერთი ენობრივი	
სავარჯიშოს პასუხი .....	102
ლექსიკური და გრამატიკული მასალის ცოდნის	
შესამომავალი ტესტები .....	106
მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები .....	117



# 1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

## შესახები

V კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლებისთვისაა განკუთვნილი.

სახელმძღვანელო ოთხი ერთეულისაგან შედგება. ესენია: ლიტერატურის ნაწილი, ენის ნაწილი, ენობრივი სავარჯიშოების რვეული და მასწავლებლის ნიგნი.

ლიტერატურის ნაწილში წარმოდგენილი სასწავლო მასალა დაყოფილია თავებად თემატური პრინციპის მიხედვით.

სახელმძღვანელოს ეს ნაწილი შედგება შვიდი თავისაგან. ესენია:

1. გოგონები და ბიჭები
2. დედა, მშობლიური გარემო
3. სახელმოვანი წინაპრები
4. შოთა და საბა
5. რა ხდება ზღაპარში?
6. ადამიანი და ბუნება
7. პირისპირ

ენის ნაწილი დაყოფილია შემდეგ თავებად:

1. ენა და ადამიანი
2. მშენებელი ბგერები
3. ენის სალარო
4. აზრი და წინადადება
5. სიტყვათა კლასები

ეს თავები, თავის მხრივ, იყოფა პარაგრაფებად.

ენობრივი სავარჯიშოების რვეულის მონაკვეთებიც ამ პარაგრაფებს მიჰყება. იშვიათად, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სახელმძღვანელოს პარაგრაფს რვეულში შესაბამისი დავალება არ მოსდევს; ეს იქ, სადაც ჩავთვალეთ, რომ წიგნის სავარჯიშოებიც საკმარისი იყო.

ჩვენი სახელმძღვანელოს შინაარსის კავშირი საგნის სწავლების მიზნებთან და ამოცანებთან, აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან ქვემოთ არის წარმოდგენილი.

**საგნის სფეროს სფეროს მიზანის მიზანი და მოვლენები  
სახელმწიფო მინისტრის მიზანის ურთიერთობა კავშირის რეცეპტის ფაზა (მათლიცა)**

<p><b>სწავლების შენარჩინი</b></p>	<p>სწავლების მიზანი და მოვლენები</p>	<p>სასწავლო დროის მოცულობა</p>	<p>შესაბამისობას სტანდარტის შეღებებთან</p>
<p><b>ლიტერატურა</b></p> <p><b>I თავი. გოგონები და ბიჭები</b></p> <p>ეთერი — რ.ინანიშვილი;</p> <p>ნისლი ზმორებით ადგა მიწიდან — გ.ნიშნავანიძე;</p> <p>უცულია დაჭრილი — რ.ინანიშვილი;</p> <p>ფეხვეშ გათლა შემოდგომაშ ხეჭქჭურები — ქ.ნიშნანიძე;</p> <p>მირანდუხტ — რ.ინანიშვილი;</p> <p>განელებული კოცონი — გ.ბუთხუზი;</p> <p>კაცალ მაშინ ხარ საქები — ი.ჭავჭავაძე;</p> <p>შრომით და სიმამაცით — ხალხური.</p>	<p>ასაკის შესაფერისი ტექსტების მოსმენის, წაკითხვისა და ინტერარეტაციის უნარის გამომუშავება;</p> <p>კითხვის სტრატეგიების გამომუშავება (წინასაწირო დაკვირვება სათაურზე, ილუსტრაციებზე);</p> <p>ტექსტთან დაბლოგის უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>მთავარი აზრის ამოცნობისა და ტექსტის დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>ნარმოსახვის უნარის გამომუშავება;</p> <p>მოცემული გეგმის (ჩარჩოს) მიხედვით ტექსტის შექმნის უნარის გამომუშავება;</p> <p>სიტყვაზე დაკვირვების უნარის გამომუშავება;</p> <p>ენის როლის გაცნობირება ადამიანის ცხოვრებაში;</p> <p>ადამიანის ენის სპეციფიურობის გაცნობირება;</p> <p>არავერბალური სიგნალების როლის გაცნობირება;</p> <p>ქართული ენის სტატუსის გაცნობირება.</p>	<p>დაახ. 27 აკად. საათი</p>	<p>ქართ.დაწყ. (II) 2,3,6,7,9,10, 11, 12</p>
<p><b>II თავი. ენა და ადამიანი</b></p> <p>ენის როლი ადამიანის ცხოვრებაში;</p> <p>ადამიანის ენა და ცხოველთა სიგნალები;</p> <p>სიგნალები ჩვენი ირგვლივ;</p> <p>ქესტი და მიმიკა;</p> <p>რამდენი ენაა მსოფლიოში?</p> <p>ქართული ენა.</p>			

<p><b>ლიტერატურა</b></p> <p><b>II თავი. დელა, მშობლიური გარემო</b></p> <p>იავნანაძ რა ჰერნა — ი.გოგებაშვილი;</p> <p>იავნანა — ხალხური;</p> <p>ჩვენი ქართული... — ი.ნონეშვილი;</p> <p>ჩემი თავგადასავალი — აკ.წერეთლი;</p> <p>დელა — ა.შენგელია;</p> <p>დელას — გ.ლეონიძე.</p> <p><b>III თავი. მშენებელი ბეჭერები</b></p> <p>ბეგრები და ასოები;</p> <p>როგორ ნარმლიქმნება ბეჭერები;</p> <p>ხმოვნები და თანხმოვნები;</p> <p>ბეგრები და სიტყვები;</p> <p>მარცვალი;</p> <p>ფამარცვლა და სიტყვის გადატანა.</p>	<p>ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება (გეგმის შედგენა);</p> <p>შინაარსის ვრცლად და მოკლედ გაღმოცემის უნარ-ჩვევების გამომუშავება;</p> <p>ტექსტების შედარებითი ანალიზის უნარის გამომუშავება;</p> <p>ტექსტის თემისა და იდეის ამოცნობის უნარის გამომუშავება; საკუნძო სიტყვების ამოცნობის უნარის გამომუშავება;</p> <p>წერითი მეტყველების უნარის განვითარება (შინაარსის გადმოცემა საკვანძო სიტყვებზე დაყრდნობით);</p> <p>სიტყვაზე მუშაობის უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>სიტყვის ბეგრით შედგენილობაზე დაკვირვება;</p> <p>ხმოვნებისა და თანხმოვნების როლის გაცნობიერება;</p> <p>წერილობითი კონვენციების (სიტყვის დამარცვლა და გადატანა) ნეუბის გაცნობა.</p>	<p>დაახ.35 აკად. საათი</p> <p>1,2,3,6,7,8,9, 10, 11, 12</p>	<p>ქართ.დაწყ.(II)</p>
---	--	---	-----------------------

<b>ლიტერატურა</b> <b>III თავი. სახელოვანი ნინაპრები</b>	<p>ტექსტების შედარებითი ანალიზის უნარ-ჩვევის განვითარება;</p> <p>გახტანგ მეფე — სალხური; გახტანგ მეფე — შ.ნიშნავანიძე; თამარის დროშა გამალეს — გრ.ორბელიანი;</p> <p>ნიკოლოზ გოსტამაბიშვილი — ი.ჭავჭავაძე; მტრის ძლევა — ი.ჭავჭავაძე;</p> <p>ასეთი დარი თუ იყო მაშინ — აკალანდაძე; თბილისი — ო.ჭილაძე;</p> <p>კრწანისის ყაყაჩოები — ლ.ასათანი; სიზმინი — აკ.ნიკორთელი;</p> <p>ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი — უკნობი ავტორი;</p> <p>ვაჟა-ცხა გული რენისა — ხალხური; კილევაც დაიზრდებან — ხალხური.</p>	<p>ტექსტების შედარებითი ანალიზის უნარ-ჩვევის განვითარება;</p> <p>შხალვრულ სიტყვაზე დაკვირვების უნარ-ჩვევის განვითარება;</p> <p>ლიტერატურული ნანარმოების ესთეტიკური შეფასების საწყისი უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>მოცულებულ თემაზე თხზულების ნერის უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>სიტყვაზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>სიტყვის შერჩევის უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>სიტყვათა ნარმოქმნაზე დაკვირვების უნარის გამომუშავება;</p> <p>რთული სიტყვების მართლწერის სწავლება.</p>	<p>დაახ. 25 საათი</p> <p>ქართ. დაწყ. (II). 1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12</p>
--	---	---	---

### ენა III თავი. ენის სალარი

სიტყვა; სიტყვის მნიშვნელობა;  
სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით;  
სინონიმები; სინონიმების შერჩევა;  
სინონიმთა შერწყმა; ანტონიმები;  
სიტყვათა ნარმოქმნა; რთული სიტყვების მართლწერა.

<p><b>ლიტერატურა</b></p> <p><b>IV თავი. შოთა და სახა</b></p> <p>ამბავი როსტევან არაბთა მეფისა — შოთა ლუსთაველი (ფრაგმენტი);</p> <p>უსამართლო შიორვან-შაპი; მეცე და ავსიტ- ყვა; ორმოში ჩაგდებული მეფე; ენით დაკო- დილი; უტკბესი და უძრალესი — სულხან- საბა რობელიანი.</p> <p><b>ენა</b></p> <p><b>IV თავი. აზრი და წინადაღება</b></p> <p>წინადაღების ინტონაციასა და სასვენ ნიშნებზე</p> <p>მუშაობა;</p> <p>წინადაღების წევრების ამოცნობაზე მუშაობა;</p> <p>მარტივი და რთული წინადაღების შედევნაზე მუშაობა;</p> <p>სრული და უსრული წინადაღების სტრუქტურისა მოც- ნობაზე მუშაობა;</p> <p>ერთგვარნევრებიანი წინადაღების სტრუქტურის გაცნობა.</p> <p>სხვათა სიტყვა;</p> <p>წინადაღების ნარმოთქმა და სასვენი ნიშნები</p>	<p>ტექსტების ესთეტიკური ალქმისა და ინტერპრეტაციის უნარის გამომუშავება;</p> <p>პერსონაჟების დახასიათების უნარის გამომუშავება;</p> <p>ნანარმობის დედაზრის ამოცნობის უნარის გამო- მუშავება;</p> <p>ნანარმობის სტრუქტურაზე დაკვირვების უნარის გამო- მუშავება;</p> <p>წინადაღების ინტონაციასა და სასვენ ნიშნებზე</p> <p>მუშაობა;</p> <p>წინადაღების წევრების ამოცნობაზე მუშაობა;</p> <p>მარტივი და რთული წინადაღების შედევნაზე მუშაობა;</p> <p>სრული და უსრული წინადაღების სტრუქტურისა მოც- ნობაზე მუშაობა;</p> <p>ერთგვარნევრებიანი წინადაღების სტრუქტურის გაცნობა.</p> <p>საათ. 15</p> <p>საათი.</p>
--	---

<p><b>ლიტერატურა V თავი. რა ხდება ზღაპარში?</b></p> <p>პატარა დინოზაფრი — გ.პეტრიაშვილი პეპელა — გ.პეტრიაშვილი</p> <p><b>ენა V თავი. სიტყვათა კლასები</b></p> <p>სიტყვათა ძირითადი კლასები ანუ მეტყველების ნაწილები;</p> <p>არსებითი სახელი;</p> <p>არსებითი სახელის ჯგუფები;</p> <p>პრუნება;</p> <p>ფუძე და პრუნვის ნიშანი;</p> <p>ფუძის ცვლილება ბრუნების დროს;</p> <p>მრავლობითის ნარმლება.</p>	<p>ტექსტების შედარებითი ანალიზის უნარ-ჩვეულების გამომუშავება;</p> <p>ტექსტის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვეულების გამომუშავე- ბა;</p> <p>უანრის სპეციფიკის ამოცნობის უნარ-ჩვეულების განვითა- რება;</p> <p>პერსონაჟის დახასაიათების უნარის განვითარება;</p> <p>ნარმლსახვის უნარის განვითარება;</p> <p>სიტყვის ფორმაციულებაზე დაკვირვების უნარის გამო- მუშავება;</p> <p>არსებითი სახელის პრუნებაზე მუშაობა;</p> <p>მრავლობითი რიცხვის ფორმანარმობის გაცნობა.</p>	<p>დაახ. 14 საათი</p> <p>დაახ. 14 კართ. დაწყ. (II).</p> <p>1,2,3,4,5,6,7, 8,9,10,11,12</p>
--	---	--

<b>ლიტერატურა VI. ადამიანი და ბუნება</b>	<p>ტექსტების შედეარებითი ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარის გამომუშავება; სიტყვაზე დაკვირვების უნარის გამომუშავება;</p> <p>მხატვრულ სახეზე დაკვირვების უნარის გამომუშავება;</p> <p>წერითი მეტყველების უნარის განვითარება (ჩარჩოს მიხედვით თხზულების დაწერა);</p> <p>თანდებულებისა და მათი დანიშნულების გაცნობა;</p> <p>ზედსართავი სახელის ფუნქციის გაცნობა;</p> <p>რიცხვითი სახელის ფუნქციის გაცნობა;</p> <p>ნაცვალსახელის ფუნქციის გაცნობა.</p>	ლაპ. 17 საათი	ქართ. დანკუ. (II).
--	--	------------------	-----------------------

<b>ლიოტერატურა</b> <b>VII თავი. პირისპირ</b>	<p>ტექსტების შედარებითი ანალიზისა და ინტერპრეტა- ციის უნარის გამომუშავება;</p> <p>ტექსტის დედამიწის ამოცნობის უნარის განვითარება;</p> <p>პერსონაჟის შედარებითი დახასიათების უნარის გან- ვითარებაზე მუშაობა;</p> <p>წერილი მეტყველების უნარ-ჩვევის განვითარება; (თხზულების შექმნა მოჯეობულ თემაზე);</p> <p>ზმნის და პირის გრამატიკული კატეგორიების გაცნობა და მათზე მუშაობა.</p> <p><b>ენა</b> <b>V თავი. სიტყვათა კლასები</b> (გაგრძელება)</p> <p>ზმნა;</p> <p>მოქმედების და მოქმედი პირები;</p> <p>აქტივი და პასივი;</p> <p>ზმნიზედა.</p>	15 საათი	ქართ.დანგ. (II).
---	--	----------	---------------------

ვფიქრობთ, ეს მატრიცა დაეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. მასში კარგად ჩანს, როგორ უნდა წარიმართოს პარალელურ რე-ჟიმში ენისა და ლიტერატურის სწავლება. ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი საათების ზუსტ განაწილებას, ვინაიდან ეს ადგილზე გადასაწყვეტი ამოცანაა და ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის კლასში მოსწავლეების რაოდენობაზე და მათი მზაობის დონეზეც. თავისუფალი საათები (გაუნაწილებელი დარჩა დაახ. 25 საათი) მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შემაჯამებელი სამუშაოებისა და სხვა აქტივობებისათვის.

ქვემოთ ჩვენ ვისაუბრებთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის სპეციფიკაზე საგნის სწავლების პროცესში; სპეციფიკურ საგნობრივ უნარებზე, რომლებზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს საგნის სწავლებისას; მოსწავლის შეფასების პრინციპებზე. განვმარტავთ სახელმძღვანელოს თავისა და პარაგრაფის აგებულებას. წარმოგიდგენთ სამოდელო გაკვეთილებს.

გარდა ამისა, შემოგთავაზებთ კომენტარებს ენის ნაწილის თითოეულ პარაგრაფზე, ვინაიდან ენა ამ სახით (ცალკე გამოყოფილ მონაკვეთად) წინა წლებში არ ისწავლებოდა და ეს მასწავლებლისათვის გარკვეული სიახლეა.

როგორც ენის, ისე ლიტერატურის მასალის პრეზენტაციის დროს სახელმძღვანელოს ავტორები ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს.

## სპეციფიური საგნობრივი უნარების განვითარება

სახელმძღვანელოს ავტორთა კონცეფციის თანახმად, ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი ხელოვნების გაკვეთილი უნდა იყოს და მისი კანონების მიხედვით აიგოს. ენისა და ლიტერატურის სწავლება უნდა ვაქციოთ ძალდაუტანებელ, ბუნებრივ საქმიანობად, რომელიც შეესატყვისება დაწყებითი სკოლის მოსწავლის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს.

ჩვენი აზრით, უმთავრესი მიზეზი, რის გამოც თანამედროვე ბავშვს კატეგორიულად არ უნდა კითხვა, ისაა, რომ იგი უარს ამბობს აკეთოს ის, რაც არ მოსწონს. რამდენიც უნდა ვარწმუნოთ იგი, რომ კითხვა აუცილებელია, ამაო იქნება, სანამ არ ვუჩვენებთ, რომ კითხვა სიხარულის, ბედნიერების წყაროა.

## რატომ ვერ ღებულობენ სიამოვნებას ბავშვები კითხვისგან

I. თანამედროვე ბავშვისთვის კლასიკა ისეთივე გაუგებარია, როგორც უცხო ენაზე დაწერილი ტექსტი. მოწაფეებს საყველპურო სიტყვების მნიშვნელობაც კი არ ესმით. ამ პრობლემას ვერ წყვეტს სალექსიკონო მუშაობაც, რადგან ეს სიტყვები არ აქტიურდება მათ მეტყველებაში და, შესაბამისად, დავინყებას მიეცემა ხოლმე. მასწავლებელი ვერაფრით შეუცვლის ბავშვს სამეტყველო გარემოს შინ, ქუჩაში...

ვერც წერითი დავალების გამარტივება და ნაკლების მოთხოვნა უშველის საქმეს. მოსწავლეებს არ შეუძლიათ და არც უნდათ მკაფიოდ გამოთქვან თავიანთი აზრები და გრძნობები. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ქართული ენის სწავ-

ლება საკომუნიკაციო ხასიათს არ ატარებს. გაკვეთილებზე ენა არ აღიქმება, როგორც ურთიერთობის საშუალება. მოწაფეებს მიეწოდებათ მხოლოდ მეცნიერება ენის შესახებ. განყენებული, კონტექსტიდან ამოგლეჯილი გრამატიკული სავარჯიშოები მოსწავლეს ენობრივ ალლოს ვერ განუვითარებს და ვერც ლექსიკურ მარაგს გაუმდიდრებს. ამისთვის საჭიროა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ძალისხმევა სამი მიმართულებით წარიმართოს:

- უნდა განიხილონ (გააანალიზონ) სიტყვები, ისწავლონ მათი „დანახვა“;
- ისწავლონ სიტყვის „გამოზრდა“ თავიანთ შემოქმედებაში;
- ისწავლონ ნელი კითხვა.

### **როგორ ვასწავლოთ სიტყვის „დანახვა“**

მოსწავლეები უნდა შევაჩვით, ყურადღებით დააკვირდნენ სიტყვას კონტექსტში და მის გარეშე. ამისათვის მასწავლებელმა ხშირად უნდა „შეახვედროს“ მოწაფე სიტყვასთან. ეს იქნება ხან უცნობ სიტყვებზე მუშაობა ტექსტის გასაგებად, ხანაც — ზოგადად გასაგებ, მაგრამ ტექსტში მოულოდნელი რაკურსით გამოყენებულ სიტყვებზე დაკვირვება.

სიტყვისადმი ემოციური დამოკიდებულების სტიმულირება შესაძლებელია იმგვარი დავალებებით, როგორიცაა: განსაზღვრეთ,

- რა ფერისაა სიტყვა?
- რა მასალისაგან შეიძლება მისი „გაკეთება“ ან რისგანაა იგი შექმნილი (შალი, ბროლი, სპილენძი, ვერცხლი..)
- როგორ შრიფტს შეურჩევდით მას ჩასაწერად?
- რას გაგონებთ სიტყვის ჟღერადობა, როგორ გახმოვანდება იგი უკეთესად?
- როგორი ხასიათისაა იგი? რომელი ცოცხალი არსების სახით წარმოიდგენ მას?
- როგორი სუნი, გემო აქვს სიტყვას?

შეიძლება შევთავაზოთ მოსწავლეებს სიტყვის დახატვა, მისი წამლერება, ცეკვა, პანტომიმით გამოსახვა.

თუმცა ლექსიკური მუშაობა არ იქნება ეფექტური, თუკი გაკვეთილზე განხილული სიტყვა შემდგომში ხშირად არ გამოვიყენეთ. ამიტომ საჭიროა ერთგვარი „ლექსიკური მინიმუმის“ შექმნა თითოეული კლასისთვის და მუდმივად მასთან დაპრუნება, სანამ ისინი ბავშვების აქტიურ ლექსიკად არ იქცევა. ამ თვალსაზრისით მიზანშენონილია გაკვეთილებზე:

- სიტყვის ხელმეორედ შეხვედრისას იმის გახსენება, თუ რა კონტექსტში შეგვხვდა ეს სიტყვა ადრე;
- შევეცადოთ ჩავაბათ მოწაფე მსჯელობაში, როგორ იქნება უკეთესი ამ სიტყვის წამოთქმა, ასევე — შინაარსის გადმოცემაში, ტექსტის მხატვრულ კითხვაში;

- შევთავაზოთ მოსწავლეებს სიტყვის კონტექსტში ჩართვა (წინადადების აგება, მინი-ტექსტი, ეპითეტის შერჩევა, ასოციაცია);
- ჩავრთოთ სიტყვა შედარება-შეპირისპირების პროცესებში (სინონიმებთან მისი შედარებით, მსგავსფუძიანი სიტყვების შედგენით, სხვა ენაზე თარგმნით);
- სიტყვა ვაქციოთ მოსწავლის დამოუკიდებელი შემოქმედების ცენტრად.

### **როგორ ვასწავლოთ სიტყვის „გამოზრდა“**

ლიტერატურაში სიტყვისთვის ყურადღების მიქცევა მოსწავლისთვის ჩვეულებრივი საქმიანობა მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც ის ჩაერთვება შემოქმედებით საქმიანობაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კონტექსტის გარეშე მუშაობა სიტყვებზე, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეადარონ სხვა სიტყვებს (სინონიმურს და ანტონიმურს), შემდეგ კი შექმნან საკუთარი ტექსტი, რომელშიც ყველა სიტყვა კონტექსტში საკუთარ „როლს ითამაშებს“.

აი, მაგალითად, სიტყვაზე მუშაობის ამგვარი გაკვეთილი:

- მოწაფეებს დაფაზე ჩამოვუწერთ თემატურად ახლობელ რამდენიმე სიტყვას:

მოგზაური
გამვლელი
ქვეითი
მეგზური
მაწანწალა

- თავდაპირველად განვიხილავთ (ვისაუბრებთ მოწაფეებთან ერთად), რით განხვავდება ისინი ერთმანეთისგან; გავამახვილებთ ყურადღებას, მათ წარმოშობაზე (ეტიმოლოგია), მათ სტილურ შეფერილობაზე, გადატანითი მნიშვნელობით მათ შესაძლო გამოყენებაზე.
- შესაძლებელია დამატებით მასალად მხატვრული ტექსტებიდან ნაწყვეტების მოტანა, რომელშიც ამ სიტყვებს სხვადასხვა ელფერი ექნება (ტექსტები მოსწავლეთა ასაკის მიხედვით უნდა შეირჩეს).
- შემდეგ ვთავაზობთ მოსწავლეებს, ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინონ გავრცობილი წინადადებები, სადაც მათი მნიშვნელობა გამოჩნდება.
- მუშაობის შემდგომი ეტაპია ასოციაციების შერჩევა, ასევე უღერადობით მსგავსი სიტყვების მოძებნა (იწერება დაფაზე), შემდგომ — ეპითეტების შერჩევა (იწერება დაფაზე).

ამგვარად მოსწავლეები აგროვებენ მასალას, რაც გამოადგებათ მათ შემოქმედებითი დავალებისთვის — დაწერონ ტექსტი ამ სიტყვების გამოყენებით. ასე ხდება სიტყვის დამკვიდრება ბავშვის ენობრივ სამყაროში.

## როგორ ვასწავლოთ ნელი კითხვა

სიტყვისადმი ყურადღება გულისხმობს ნელი, დაფიქრებული კითხვის ჩვევას. ახლა ყველა იმას ცდილობს, ისწავლოს სწრაფად კითხვა, რათა დიდი რაოდენობის ინფორმაცია აითვისოს, რაც, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ ჩვენი მიზანი საპირისპიროა — უნდა ვასწავლოთ ნელა და ყურადღებით კითხვა. რა თქმა უნდა, ყოველთვის არაა საჭირო და აუცილებელი ყველა სიტყვაზე შეჩერება. არის ტექსტები, რომელთაც მინიმალური კომენტარი სჭირდება. მაგრამ ზოგიერთი იყითხება ნელა, მონაფებთან ერთად, რათა თითოეული სიტყვის, სასვენი ნიშნის, თითოეული აბზაცის თუ სტროფის შინაარსი გავაანალიზოთ. უმეტესად ესაა არცთუ ისე დიდი პოეტური ტექსტები, ზოგჯერ კი — მოთხოვებიც.

### მხატვრულ სახეებზე მუშაობა

V-VI კლასის მოსწავლეებისთვის დამახასიათებელია ლიტერატურისადმი გულუბრყვილო-რეალისტური მიდგომა, რაც შემდგომაც საკმაოდ დიდხანს გრძელდება.

სიტყვის გადატანითი და მეტაფორული მნიშვნელობის წვდომა თანდათანობით ხდება. ამგვარ მუშაობას ხანდახან მთელი გაკვეთილიც შეიძლება დაეთმოს. მნიშვნელოვანია, რომ მონაფებმა გაიგონ ორი რამ: სიტყვა მხატვრულ ტექსტში ყოველთვის არ უტოლდება მის სალექსიკონი მნიშვნელობას და ლიტერატურა აზროვნებს სახეებით და საუბრობს არაპირდაპირი ენით.

მხატვრულ სახეებზე მუშაობისას შესაძლებელია შემდეგი აქტივობების გამოყენება:

#### I აქტივობა

- მასწავლებელი გაკვეთილზე კითხულობს ლექსს სათაურის დაუსახელებლად (ვთქვათ, გალაკტიონ ტაბიდის „ცელი კივის“), შემდეგ სთხოვს მონაფეებს, დაასათაურონ იგი. შემოთავაზებული სათაურები იწერება დაფაზე;
- კლასში გაიმართება მსჯელობა, რატომ დაასათაურა ამა თუ იმ მოსწავლემ ლექსი ამგვარად;
- შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ლექსის ავტორსა და სათაურს;
- მონაფები მსჯელობენ, ვისი ვარიანტი იყო უფრო მიახლოებული ავტორისეულთან და რატომ დაასათაურა პოეტმა ეს ლექსი ამგვარად?

#### II აქტივობა

- მასწავლებელი (ასახსნელი ტექსტიდან) დაფაზე წერს სიტყვას (რომელიც გამოხატავს საგანს ან მოვლენას) და მოსწავლეებს სთხოვს, შეურჩიონ მას დახასიათება, შეადარონ სხვა საგანს ან მოვლენას რაიმე ნიშნით; შერჩეული მხატვრული სახე უნდა გამოხატავდეს მონაფის დამოკიდებულე-

ბას საგნისა ან მოვლენისადმი, მისეულ ხატს უნდა წარმოადგენდეს.

- შემდეგ მასწავლებელი კითხულობს ტექსტს, რომელშიც ამ საგანსა თუ მოვლენაზეა საუბარი.
- შემდგომ მუშავდება კითხვარი (სახელმძღვანელოში ტექსტის შემდეგ მოცემული), რომელიც ზოგადად ამ ტიპისაა:
  1. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელი გამოხატავს ლექსის განწყობას?
  2. როგორ წაიკითხავდით ამ ლექსს: მშვიდად, წყნარად თუ ომახიანად, ნელა თუ ჩქარა? რატომ?
  3. რა სურათები წარმოგიდგებათ თვალწინ ამ ლექსის კითხვისას?
  4. რით განსხვავდება თითოეულ სტროფში წარმოსახული გარემო?
  5. რატომ შეადარა პოეტმა ერთი საგანი/მოვლენა მეორეს?

### III აქტივობა

- მასწავლებელი მოწაფეებს აძლევს ლექსს, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები (მხატვრული სახეები). მოსწავლეებს დაევალებათ, ჩასვან ეს სიტყვები;
- განიხილება თითოეული შემოთავაზება მოწაფეებისგან;
- შემდეგ ურიგდებათ ტექსტი და ადარებენ თავიანთ სახეებს მწერლი-სეულს.

### IV აქტივობა

- მასწავლებელი აძლევს წყვილებში სამუშაოს: ერთმა მოწაფემ უნდა დაწეროს არსებითი სახელი (თუ ტერმინი ჯერ არ იციან, მაშინ საგნის ან მოვლენის ამსახველი სიტყვა), მეორემ — ზედსართავი (საგნის ნიშან-თვისების გამომხატველი სიტყვა), ერთმანეთს არ უჩვენებენ (ზედსარ-თავები არ უნდა იყოს მარტივი — **კარგი-ცუდის** ტიპის). რასაკვირველია, ეს გამოვა უაზრო სიტყვათშეთანხმება.
- შემდეგი თხოვნაა — ჩასვან ეს სიტყვათშეთანხმება წინადადებაში ან პა-ტარა ტექსტში ისე, რომ გაამართლონ მისი არსებობა, როგორც პოეტური სახისა.
- მაგალითები განიხილება კლასში.

ამგვარი დავალება არყევს გონებაში ჩაჭედილ, დახსომებულ სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას, აღვიძებს ფანტაზიას და ავითარებს ენობრივ დაკ-ვირვებულობას.

### **როგორ გავხადოთ გაკვეთილი თითოეული მოსწავლისთვის მნიშვნელოვანი**

როგორ მივაახლოვოთ მოწაფე იმასთან, რაც ხდება გაკვეთილზე? როგორ გავხადოთ მისთვის მნიშვნელოვანი წიგნის კითხვა და მისი ანალიზი? როგორ განვავითაროთ მასში მკითხველის მონაცემები?

გასათვალისწინებელია შემდეგი:

- 1) როგორ ნაწარმოებებს ვთავაზობთ წასაკითხად;
- 2) რამდენად ვითვალისწინებთ ნაწარმოებების შესწავლისას მოსწავლის სუბიექტურ მოთხოვნილებებსა და რეაქციებს;
- 3) რამდენად ვაძლევთ მოსწავლეს თვითგამოხატვის საშუალებას იმ ფორმით, რომელიც უფრო ახლობელი და მისაღებია მისთვის.

მოზარდ ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაკვეთილის აგება „მოსწავლისგან“, მის ინტერესებზე ორიენტირება. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს კითხვას: „შენ როგორ მოიქცეოდი გმირის ადგილას?“ საუბარია არა პერსონაჟთან გაიგივებაზე, არამედ ტექსტთან დიალოგის ორგანიზებაზე; ასევე ლიტერატურის გაკვეთილის ერთ-ერთი მიზანია, გამოავლინოს ადამიანში ბუნებრივად არსებული სიტყვები და ფორმები, რომელიც გამოხატვას ელიან. ამიტომაც მონაფეს უნდა მიეცეს საშუალება სხვადასხვა ფორმით ტექსტის ინტერპრეტირებისა. შესაბამისად, გაკვეთილებზე მუშაობა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებით: კითხვების დასმის ხელოვნების სწავლება, შეუთავსებლობის, მიუღებლობის გამოვლენა (რატომ იყო შენთვის მოსაწყენი ეს ნაწარმოები?).

სკოლაში ლიტერატურის გაკვეთილის ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ასწავლოს ბავშვს დიალოგი ტექსტთან, აღზარდოს განათლებული, ანუ ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლება კითხვის დასმა, რადგან ნამდვილი დიალოგი ორმხრივი პროცესია, მხატვრული ტექსტი კი არსობრივად წარმოადგენს პასუხს რაიმე კითხვაზე, ისეთზე, რომელიც მკითხველმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს. კითხვის პროცესი ესაა აღქმის ყველა სფეროს მუშაობა (ემოცია, წარმოსახვა, შინაარსის გააზრება და ფორმის გაცნობიერება), ეს არის პრობლემის გამოკვეთა და მისი გადაჭრის მცდელობა. ამრიგად, ტექსტისთვის კითხვის დასმის უნარი ერთი-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ლიტერატურული განვითარებისა.

ტრადიციული ლიტერატურის გაკვეთილი ხშირად კითხვა-პასუხზეა აგებული, კითხვებს ძირითადად მასწავლებელი სვამს და, შესაბამისად, იგი იქცევა ადამიანად, რომელიც სულ რაღაცას გეკითხება. თუ მოსწავლე ყოველთვის მხოლოდ მოპასუხის როლში იქნება, ვერასოდეს ისწავლის დამოუკიდებლად ტექსტის წაკითხვასა და გაგებას. გარევეულ ეტაპზე ამგვარი „დახმარება“ საჭიროა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მან უნდა შეძლოს სხვის დაუხმარებლად ტექსტის აღქმა.

კითხვის დასმაზე მუშაობა მეხუთე კლასში იწყება, ეპიზოდურად გრძელდება მეექვსეში, მეშვიდეში კი იგი გეგმაზომიერ და სისტემურ სახეს იღებს.

კითხვების დასმის უნარის მიზანმიმართული გამომუშავება ცალკე შრომას არ გულისხმობს. მონაფეები ამას სწავლობენ გაუცნობიერებლად, ყოველდღიურად ტექსტის ანალიზისას, როდესაც მასწავლებელი კითხვებით აღძრავს მათში მოტივაციას, უხსნის, რატომაა ისინი მნიშვნელოვანი, არ მაღავს

თავის „სამზარეულოს“ და ცდილობს, გადააკეთოს რთულად დასმული შეკითხვა, დაშალოს შედარებით მარტივ კითხვებად; მოსწავლეებს უჩვენებს, რომ მასაც აინტერესებს ამ კითხვაზე პასუხი, რომ არც მან „იცის ეს“. თუმცალა ეს მაინც სპონტანური სამუშაოა. მასწავლებელმა, პირველ რიგში, თვითონ უნდა გაიაზროს მიმდინარე პროცესი, შემდეგ ააგოს იმგვარ დავალებათა სისტემა, რომელშიც რეალიზდება მოსწავლეთა უნარი ტექსტთან დიალოგისა.

მეხუთე კლასში, სანამ საუბარს დავიწყებდეთ ამა თუ იმ რთულ ტექსტზე, ვეკითხებით მოსწავლეებს, რა კითხვები გაუჩნდათ ტექსტის მიმართ. თავდაპირველად ესაა კითხვები სიუჟეტთან დაკავშირებით, ცალკეული სიტყვების მნიშვნელობები. თანდათანობით ჩნდება მიზეზ-შედეგობრივ კავშირებსა და გმირების საქციელთან დაკავშირებული კითხვები.

გარკვეული მაჩვენებელი იმისა, რომ ბავშვებს დამოუკიდებლად შეუძლიათ დიალოგი ნაწარმოებთან, არის მათი ქცევა გაკვეთილზე. შესაძლოა ისეთი გარემოს შექმნა, როცა მასწავლებელი კი არ „ატარებს“ გაკვეთილს, არამედ საჭირო მიმართულებას აძლევს კლასში საუბარს და მასში მონაწილეობს პარტნიორის უფლებით. ასეთი გარემო უკვე VI კლასში შეიძლება შეიქმნას, თუკი ნაწარმოები თავისთავად საინტერესოა მოწაფეებისთვის.

### **სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხერხი მოსწავლეთა ლიტერატურული განვითარებისთვის**

#### **შედარება — შეპირისპირებითი ანალიზი, როგორც ლიტერატურული განვითარების საშუალება**

ტექსტის შესწავლის ეს მეთოდი ახალი არ არის, მაგრამ V-VI კლასებში იგი მხოლოდ ხერხი კი არაა, არამედ ლიტერატურული განვითარების სტრატეგიას წარმოადგენს.

შედარებითი ანალიზი უფრო იოლი, ბევრისმომცემი და საინტერესოა ბავშვისთვის, ვიდრე ცალკე აღებული ტექსტის ანალიზი. შედარება — შეპირისპირებისას აღქმის ყველა სფერო აქტიურდება, იზრდება შემეცნებითი ინტერესი.

#### **შედარებითი ანალიზი მეხუთე კლასში**

მეხუთე კლასი გულუბრყვილო, ალალი რეალიზმის ხანაა, როდესაც წაშლილია საზღვარი ხელოვნებასა და სინამდვილეს შორის, ის ასაკია, რომელიც ხასიათდება უშუალო ემოციურობით, არ ექცევა ყურადღება მხატვრულ ფორმასა და ავტორის პოზიციას, ასევე — მხატვრულ აზროვნებას.

ჩვენი ძირითადი ამოცანაა, ვასწავლოთ მეხუთე კლასებს მხატვრულ სამყაროთა განსხვავება, ჩამოვუყალიბოთ წარმოდგენა ავტორზე, როგორც მხატვრული ტექსტის შემქმნელზე. ამიტომ ამ პერიოდში ჭარბობს სხვადასხვა ავტორთა მსგავს თემაზე შექმნილი ნაწარმოებების შედარება. ამგვარი შედარების პროცესში მოწაფეები ხედავენ, რომ ყველა მწერალი ინდივიდუალურია

და ერთსა და იმავე თემას სხვადასხვა ავტორები სხვადასხვაგვარად განიხილავენ და წარმოადგენენ.

V კლასში შედარებითი ანალიზი შეიძლება იყოს სიუჟეტის, სახეების, კომპოზიციის დონეზე. მონაფეთა ესთეტიკური განვითარება ინტენსიური გახდება, თუკი ტექსტებს შევადარებთ ხელოვნების სხვა დარგების ნაწარმოებებს.

## **მოსწავლაზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიები სახელმძღვანელოში**

სახელმძღვანელოს შინაარსი, მისი სტრუქტურა, ცალკეული თავისა თუ პარაგრაფის აგებულება, სავარჯიშოებისა და დავალებების სისტემა პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას ეფუძნება. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა სახელმძღვანელოს დაწყება სწავლის, კერძოდ, კითხვის სტრატეგიების გაცნობით. სწავლის სწავლა ხომ ამ საგანმანათლებლო კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. იმავე მიზანს (სწავლის სწავლას) ემსახურება თხზულების გეგმა-ჩარჩოს მიცემა სახელმძღვანელოში წარმოდგენილ დავალებებში.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომაა წარმოდგენილი სახელმძღვანელოს სტრუქტურულ აგებულებაშიც. კერძოდ, სასწავლო მასალის თემატურ დალაგებაში:

1. გოგონები და ბიჭები;
2. დედა, მშობლიური გარემო;
3. სახელოვანი წინაპრები;
4. შოთა და საბა;
5. რა ხდება ზღაპარში?
6. ადამიანი და ბუნება;
7. პირისპირ.

ლიტერატურული მასალა მოსწავლეს ჯერ მისთვის ყველაზე ახლობელ სამყაროში ამოგზაურებს, შემდეგ თანდათან აფართოებს მის თვალსაწიერს და ბოლოს ადამიანური ბუნების სიღრმეებშიც ახედებს.

წაცნობიდან უცნობისაკენ სვლა, უკვე არსებულ ცოდნაზე ახლის დაშენება სახელმძღვანელოს მეთოდიკის გამოკვეთილი პრინციპია. ამ პრინციპის ყველაზე თვალსაჩინო რეალიზაციას სამოტივაციო (იგივე, ე.წ. მაპროვოცირებელი) კითხვები ყოველი სასწავლო მონაკვეთისა თუ პარაგრაფის დასაწყისში.

ამავე პრინციპის რეალიზაციას წარმოადგენს ენის ნაწილის პარაგრაფების მთლიანი აგებულება, თხრობის ლოგიკა, რომელიც ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. ანუ მოსწავლეს მზამზარეული წესები კი არ მიეწოდება, ის თვითონ მიდის ამა თუ იმ ენობრივი კანონზომიერების აღმოჩენამდე.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის რეალიზაციის მაგალითია აგრეთვე ენობრივი მოვლენებისა და კანონზომიერებების ვიზუალიზება. მაგალითად, რთული სიტყვების მართლწერის ვიზუალიზება (ცხენკაცი და ცხენ-კაცი) კენტავრისა და მხედრის ქანდაკებების მაგალითზე. ამგვარი ნიმუშები უხვად არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოს ენის ნაწილსა და მოსწავლის რვეულში. სავარჯიშოთა ვიზუალიზება, ვფიქრობთ, ბევრად გაუიოლებს მოსწავლეს ენის კანონზომიერებათა გაგებას.

## მოსნავლის შეფასების პრინციპები

### შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები

შეფასება სწავლა/სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სასწავლო გეგმის მიხედვით, დადგენილია ორი ტიპის შეფასება: **განმავითარებელი და განმსაზღვრელი.**

**განმავითარებელ შეფასებას** (რომელიც თავის თავში მოიცავს **თვითშეფასებასაც**) მასწავლებელი იყენებს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს სწავლების პროცესის მიმდინარეობისას მიღწეულის შეფასებაა, მაგალითად, რაიმე თემის/ტექსტის შესწავლის პროცესი, საშინაო დავალების, პროექტის რომელიმე ეტაპის ან გაკვეთილზე ჩართულობის შეფასება. ამგვარი შეფასებისას მოსწავლე მასწავლებლისგან იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებასა და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში ეხმარება. ამდენად შეფასების ამგვარი ფორმა უფრო მეტად ურთიერთანამშრომლობითია, ვიდრე განმსაზღვრელი შეფასება, აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი ქულას არ წერს, იგი მოწაფეს აძლევს რჩევას, რეკომენდაციას, უჩვენებს პრობლემათა გადაჭრის გზებს, დააფიქრებს საკუთარი აზროვნების პროცესზე და ა.შ.

**თვითშეფასება და ურთიერთშეფასება** მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი თავიცა და თანატოლიც. თვითშეფასება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს თვალი ადევნოს საკუთარ პროგრესს. შეფასების ამ ფორმის ხშირად გამოყენება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლისა და თვითკრიტიკის უნარს უვითარებს. იგი მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვისაც, რომელიც მეტ ინფორმაციას აგროვებს მოწაფეების შესახებ და უფრო მეტად შეუძლია დაეხმაროს მათ.

**განმსაზღვრელი შეფასება** კი მოსწავლეთა მიღწევებსა და დონეს განსაზღვრავს სასწავლო გეგმასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში. განმსაზღვრელი შეფასება შედეგზეა ორიენტირებული, ამდენად ქულის დაწერა სავალდებულო მოთხოვნაა. განმსაზღვრელი შეფასებისას მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა შემაჯამებელ აქტივობებს: პრეზენტაციას, პროექტის განხილვას, ტესტს, საკონტროლო წერას და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასება ქულის სახითაა მოცემული, რომელიც განსაზღვრავს მოწაფის დონეს, შესაბამისად, მას არ ახლავს შედეგების გასაუმჯობესებლად კომენტარები ან რეკომენდაციები.

### განმავითარებელი შეფასების მეთოდები

**მასწავლებლის დაკვირვება** — ჩანაწერები, კომენტარები მოსწავლის მიღწევების შესახებ. გამოიყენება სწავლების ყოველ ეტაპზე: კითხვებზე პასუხი-

სას, დაფასთან მუშაობისას, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისას, საკლასო წერისას...

**კომენტარი** — ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის მისი კონკრეტული პასუხისა თუ კონკრეტული დავალების შესრულებისას. ეს შეიძლება იყოს: ქება, გამხნევება, რჩევა, დაფიქრებისკენ მოწოდება, შეცდომის გასწორება.

**თვითშეფასების** სხვადასხვა ფორმა არსებობს, ყველაზე გავრცელებული თვითშეფასების სქემებია, რომელიც კონკრეტული საჭიროების მიხედვით იცვლება, იმის მიხედვით, თუ რას ვამოწმებთ: ერთ თემას, ერთ გაკვეთილს, ერთ სავარჯიშოს, ფაქტობრივ მასალას, როგორ განუვითარდათ გარკვეული უნარ-ჩვევები, წერით ნამუშევარს და სხვ. ამგვარი სქემები სასურველია მოსწავლეებთან ერთად შემუშავდეს.

წერითი ნამუშევრის თვითშეფასების ნიმუში:

სახელი, გვარი----- თარიღი -----

როდესაც გადავხედე ნამუშევარს, დავინახე, რომ -----

გავაუმჯობესე -----

ვამაყობ, რომ -----

კვლავ მჭირდება განმტკიცება -----

შემდგომ წერით დავალებაში შევეცდები, რომ -----

**გაკვეთილზე საკუთარი საქმიანობისა და შინაგანი, პიროვნული პროცესების თვითშეფასების ნიმუში (პირობითი ნიშნების გამოყენებით)**

- ვპასუხობდი კითხვებს და ჩემს პასუხებს მივყავდით პრობლემის გადაწყვეტამდე (პირობითი ნიშანი მზე);
- ვამატებდი და ვავითარებდი სხვების პასუხებს, ვეხმარებოდი გაკვეთილის „აგებაში“ (აგურები);
- ვპასუხობდი, მაგრამ როგორც მერე მივხვდი, არცთუ წარმატებულად, რადგან ან სხვის პასუხს ვიმეორებდი, ანდა სწორ გზას ვცდებოდი (ჩაშვებული ღუზა);
- ყველაფერი ვიცოდი და მესმოდა, მაგრამ ვდუმდი (სანამ რამეს ვიტყოდი, სხვები მასწრებდნენ; ვშიშობდი, არასწორად არ მეპასუხა, დაე, სხვებმა იმუშაონ) (დაკეცილი კონვერტი).
- ვდუმდი, რადგან არ ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ ყურადღებით ვუსმენდი სხვებს (მოცინარი კაცუნა, რომლის ყურებისკენ მიმართულია ისრები).

- მეძინა, ბუზებს ვითვლიდი, ვოცნებობდი (ნეტა, რაზე?), ვფიქრობდი, ვიწერდი საშინაო დავალებას (ლრუბლები).

ამგვარად, მონაფე აფასებს საკუთარ აქტივობას, საკუთარ წვლილს გაკვეთილზე ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის საქმეში (მასწავლებელმა ყოველთვის არ იცის, რა დგას მონაფის დუმილის უკან, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რას აირჩევს მოსწავლე: „ვიცოდი და ვდუმდი“, თუ „არ ვიცოდი და ვდუმდი“). მასწავლებელი დროდადრო კრეფს თვითშეფასების ფურცლებს და არშიებზე აკეთებს საკუთარ შენიშვნებს (ძალიან კორექტული და არაკატეგორიული ტონით) მაშინაც, როცა მოსწავლე გადაჭარბებით აფასებს საკუთარ თავს და მაშინაც, როდესაც იგი დაბალ თვითშეფასებას ამჟღავნებს (ამგვარ თვითშეფასებაში არის რისკი იმისა, რომ მონაფემ იეშმაკოს, არაადეკვატურად შეაფასოს საკუთარი თავი, მაგრამ ამგვარი რისკი მაინც გამართლებულია, რადგან ბევრი ბავშვისთვის იგი სტიმულია, რათა მიაღწიოს იმ სასურველ შედეგს, რომელიც ამ ეტაპისთვის მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა).

### **შემაჯამებელი შეფასების სქემები**

#### **შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა ზეპირმეტყველებაში**

**დავალების ტიპი:** ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა

	ქულები
<b>გამართული და სწორი მეტყველება</b>	
მეტყველებს გამართული, სალიტერატურო ენით, იყენებს შესაფერის ლექსიკას.	0—1
სწორად და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებს, ადეკვატურად იყენებს ლოგიკურ პაუზებს.	0 — 0,5-1
<b>სათქმელის ნათლად და ლოგიკურად გადმოცემა</b>	
მსჯელობის დაწყებამდე აყალიბებს თეზისს (გამოკვეთს მსჯელობის თემას).	0 — 1-2
ბოლომდე მიჰყავს დაწყებული მსჯელობა (ანუ აზრს დაუსრულებელს არ ტოვებს). აკეთებს ლოგიკურ (მსჯელობიდან გამომდინარე) დასკვნას.	0 — 1-2 0-0,5 -1
<b>კონტაქტი აუდიტორიასთან, თვალსაჩინოების გამოყენება</b>	
აქვს მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან.	0—1
საჭიროების მიხედვით იყენებს შესაბამის თვალსაჩინოებას (სქემას, ნახატს).	0—1
<b>შემოქმედებითი უნარები</b>	
ამჩნევს ტექსტში საინტერესო დეტალებს და მარჯვედ იშველიებს მათ საკუთარი მსჯელობის დასასაბუთებლად.	0—1

**სტანდარტთან შესაბამისობა:**

**ქართ. დაწყ.(II).** 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა;

**ქართ. დაწყ.(II).** 3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარ-მოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).

**შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა კითხვაში**

დავალების ტიპი: უცხო ტექსტის წაკითხვა-გააზრება

ქულები	
<b>ტექსტის ტიპის ამოცნობა</b>	
ამოიცნობს ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებს; ყოფს ტექსტს შინაარსობრივ ნაწილებად; აკავშირებს სათაურს ტექსტთან.	0—1-2-3
<b>ტექსტის შინაარსის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით</b>	
ამოკრებს ტექსტიდან საჭირო ინფორმაციას; მოკლედ გადმოსცემს ვრცელ შინაარსს, ითვალისწინებს არსებითს.	0 — 1-2-3-4
<b>ტექსტის თემისა და დედააზრის ამოცნობა</b>	
ამოიცნობს ტექსტის თემას; დასაბუთებულად მსჯელობს ტექსტის დედააზრის შესახებ.	0 — 1-2-3

**სტანდარტთან შესაბამისობა: ქართ.დაწყ.(II).** 6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

**შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა წერაში  
დავალების ტიპი: მოთხოვის გაგრძელება**

ქულები
<b>იცავს თხრობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას</b>
ამპავს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული; მითითებულია მოქმედების დრო და ადგილი; გამოკვეთილი არიან პერსონაჟები.
<b>აქვს მდიდარი ლექსიკა</b>
იყენებს სინონიმებს, ხატოვან სიტყვა-თქმებს, ფრაზეოლოგიზმებს.
იყენებს თხრობის ტიპის ტექსტისათვის დამახასიათებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს (ერთხელ, შემდეგ, ბოლოს...).
<b>შემოქმედებითი უნარები</b>
გვთავაზობს სიუჟეტის განვითარების ორიგინალურ გადაწყვეტას.
<b>ნაშრომის ორგანიზებულობა</b>
იცავს მართლწერის წესებს, სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს.

სტანდარტთან შესაბამისობა:

**ქართ.დაწყ. (II).10.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე სხვა-დასხვა მიზნით.

**ქართ.დაწყ.(II).11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.

(შენიშვნა: შეფასების კრიტერიუმები და ქულები ყოველი კონკრეტული დავალების შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს).

\* \* \*

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ნებისმიერი დავალება და სავარჯიშო, შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისათვის. თუმცა მეხუთე კლასის პირველ სემესტრში, როგორც ვიცით, მოსწავლე ქულით ჯერ კიდევ არ ფასდება და, აქედან გამომდინარე, შეფასებაც განმავითარებელ ხასიათს ატარებს. სწორედ ამ ფაქტორს ვითვალისწინებდით,

როდესაც ენობრივი სავარჯიშოების რვეულის ყველა პარაგრაფის ბოლოს გამოვყავით ადგილი მასწავლებლის კომენტარისათვის.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ფუნდა-მენტური პრინციპია დიფერენცირებული სწავლება, ანუ სასწავლო მასალის პრეზენტაციისას სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეთა ინტერესების გათვალ-ისწინება. ამავე დროს, არსებობს სტანდარტი, რომელიც ყველა მოსწავლისათ-ვის სავალდებულო ცოდნისა და უნარ-ჩვევების ზღვარს აწესებს. ეს გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს სასწავლო პროცეში და ერთ-ერთი ასეთი სირთულე მოსწავლის შეფასების დროს იჩენს თავს: შეფასება დიფერენცირებული ვერ იქნება, ის ობიექტურ და საყოველთაო (ყველასთვის ერთნაირ) კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს. მაშ, როგორდა შევქმნათ ყველასთვის (ანუ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის) თანაბარი გარემო?

პედაგოგიურ ლიტერატურაში ამ საკითხისადმი სხვადასხვაგვარი მიდგო-მა არსებობს; ზოგი მიიჩნევს, რომ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლე-ებმა სხვადასხვა ტიპის დავალებები უნდა შეასრულონ. ჩვენ ვთვლით, რომ ეს არ არის სწორი მიდგომა, განსაკუთრებით განმსაზღვრელი შეფასების დროს, რომელმაც უნდა დაადგინოს (განსაზღვროს), რა ხარისხით მიუახლოვდა მოს-წავლე სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგს.

ჩვენი აზრით, სწორი გამოსავალია არა სხვადასხვა ტიპის დავალებების მიცემა მოსწავლეებისათვის, არამედ ერთი და იმავე ტიპის დავალებების მი-ცემა სხვადასხვა ინსტრუქციით (ანუ უფრო მეტად ვეხმარებით მას, ვისაც ეს სჭირდება). მაგალითად, ქვემოთ მოხმობილ საწერ დავალებაში შედარებით ძლიერ მოსწავლეებს ვთავაზობთ პასუხის გეგმას, შედარებით სუსტებს — პა-სუხის ჩარჩოს, ანუ ორივე კატეგორია ერთი და იმავე ტიპის დავალებას ასრუ-ლებს და ერთნაირად ფასდება:

## I ვარიანტი

ამოირჩიეთ ერთი სიტყვა, რომელიც ყველაზე უკეთ გვიხასიათებს მირან-დუხტს რევაზ ინანიშვილის ამავე სახელწოდების მოთხოვნიდან: — ჭორი-კანა, ჭკვიანი, თავაზიანი, მოუსვენარი, თამამი — და მოიხმეთ მოთხოვნის ტექსტიდან თქვენი აზრის დამადასტურებელი მაგალითები.

პასუხის გეგმა

1. პირველ წინადადებაში ახსენეთ პერსონაჟის სახელი და აღნიშნეთ მისი ხა-სიათის მთავარი თვისება.

---

---

---

2. ერთი-ორი წინადადებით გადმოეცით პერსონაჟის საქციელი, როცა ეს თვისება მან პირველად გამოამუღავნა.

---

---

---

---

---

3. ერთი-ორი წინადადებით გადმოეცით კიდევ როდის გამოამუღავნა პერსონაჟმა ხასიათის ეს თვისება.

---

---

---

---

---

## II ვარიანტი

ამოირჩიეთ ერთი სიტყვა, რომელიც ყველაზე უკეთ გვიხასიათებს ეთერს რევაზ ინანიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობიდან: — ჭ კ ვ ი ა ნ ი, ბ ე ჯ ი თ ი , მ ო რ ც ხ ვ ი, ზ ა რ მ ა ც ი , თ ა მ ა მ ი — და მოიხმეთ მოთხრობის ტექსტიდან თქვენი აზრის დამადასტურებელი მაგალითები.

პ ა ს უ ხ ი ს ჩ ა რ ჩ ი

ყველაზე უკეთ ეთერის ხასიათს სიტყვა ----- მიესადაგება. მწერალი გვეუბნება, რომ ეთერი -----

---

---

---

მეორეგან კი ვკითხულობთ, რომ სკოლაში მიმავალი ეთერი -----

---

---

---

-----ეთერის ეს ხასიათი მაშინაც ჩანს,

---

---

---

გთავაზობთ კიდევ ერთი ტიპის დავალებას სირთულის სამი სხვადასხვა ხარისხით. დავალების სამივე ვარიანტი მთავარი აზრისა და დეტალების ამოცნობის უნარს ამოწმებს:

### I ვარიანტი

**ნაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი აბზაცი, რომელსაც მთავარი აზრის გამომხატველი წინადადება აკლია.**

ხეა აყვავებული, ხის იქით ტრაქტორი ხნავს, ნახნავს გუნდად დასტრიალებენ ფრინველები. ქვეშ მინერილი აქვს „გაზაფხული“.

დაამატეთ მთავარი აზრის გამომხატველი წინადადება და სრული სახით გადმოწერეთ ეს აბზაცი (მთავარი წინადადება შეგიძლიათ დაამატოთ აბზაცის დასაწყისში ან ბოლოს).

---

---

---

### II ვარიანტი

**ნაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი აბზაცი და ხაზი გაუსვით ქვეშ მთავარი აზრის გამომხატველ წინადადებას.**

მხოლოდ მესამე სახლს ეტყობა კაცის ხელი. ჯერ ისევ ნედლი რცხილის წელით არის შემოღობილი მაღალი საჩერე, შიგ ცხვრები ბლავიან, მოთრეულია ხერხით მოჭრილი ორი ვეება წიფელი, ბებერი პანტის ძირზე მიკრულია ახალდაკლული თხის რქები, ბაღი გადაჩიჩქნილია ბარით — ეს-ესაა ოდნავ სველში ამოუღიათ კარტოფილი. სახლისკენ მიდის ფეხით გაზეეკილი ბილიკი, დაბალი კიბის ძირში, საფხეკთან, დატოვებულია ფეხის ტალახი. დადიან ბატები, ინდაურები.

**ახლა კი მოცემული აბზაციდან ამოიწერეთ მთავარი აზრის გამავრცობელი დეტალები:**

- 1.-----
- 2.-----
- 3.-----
- 4.-----
- 5.-----
- 6.-----
- 7.-----

### III ვარიანტი

წაიკითხეთ მოყვანილი აბზაცი, რომელშიც თქვენთვის ნაცნობი პერსონაჟებია აღნერილი. იპოვეთ და გახაზეთ მთავარი აზრის გამომხატველი წინადადება ან წინადადების ნაწილი (გაითვალისწინეთ, მთავარი აზრი ზოგჯერ მთელი წინადადებით კი არა, წინადადების ნაწილითაც შეიძლება იყოს გამოხატული). შემდეგ ცალკე ამოინერეთ მთავარი აზრის გამავრცობელი ზოგიერთი დეტალი.

წისქვილისაკენ მიმავალ ორლობებში ორი ბიჭი მიდის, ორი კონტაქტილი — ცამეტ-ცამეტი წლისანი, მზით გახუნებულნი, წენგოთი მოთხუპნულნი, უბე-ები ნამცვრევი კაკლით აქვთ სავსე. უბეებში რომ არ ჩასტევიათ, შარვლის ბოლოებზე წნელები შემოუჭერიათ, ტოტებიც მუხლამდე აუვსიათ; ხელში ორორი დიდი წითელი წინაკა უჭირავთ (ქალი რომ ყვავილს დაიჭერს, ისე), მიდიან და ჩხაკ-ჩხუკ! ჩხაკ-ჩხუკ! — მოჩხაკუნობენ, მოანათებენ თვალებით, თეთრი კბილებით და იმ წითელი წინაკებით.

დეტალები:

---

---

---

---

---

---

ქვემოთ მოყვანილ დავალებებში ინსტრუქცია ერთი და იგივეა, სირთულის ხარისხს კი დიალოგებად დასალაგებელი ტექსტის მოცულობა და სირთულე განაპირობებს:

### I ვარიანტი

გავიხსენოთ დიალოგის ჩაწერის წესი: თითოეული მოსაუბრის სიტყვები (კითხვა ან პასუხი) ახალი ხაზიდან იწყება და წინ ტირე დაესმის.

გარდა ამისა, დიალოგის ჩაწერის წესი განსხვავდება იმის მიხედვით, წინ უსწრებს მოსაუბრის სიტყვებს მთხობელის კომენტარი თუ უკან მოსდევს მას.

დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ მაგალითებს:

- ა) მცურავი ერთი მიჰეონდა წყალს. თქვა:
  - ღმერთო, მიშველეო!
  - მეორე ამხანაგმა უთხრა:
    - ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქნებიო!

- ბ) მცურავი ერთი მიჰქონდა წყალს.  
— ღმერთო, მიშველე! — თქვა მცურავმა.  
— ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქნები! — უთხრა მეორე ამხა-  
ნაგმა.

ახლა გაითვალისწინეთ ზემოთ თქმული და ჩანერეთ მოცემული ტექსტი  
დიალოგის სახით ჯერ ა და შემდეგ ბ ვარიანტის მიხედვით.

ორნი ამხანაგი ნადირობდნენ. ხევი იყო და ხევს გაღმა-გამოლმა მიმოდიოდ-  
ნენ. ერთ ამხანაგს დათვი შემოეჭიდა და ქვეშ ამოიდო. მეორე ამხანაგმა დაუყ-  
ვირა: გაუშვი ეგ დათვი და ნამოდი, სხვა საქმე გვაქვსო! მან უთხრა: დათვი არ  
მიშვებს, თორემ მე წელანვე გავუშვებდიო!

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

## II ვარიანტი

გავიხსენოთ დიალოგის ჩანერის წესი: თითოეული მოსაუბრის სიტყვები  
(კითხვა ან პასუხი) ახალი ხაზიდან იწყება და წინ ტირე დაესმის.

გარდა ამისა, დიალოგის ჩანერის წესი განსხვავდება იმის მიხედვით, წინ  
უსწრებს მოსაუბრის სიტყვებს მთხობელის კომენტარი თუ უკან მოსდევს  
მას.

## **დაკვირდით ქვემოთ მოყვანილ მაგალითებს:**

- ა) მცურავი ერთი მიჰერონდა წყალს. თქვა:
- ღმერთო, მიშველეო!
  - მეორე ამხანაგმა უთხრა:
  - ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქნებიო!
- ბ) მცურავი ერთი მიჰერონდა წყალს.
- ღმერთო, მიშველე! — თქვა მცურავმა.
  - ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქნები! — უთხრა მეორე ამხა-ნაგმა.

**ახლა გაითვალისწინეთ ზემოთ თქმული და ჩანერეთ მოცემული ტექსტი დიალოგის სახით ბ ვარიანტის მიხედვით.**

ერთი კუ და მორიელი დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. გასავალი წყალი დახ-ვდათ. მორიელი დაღონდა, გასვლა არ შეეძლო. კუმ უთხრა: ზურგ ზე შემაჯექ, მე გაგიყვანო! შეაჯდა მორიელი ზურგ ზე. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმა ზურგ ზე კახენა დაუწყო. კუმ პკითხა: ძმაო, რას შვრებიო? მორიელმა უთხრა: რა ვქნა, არც მე მნებავს, მაგრამ ასეთი გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვა-რეს ყველას უნდა ვუკინოთო. კუმ დაიყურყუმალავა, მორიელი წყალს მისცა და უთხრა: ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი, თუ გესლიან ხორცს არ გაიბანს, გაუსივდება და მოკვდებაო.

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

### III ვარიანტი

გავიხსენოთ დიალოგის ჩანერის წესი: თითოეული მოსაუბრის სიტყვები (კითხვა ან პასუხი) ახალი ხაზიდან იწყება და წინ ჭირე დაესმის.

გარდა ამისა, დიალოგის ჩანერის წესი განსხვავდება იმის მიხედვით, წინ უსწორებს მოსაუბრის სიტყვებს მთხოვნელის კომენტარი თუ უკან მოსდევს მას.

**დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ მაგალითებს:**

- ა) მცურავი ერთი მიჰქონდა წყალს. თქვა:
  - ღმერთო, მიშველეო!
- მეორე ამხანაგმა უთხრა:
  - ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქნებიო!
- ბ) მცურავი ერთი მიჰქონდა წყალს.
  - ღმერთო, მიშველე! — თქვა მცურავმა.
  - ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქნები! — უთხრა მეორე ამხანაგმა.

**ახლა გაითვალისწინეთ ზემოთ თქმული და ჩანერეთ მოცემული ტექსტი დიალოგის სახით ბ ვარიანტის მიხედვით.**

ერთი თხა და ერთი მელა დაძმობილდნენ და საზიაროდ ყანა დათესეს. კარგი მოსავალი მოუკიდათ. მომკეს, გალენეს და გაანიავეს. ხვავი ცალკე დააგროვეს და ბზე — ცალკე. მელამ უთხრა თხას: ხვავი მე და ბზე შენაო. თხამ მიუგო: არა, სამართალი ასეა, ორივე შუაზე გავიყოთო. მელამ უთხრა: მაშ, მე წავალ, ბიძაჩემს მოვიყვან და მან გაგვიყოსო.

ვიდრე მელა დაბრუნდებოდა, თხა წავიდა, ცხვრის ფარიდან ორი დიდი ქოფაკი მოიყვანა და ბზეში დამალა. მოვიდა მელა, ერთი ისეთი მგელი მოჰყვა, თხას შიშით თვალთ დაუბნელდა.

უთხრა მგელმა თხას: ჩემს დისწულს რატომ აჩივლებო? თხამ მიუგო: მაშ, რადგან მონმედ მოყოლიხარ, მეც მამა-ბიძანი აქ მისაფლავიან, მათ საფლავზე შედექ, დაიფიცე და მართალი მონმე იქნებიო.

მგელი თხის შეჭმის სურვილმა ისე აიტანა, რომ ვერაფერს მიხვდა. ბზეზე რომ შედგა წამოუცვივდნენ ძალლები, მელა და მისი მონმე ისე გახადეს, შარ-შანდელიც დაავიწყეს, თორებ წლევანდელ საშოვარს ვინდა დაეძებდა.

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

მასწავლებლის წიგნის დანართში შემოგთავაზებთ ჩვენს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ენობრივი მასალის (ლექსიკა და გრამატიკა) ათვისების შესაფასებელ ტესტებს. | ტესტი პირველი სემესტრის დამთავრებისას შეიძლება შეავსებინოთ მოსწავლეებს და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად გამოიყენოთ: რა უჭირს მოსწავლეს და რისი გამეორება დასჭირდება მას მეორე სემესტრში. მეორე ტესტი კი მეხუთე კლასის ბოლოს განმსაზღვრელი შეფასებისათვის შეიძლება გამოიყენოთ.

## 2. ინფორმაცია მოსწავლის იმპერატურის და რვეულის შესახებ

### აგეპის პრიციპები

ინფორმაცია ჩვენი სახელმძღვანელოს კომპლექტაციის შესახებ მასწავლებლის წიგნის შესავალში იყო წარმოდგენილი. აქ სახელმძღვანელოს თითოეული ნაწილის სტრუქტურული ელემენტების აგებულებაზე გვექნება საუბარი.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოს ლიტერატურის ნაწილი თემატური თავების მიხედვით არის დალაგებული და თავის შიგნით სასწავლო ერთეულია ლიტერატურული ტექსტი. ტექსტს წინ უძღვის ე.წ. სამოტივაციო კითხვარი, რომელიც მოსწავლის ყურადღების მობილიზებასთან ერთად სხვა ამოცანებსაც ისახავს მიზნად: კერძოდ, პირველ და მეორე ტექსტთან ის კითხვის სტრატეგიების (ილუსტრაციის მიხედვით ტექსტის შინაარსის ამოცნობა, კითხვის დროს წარმოსახვის მოშველიების შესხენება, ყურადღების კონცენტრაციისა და სიუჟეტის ამოცნობისაკენ მოწოდება, მოულოდნელობის ეფექტისათვის შემზადება) გააქტიურებას ემსახურება; მესამესთან გარკვეულ მიმართულებას აძლევს კითხვის პროცესს და ა.შ.

ტექტის ან მისი გარკვეული მონაკვეთის (თუ ტექსტი შედარებით ვრცელია) დამთავრების შემდეგ, წარმოდგენილია რუბრიკა: **წავიკითხოთ, დავფიქრდეთ, ვისაუბროთ.** ამ რუბრიკაში მოცემული კითხვარის დანიშნულებაა, დააფიქროს მოსწავლეები წაკითხულზე და ჩააბას ისინი ტექსტის ირგვლივ მსჯელობაში. კითხვარი ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით არის აგებული და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გამოიყენოს ის მოსწავლის ცოდნისა და უნარების შეფასების ინსტრუმენტად.

შემდეგი რუბრიკა, რომელიც შესაძლებელია, მოსდევდეს კითხვარს, არის **დამატებითი ამოცანები.** ეს რუბრიკა ემსახურება ძირითადად კითხვის სტრატეგიებზე მუშაობას, კერძოდ, წარმოსახვის გააქტიურებას, მთავარი აზრისა და დეტალების ამოცნობას, წაწარმოების გეგმის შედგენას; აქვეა წერითი სამუშაოებიც, დეტალური ინსტრუქციებით.

რაც შეეხება ჩვენი სახელმძღვანელოს ენის ნაწილს, ქვემოთ წარმოდგენილი გვაქვს ვრცელი კონცეფცია და კომენტარები სახელმძღვანელოს თითოეული სტრუქტურული ელემენტისათვის. ამიტომ აქ ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

### 3. მასწავლებლის ნიგნის პრაქტიკული ნაილი

#### კომიტეტის სახელმძღვანელოს ენის ნაილის თითოეულ სტრუქტურულ ელემენტზე

##### შესავალი

ენობრივი სასწავლო მასალის შერჩევისას ვხელმძღვანელობდით ი. გოგებაშვილის უკვდავი სიტყვებით: „ყოველ ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა...“.

ამ დებულებიდან გამომდინარე და ამ საყოველთაო აზრის გათვალისწინებით, რომ დედაენის ფლობა გენეტიკური ნიჭია, სახელმძღვანელო აგებულია ფართო მოზაიკური პრინციპით, რომელშიც, გრამატიკული სისტემის მაორგანიზებელ ელემენტებთან ერთად, ენის მრავალმხრივი შესაძლებლობებია გამოვლენილი. წიგნში გრამატიკული სისტემის ელემენტები ძირითადად პრაგმატული ნიშნით არის შემოტანილი – ან ითვალისწინებს ალსაზრდელთა ამ დონისათვის აუცილებელი სისტემური ცოდნის მოთხოვნას, ანდა ემსახურება აქტუალური ორთოეპიური და ორთოგრაფიული ამოცანების გადაწყვეტას.

რამდენადაც მოზარდისათვის ეს არის არსებითად პირველი სახელმძღვანელო „ქართული ენისა“, ანუ პირველი გაცნობა დედაენის სამყაროსთან, მასში ბევრი საკითხი იყრის თავს, მაგრამ ისინი უმეტესად ინფორმაციულ, გაცნობის ხასიათს ატარებს და არ მოითხოვს წესების დასწავლას და თეორიული ცოდნის გადმოცემას.

გაითვალისწინეთ: ბავშვის ცოდნის შეფასებაში უნდა ვიხელმძღვანელოთ არა იმით, როგორ „დაისწავლა“ გაკვეთილი, არამედ იმით, როგორ, რამდენად გაიგო დასმული ამოცანა. ამის გარკვევაში კი პარაგრაფის ბოლოს დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები და სავარჯიშოების შეასრულების ხარისხი დაგვეხმარება.

სარჩევის მიხედვით შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ მაინც ბევრი გრამატიკული საკითხი იყრის თავს. მაგრამ მათი გაცნობისას დაინახავთ, რომ მათი ნაწილი მხოლოდ გაცნობითი ხასიათისაა, ნაწილი გამეორებას ემსახურება და უმრავლეს შემთხვევაში კი საკითხი სულ სხვა კუთხით არის დასმული.

ცხადია, დიდი იქნება ცდუნება „აჯობოთ“ სახელმძღვანელოს გრამატიკის ცოდნაში, მაგრამ თუ მას დაეყრდნობით, სასურველია, არ გადააჭარბოთ (ზმნის რთული ფორმების „დაშლის“ დროც დადგება!).

სახელმძღვანელოს თემები ამგვარად არის აგებული, რომ ხშირად არის ჩართული პარალელური მასალა, თემატური გადახვევები (ძირითადად, ლექსიკისა და სტილისტიკის სფეროში). რუბრიკები „სახალისო საკითხავი“, „სახალისო ამოცანა“, „სიტყვამ მოიტანა“, „სიტუაცია და სიტყვის არჩევანი“ ემსახურება,

ერთი მხრივ, საკითხის ახლებური რაკურსით წარმოჩენას, მეორე მხრივ, ყურადღების გადატანას, მზერის გადანაცვლებას ენის განსხვავებული და უფრო ღრმა შრებისაკენ. „მოზაიკურობის“ პრინციპის გამოხატულებაა ის, რომ სისტემის ჩვენებას ენაცვლება ორთოგრაფიის ამოცანა, ამ უკანასკნელს – სიტყვის შერჩევის საკითხი, მას – სტილისტიკური ამოცანა თუ წიაღსვლა სიტყვის წარმოშობის შესახებ და მისთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თითქმის ყოველი მეცადინეობისას ორ ძირითად მიმართულებას: მართლწერის ამოცანებსა და ზეპირ-მეტყველების კულტურას. თუ სწავლების ამ დონეზე ენობრივი სისტემისა და სტრუქტურის ელემენტები შემოგვაქვს, ამის მთავარი მიზანი არის ის, რომ მოსწავლეს ენის გამოყენების პრაქტიკულ ამოცანაზე გაუმახვილოთ თვალი და ყური; განსაკუთრებით აქტიური, ტიპობრივი დარღვევებისაგან დასაზღვევი გზები გამოვნახოთ.

ერთი სიტყვით, მშობლიური ენის შეთვისების პრაქტიკული მხარე სწავლების ამ ეტაპზე წამყვანი ნიშანია.

რაც შეეხება ზეპირმეტყველების კულტურას, ამ ამოცანას ემსახურება საგანგებო მასალა რუბრიკით „სიტუაცია და სიტყვის არჩევანი“, რომელიც ენობრივი ამოცანის კომპლექსურ (აზრობრივი, ფსიქოლოგიური, ეთიკური ასპექტების) გათვალისწინებას მოითხოვს;

ამ ტიპის სახელმძღვანელოს მთავარი მიზანი მოზარდში ჯერ კიდევ ჩამოყალიბებადი ენობრივი უნარ-ჩვევების განმტკიცება, ლექსიკური საგანძურის გამდიდრება და ფრაზის აგების სრულყოფაა. ამ ამოცანას სახელმძღვანელოს არაერთი პირობა ემსახურება.

სახელმძღვანელო დაყოფილია ხუთ თემატურ ბლოკად (თავად). პირველი ბლოკი წარმოაჩენს ენის მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში; შემდეგ მოდის ფონეტიკური საკითხები; მესამე ბლოკში – სიტყვა (ლექსიკა) და მეოთხეში – წინადადება. ამ თემატურ მიმდევრობას ფაქტობრივად განსაზღვრავს ენობრივი მშენებლობის იერარქია. ბოლო ადგილი ეთმობა სიტყვათა კლასებს (ანუ მეტყველების ნაწილებს). შეიძლება ითქვას, ეს მხოლოდ გაცნობაა, შთაბეჭდილების შექმნაა იმ მასალის შესახებ, რომელმაც შემდგომ გრამატიკული კატეგორიების რთული სისტემა უნდა მოგვცეს. ამ ბლოკის ბოლოში მოქცევაც სწორედ მორფოლოგიის სირთულით არის განპირობებული.

ენის გაკვეთილების საილუსტრაციო მასალა უპირატესად ეყრდნობა წინა და ამავე კლასის სასწავლო ლიტერატურულ ტექსტებს. ეს გამიზნული მეთოდური მიდგომაა, რათა მოწაფე მუდმივად გრძნობდეს „ენისა“ და „ლიტერატურის“ განუყოფელ კავშირს, მათ მთლიანობას. ახალ, „უცხო“ თემატიკაში ნაცნობი ფაქტების აღმოჩენის შესაძლებლობა ფსიქოლოგიურადაც გამართლებული ხერხია. საზოგადო პრინციპია, რომ ლიტერატურა, სიტყვიერი შემოქმედება მთელი თავისი სიმდიდრით მონაწილეობდეს ენობრივი საკითხების სწავლების პროცესში, ვინაიდან ენის პირველი მასწავლებელი სწორედ მნერლობაა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაკვეთილის ტექსტებსა და საილუსტრაციო მასა-

ლებს შორის არცთუ იშვიათად არის ჩართული ლიტერატურული ფრაგმენტები, „თემატური“ ლექსები და სხვა. ისინი სავალდებულო საზეპირო ტექსტები არ არის, თუ რაიმე ცალკე მითითება არ ახლავს.

სახელმძღვანელოს ახლავს „მოსწავლის რვეული“, რომელშიც წარმოდგენელია თითოეული პარაგრაფის შესატყვისი თემატური სავარჯიშოები (იშვიათად, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სახელმძღვანელოს რომელიმე პარაგრაფს რვეულში შესატყვისი თემატური მონაკვეთი არ გააჩნია). დავალების შესრულება რვეულში მოითხოვს სიზუსტესა და ლაკანურობას; რვეულის სავარჯიშოები მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისათვის, იმის მიხედვით, სახლში მისცემს დავალებას შესასრულებლად თუ საკლასო ოთახში.

## I თავი

### ენა და ადამიანი

პირველ თავს ჰქვია „ენა და ადამიანი“ და ის მოიცავს ისეთ საკითხებს, რომებიც მოზარდს პოპულარული ფორმით მიაწვდის ცნობებს ენის რაობისა და წარმოშობის შესახებ, შეაგრძნობინებს იმ უზარმაზარ სამყაროს, რასაც ადამიანის ენა ქმნის დანარჩენი ცოცხალი სამყაროს ინფორმაციულ შესაძლებლობებთან შედარებით.

აქ გასათვალისწინებელია ის, რომ V კლასში მოსწავლე პირველად იწყებს „ქართული ენის“ დამოუკიდებელ საგნად სწავლას და მან უნდა გაიგოს, რას ეხება და რატომ არის აქტუალური ეს საგანი. მან უნდა დაინახოს, რომ ქართული ენა ერთ-ერთი ნაწილია ამ უზარმაზარი სამყაროსი და, ამავე დროს, მისი დედაენა გამორჩეულია იმით, რომ ის ერთადერთია, როგორც სისტემა, რომ ის უნიკალურია თავისი ისტორიითა და აგებულებით.

ამავე დროს, ამ თავის წყალობით, ნელ-ნელა ხდება შემზადება და გადასვლა ბგერებზე, ანუ იმ ფუნდამენტზე, რომელსაც ენის ფონეტიკური სისტემა ჰქვია და რომელიც მართლაც ძირითადი გასაღებია ამა თუ იმ ენის მთელი აგებულებისა.

სახელმძღვანელო ორიენტირებულია იმაზე, რომ ნათლად და თანამიმდევრულად წარმოჩნდეს ენობრივი სინთეზის პროცესი: ბგერა – მარცვალი – სიტყვა – წინადადება – აზრი.

ამ თავში შემავალი მასალა ინფორმაციული ხასიათისაა და მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ თავებისაგან, სადაც კონკრეტულ ენობრივი ამოცანებია დასმული და სავარჯიშოებია შესასრულებელი.

მოცემული გაკვეთილები არ არის მოსაყოლად გათვალისწინებული, ამიტომაც მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს მიწოდებული ინფორმაციის გაგების დონე და არა ტექსტის ცოდნა. ამის შესამოწმებლად კითხვებიდან ამოსვლა სრულიად საკმარისია.

## **პირველი პარაგრაფი ენის როლი ადამიანის ცხოვრებაში**

ეს არის ერთგვარი შესავალი თავი, რომელიც უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ენის როლის გაცნობიერებაში. რა როლს ასრულებს ენა ადამიანის ცხოვრებაში? სახელმძღვანელოს ეს პარაგრაფი და განსაკუთრებით რვეულის სავარჯიშო უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ენის ოთხი ფუნქციის ამოცნობაში. მან უნდა გააცნობიეროს, რომ ენა არის არა მხოლოდ გაგებინების (კომუნიკაციის) საშუალება, ენა არის სწავლის, ანუ სხვისი გამოცდილების ათვისების საშუალება, ამავე დროს ენა არის ფიქრის, აზროვნების ინსტრუმენტი და ბოლოს, ენა არის თვითგამოხატვის საშუალებაც.

### **მეორე პარაგრაფი ადამიანის ენა და ცხოველთა სიგნალები**

ამ პარაგრაფში დაისმის საკითხი: რა განსხვავებაა ადამიანის ენასა და ბუნებაში „ცხოველთა ენას“, ანუ ცხოველთა საკომუნიკაციო საშუალებებს შორის?

ეს კითხვა უფრო ზოგად საკითხს გულისხმობს: რა არის ენა?

თუ ენა არის ყოველგვარი საშუალება ინფორმაციის გადასაცემად, მაშინ ადამიანის მეტყველებაც და სხვა არსებათა მსგავსი საშუალებებიც ენად უნდა იწოდოს. უნდა ითქვას, რომ ამგვარ გაერთიანებას მიმართავენ კიდეც. ამის დასტურია თუნდაც ტერმინი „ცხოველთა ენა“, ბრჭყალებში ჩასმული თუ უბრჭყალებოდ.

მაგრამ ისიც სრულიად აშკარაა, რომ ადამიანის ენა განსხვავებული ფენომენია და შეუძლებელია ის კომუნიკაციის პრიმიტიულ საშუალებებთან გავაიგივოთ.

ამ თემამ როგორმე უნდა გამოკვეთოს არსებითი განსხვავება ამ ენებს შორის. მაგრამ – როგორ?

თემაზე საუბარი შეიძლება დავიწყოთ ამგვარი კითხვით:

– ესმით თუ არა ერთმანეთის ბეჭედი საკუთარ აივანზე მდგომ ბავშვსა და ამავე აივანზე დაბუდებულ მოჟღურტულე მერცხალს?

– ცხადია, ესმით!

– მაგრამ ასევე ესმით თუ არა მათ, რას ამბობს თითოეული მათგანი საკუთარი ბეჭედით?

– ასევე ცხადია, არა!

– რატომ არ ესმით?

ყველაზე მარტივი პასუხი ამ კითხვაზე იქნებოდა:

– იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ.

მაშ, ამ შემთხვევაში ისეთივე ვითარება გვქონია, როგორიც, ვთქვათ, ქართულად და ჩინურად მოლაპარაკეს შორის, ერთმანეთის ენის არცოდნის პირობებში.

მაგრამ ეს ხომ ასე არ არის! ამის საბუთია, ის, რომ ქართველსა და ჩინელს

ერთმანეთის ენების სწავლა შეუძლიათ, კაცსა და მერცხალს კი – არა. კაცი ვერასოდეს ეტყვის მერცხალს მის ენაზე: „ფრთხილად, კატა გეპარება!“ ვერც მერცხალი ეტყვის კაცს მის ენაზე: „კატის მეშინია!“ თუნდაც მხოლოდ – „ვაი!“

მაში, ადამიანის ენასა და ცხოველთა ხმიანობას შორის უფრო არსებითი განსხვავება ყოფილა. რა არის ეს განსხვავება?

არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის ბგერები დანაწევრებული მეტყველების ელემენტებია, რომელთა სინთეზმა უფრო რთული ელემენტები, მნიშვნელობის მატარებელი კომპლექსები – სიტყვები – უნდა მოგვცეს. ხოლო ცხოველური ბგერები მხოლოდ სიგნალებია, რომელთა „შინაარსი“, რაიმე შედგენილობის სახით, მათშივეა მოცემული. მათი არსებობა ამით მთავრდება, ისინი „სიტყვას“ ვერ შექმნიან. ასეთივე სიგნალებია სხვადასხვა მოძრაობები.

ამგვარად, სიგნალების „ენა“ და ადამიანის მეტყველება სულ სხვადასხვა ოდენობებია და მათი გაიგივება შეუძლებელია. ცხოველები კი არ ელაპარაკებიან ერთმანეთს, არამედ სიგნალებს გადასცემენ.

გაკვეთილის ტექსტიდან მოსწავლემ სწორედ ეს ძირითადი დასკვნა უნდა გამოიტანოს: ადამიანის ენასთან შედარებით ცხოველთა სიგნალები მხოლოდ მარტივი პირობითი ნიშნებია.

ასეთი პირობითი ნიშნების მაგალითად ტექსტში მოყვანილია კრუხის ხმოვანი სიგნალი და იქვე ფუტკრის „ცეკვის“ ილუსტრაცია, როგორც უხმო სიგნალის ნიმუში. ფუტკრები ამგვარი „ცეკვებით“ საკმაოდ ზუსტ და რთულ ცნობებს გადასცემენ, მაგრამ ეს მაინც არ ცვლის ამ „ენისადმი“, როგორც სიგნალებისადმი, დამოკიდებულებას.

პარაგრაფს ერთვის (სახელმძღვანელოშიც და რვეულშიც) სავარჯიშოები, რომლებიც სწორედ სხვადასხვა ხმიანობას უკავშირდება.

## მესამე პარაგრაფი სიგნალები ჩვენ ირგვლივ

ეს თემა წინა თემის უშუალო გაგრძელებაა, კერძოდ, აქ უფრო მეტად გამოიკვეთება სიგნალების განსხვავება ენისაგან იმით, რომ წარმოჩენილია თვით ადამიანთა ურთიერთობებში გამოყენებული პირობითი ნიშნები, ანუ სიგნალები.

დავიწყოთ იმით, რითაც ადამიანი ალბათ ყველაზე მეტად ბაძავს ფრინველებს – ეს არის ადამიანის მიერ გამოცემული ერთერთი ყველაზე მკვეთრი ბგერები – სტვენა.

დავუშვათ, ადამიანმა შორს, ქუჩის ბოლოს დაინახა მეგობარი, რომელიც ეს-ესაა თვალს უნდა მიეფაროს. იგი სასწრაფოდ მიმართავს ამ შემთხვევისათვის ყველაზე მოსახერხებელ საშუალებას – სტვენას.

რა არის სტვენა?

– სტვენა, ცხადია, ბგერებია, მაგრამ მას არა აქვს კონკრეტული შინაარსი, ანუ არ არის სიტყვა. სტვენა რაღაცის ნიშანია, მაგრამ რისი, ამის გამოხატვა მას არ შეუძლია. კონკრეტულ შემთხვევაში ის შეიძლება ნიშნავდეს: „მოიხედე“,

„მოიცადე“, „ფრთხილად“, „გაიქეცი“, „აქა ვარ“ და სხვა. ამ კონკრეტული შინაარსის გამოხატვა სიტყვიერი მიმართვის დროს შეგვიძლია, სტვენით კი მხოლოდ ყურადღებას მივიქცევთ. ამიტომაც სტვენა ტიპური სიგნალია და ამგვარი ბგერების განსხვავება სამეტყველო ბგერებისაგან სრულიად აშკარაა.

გაკვეთილის ტექსტში საუბარია ჩვენს ცხოვრებაში გამოყენებულ ორი ტიპის პირობით ნიშნებზე: ხმოვან და უხმო სიგნალებზე. საილუსტრაციოდ არაერთი სხვა შემთხვევის მოხმობაც შეიძლება; მეცადინეობის მსვლელობის დროსაც შეიძლება ასეთი ეპიზოდის გათამაშება:

მასწავლებელი ფანქრით აკაკუნებს მაგიდაზე. რა გამოხატა ამ კაკუნით მასწავლებელმა? ცხადია, წყრომა, მაგრამ რა შეიძლება ყოფილიყო ეს წყრომა სიტყვიერად?

მასწავლებელი დასვამს კითხვას – „რის თქმა მინდოდა ამით?“ – და თვითონვე სთავაზობს მოსწავლეებს შესაძლებელ ვარიანტებს:

- ვიღაც ხმაურობს!
- ჩუმად, ხელი მეშლება!
- ერთმანეთს ნუ უშლით!
- კარგით რა, დავიღალე ამდენი შენიშვნით!

რომელ მათგანს გულისხმობს აღნიშნული ფანქრის კაკუნი?

შეიძლება გულისხმობდეს ნებისმიერ მათგანს და, ამავე დროს, არცერთს, ვინაიდან მას კონკრეტული შინაარსი არა აქვს.

ამის მიზეზი ის არის, რომ ფანქრის კაკუნი სიგნალია და არა – სიტყვა, ის მხოლოდ ნიშანია, შეტყობინება და არა – აზრი.

შეიძლება არაერთი სხვა შემთხვევის წარმოდგენაც მაგალითად:

ა) ღამეა. თქვენ მუსიკაში ვარჯიშობთ. კედელზე მეზობელი აკაკუნებს. რას „გეუბნებათ“ იგი?

ბ) ფეხბურთის მსაჯი ყვითელ ბარათს იღებს და ერთ-ერთ ფეხბურთელს უშვერს. რას „ეუბნება“ ამით?

ამის შემდეგ შეიძლება გავეცნოთ გაკვეთილის ტექსტს, რომელშიც სიგნალის ორი ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა წარმოდგენილი: შუქნიშანი და სკოლის ზარი. სხვათა შორის, ეს ამოცანა შეიძლება უფრო საინტერესო გავხადოთ ასეთი კითხვებით:

– შეიძლება თუ არა მწვანე ნიშნავდეს აკრძალვას, ნითელი – ნებართვას?

– რისი სიგნალია მოციმციმე შუქნიშანი და აქვს თუ არა მის ფერს მნიშვნელობა?

– სკოლის ზარი აღნიშნავს გაკვეთილის დაწყებასაც და დამთავრებასაც. როგორ ვიგებთ, რომელს გვანიშნებს? შეიძლება თუ არა, დაწყებას და დამთავრებას სხვადასხვა ნიშანი ჰქონოდა? როგორ?

რვეულში მოცემულია სავარჯიშო, რომელიც სასვენ ნიშნებს წარმოადგენს, როგორც სიგნალებს. ისინი სიტყვებს შორის მართლაც ტიპური სიგნალებია, ვინაიდან სიტყვიერი გამოხატულება არ გააჩნიათ და გარკვეულ საწარმოთქმო ნიშანს გვაძლევენ (შემდეგ ვნახავთ, რომ პირიქითაც შეიძლება დამყარდეს კა-

ვშირი).

ამ პარაგრაფში პირველად შემოდის რუბრიკა: „სიტუაცია და ენობრივი არჩევანი“. ეს რუბრიკა მიზნად ისახავს გარკვეულ დაკვირვებასა და ვარჯიშს სხვადასხვა ენობრივ ვითარებაში სწორი რეაგირებისათვის. აქ სამეტყველო რეაქცია დაკავშირებულია ქცევის ეტიკეტთან და მეტყველების კულტურის საწყის ელემენტებს გულისხმობს.

მასნავლებელი ძალზე გულისხმიერად უნდა მოეკიდოს ამ ამოცანას და სიტუაცია, შესაძლებელი ვარიანტები რაც შეიძლება დეტალურად დაამუშაოს. შემოთავაზებულ ვარიანტთაგან ყველა გადაწყვეტილება დასაშვებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამეტყველო ამოცანას და საურთიერთო ეთიკის ნორმებს. თუ ამოცანას სერიოზულად მოვეკიდებით, არჩევანის სირთულე, შესაბამისად, ნათელი გახდება.

მაგალითისათვის, ავიღოთ შესაძლებლობა, რომ თქვენ უსიტყვოდ ტოვებთ წვეულებას. ეს გადაწყვეტილება, ერთი შეხედვით, ყველაზე უმტკივნეულოა, თქვენ თავს არიდებთ ზედმეტ გართულებას, რაც შეიძლება მოჰყვეს სიტყვიერ ჩარევას.

მაგრამ სინამდვილეში ეს არის ერთ-ერთი უარესი გამოსავალი: ჯერ ერთი, თქვენ უტაქტოდ ექცევით პატივისმცემელ ოჯახს, მეორე – მეგობარს ტოვებთ ისეთ სიტუაციაში, როდესაც მას თქვენგან თანადგომა სჭირდება და არა – გაქცევა!

სწორედ ასე უნდა იქნეს აწონილ-დაწონილი ყოველი ვარიანტი.

გაითვალისწინეთ: ეს პირველი მასალა იმ პრინციპითაც არის შერჩეული, რომ მასში სიგნალების ენის შესაძლებლობებიც არის გამოყენებული. იფიქრეთ მის მიზანშეწონილობაზე!

## მეოთხე პარაგრაფი

### ჟესტი და მიმიკა

თემის საგანია ჟესტი და მიმიკა, ანუ გარკვეული ფიზიკური მოძრაობების გამოყენება ჩვენი განწყობის, დამოკიდებულების გამოსახატავად. ეს თემა არის „სიგნალების ენის“ ორგანული გაგრძელება და შეიძლება წინა დავალების შემოწმების პროცესი ამის საილუსტრაციოდაც გამოვიყენოთ.

კერძოდ: გამოკითხვის დროს ბავშვები, ბუნებრივია, „ხელს იწევენ“, ზოგი – ძალიან აქტიურადაც. ამავე დროს, მასნავლებელს ასევე შეუძლია ხაზგასმულად მიაშვიროს თითო იმას, ვისაც უნდა უთხრას: „აბა, შენ მიპასუხე!“

ახალ მასალაზე გადასვლის დროს მასნავლებელი სვამს კითხვას:

– რას ნიშნავს მასნავლებლის შეკითხვის პასუხად მოწაფის აწეული ხელი?

– უფრო მაღლა და ენერგიულად აწეული ხელი?

მოსალოდნელი პასუხების შემდეგ ვეკითხებით:

– რაღას ნიშნავს ხელაწეული მოწაფისკენ მასნავლებლის გაშვერილი თითო?

ცხადია, ნიშნავს „მიპასუხე!“, მაგრამ ყოველთვის ასეა? მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ქუჩაში შემხვედრი გეკითხებათ:

– ყმაწვილო, რომელია (საითაა) თქვენი სკოლა?

თქვენ თითის გაშვერით პასუხობთ:

– აი, ის (იქით).

რას ნიშნავს ეს მოძრაობა ამ შემთხვევაში?

მაშ, ერთმა და იმავე მოძრაობამ შეიძლება სხვადასხვა შინაარსი გამოხატოს.

ამის შემდეგ შეიძლება განვმარტოთ: ხელის ამგვარ, რაიმეს მანიშნებელ მოძრაობებს ჰქვია უესტი.

უესტი შეიძლება სხვა ორგანოთა მოძრაობებითაც იყოს გამოხატული. მაგალითად: თავის დაკვრა, წელში მოხრა, მხრების აჩეჩვა, თავის გაქნევა...

თითოეულის კონკრეტული დანიშნულების ილუსტრირება შეიძლება.

რაღა არის მიმიკა? შეიძლება კითხვა ასე დავსვათ:

– ერთ-ერთი მოწაფის პასუხზე მასწავლებელმა შუბლი შეიჭმუხნა? რას გამოხატავს სახის ნაკვთების ეს მოძრაობა – კმაყოფილებას თუ უკმაყოფილებას?

– რომელს უფრო ნიშნავს: პასუხი სწორი არ არის, თუ – მოსაწონი არ არის?

– როგორ გამოხატავდა იგი უესტით „არას“?

ამგვარად: მიმიკა არის სახის ნაკვთების მოძრაობა რაიმე განწყობის, დამოკიდებულების გამოსახატავად.

ამის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ გაკვეთილის ტექსტის შეყოვნებებით კითხვაზე. შეყოვნებები თემის გარკვეულ გალრმავებას გულისხმობს.

– ჩვენ ვნახეთ, რომ სიგნალების ენა ცხოველებისთვის არის დამახასიათებელი. აქვს თუ არა უესტ-მიმიკა ცხოველებს?

– ვთქვათ, რა არის ძალლის კუდის ქიცინი, ყურების დაყურსვა, თვალების მოწყურვა?..

ძალლის კუდის ქიცინი კეთილგანწყობის („ზავის“) ნიშნად ითვლება, მაგრამ ძალლი გამიზნულად აკეთებს ამას?

არა, ძალლი ამას ავტომატურად, ინსტინქტურად აკეთებს. ცხოველთა ნაკვთების მოძრაობები იმიტომაც არ შეიძლება ჩაითვალოს უესტ-მიმიკად, რომ ისინი ამას გამიზნულად, რაიმე შინაარსით არ მიმართავენ.

ესეც არის განსხვავება ცხოველთა სიგნალებსა და ადამიანთა პირობით ნიშნებს შორის.

მეორე მომენტი, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს, არის ის, რომ უესტ-მიმიკას, მეტყველებისაგან განსხვავებით, არა აქვს ერთი გამოკვეთილი შინაარსი. ის შეიძლება სხვადასხვა რამეს გამოხატავდეს, ზოგჯერ – სრულიად საპირისპიროსაც. ამიტომაც მნიშვნელოვანია იმ სიტყვების თანხლება, რომლებიც უესტ-მიმიკას აზუსტებენ, მაგალითად: „მწარედ გაიღიმა“ და „კმაყოფილებით გაიღიმა“ სხვადასხვა რამეს გამოხატავს.

სავარჯიშო უესტ-მიმიკის გამომხატველ ხატოვან გამონათქვამებს ეხება. ეს გამონათქვამები მიანიშნებს, რა ღრმა ფესვები აქვს ენაში უესტ-მიმიკას და სავარჯიშოს პირობაში ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამგვარი გამონათქვამების პოვნა, არამედ მათი ახსნა, განმარტება. თუ დრო იძლევა შესაძლე-

ბლობას, მივცეთ მოწაფეებს კლასში სამუშაო, შეადგინონ ამ გამონათქვამების გამოყენებით ახალი წინადადებები.

## მეხუთე პარაგრაფი რამდენი ენაა მსოფლიოში?

მასწავლებელი ამბობს: ჩვენი დედაენა არის ქართული ენა. ჩვენს მეზობლად ასევე ცხოვრობენ ხალხები, რომელთაც საკუთარი დედაენა აქვთ. მთელ მსოფლიოში ასეთი ენები ბევრია...

როგორ გგონიათ, მაინც რამდენი ენა უნდა იყოს მსოფლიოში?

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ, რომელიც შეიძლება მეტნაკლებად მიახლოებული იყოს ნამდვილ რაოდენობასთან, ვინაიდან ზუსტი ციფრი არ არსებობს, მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს:

– მოდით, ახლა სახელდობრ გავიხსენოთ, რომელი ენები გაგვიგონია?

აღვრიცხოთ მათ მიერ დასახელებული ენები და აღმოჩნდება, რომ მათი რაოდენობა ერთ ათეულს არ გადააჭარბებს.

მეორე საორიენტაციო საკითხად შეიძლება დავსვათ:

– რახან სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკენი ვერ უგებენ ერთმანეთს, ესე იგი ისინი სხვადასხვა ენებია. მაგრამ რას ნიშნავს ეს განსხვავება? რითი ჰგვანან ენები ერთმანეთს და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებად არის მოსალოდნელი ანგარიშგასაწევი პასუხები, მაგრამ ყოველ გონივრულ აზრს ვინიშნავთ და ვინახავთ ტექსტის გაცნობის შემდგომი პერიოდისათვის, რათა მათი მიხვედრილობა სათანადოდ შეფასდეს.

და კიდევ ერთი კითვა:

– შეიძლება თუ არა მსოფლიო ენათა მუდმივ ურთიერთჭიდილში რომელიმე ენამ ისე დათმოს ასპარეზი, რომ გადაშენდეს?

ბუნებრივია, პასუხი იქნება დადებითიც და უარყოფითიც.

ამიტომაც მასწავლებელი ამბობს:

– უსაბუთოდ ყველაფრის თქმა შეიძლება. საბუთი კი ის იქნებოდა, თუ ამის ერთი მაგალითი მაინც იარსებებდა. თუ კაცობრიობის არსებობის განმავლობაში ენის გადაშენების ერთი შემთხვევაც არ არსებულა, მაშინ ამგვარი რამ არც ყოფილა შესაძლებელი. თუ გაგიგონიათ ასეთი შემთხვევა?

უმეტესობა იტყვის „არას“, მაგრამ თუ რომელიმე დაასახელებს კონკრეტულ (სწორ) მაგალითს, მასწავლებელი ამბობს:

– დიახ, ასეთი საფრთხე ენებს, შესაძლოა, მართლაც ემუქრებოდეს!

ამის შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის ტექსტს – „რამდენი ენაა მსოფლიოში“.

ტექსტის გაცნობის შემდეგ ვიწყებთ იმ ინფორმაციის განმტკიცებას, რომელიც ტექსტიდან მივიღეთ. ამ მიზნით ვიყენებთ პარაგრაფის ტექსტის მომდევნო კითხვებს.

როგორც ვხედავთ, ეს საინფორმაციო ტექსტი ისეა წარმართული, რომ ბო-

ლოს ის ხიფათიც წარმოჩნდეს, რაც მცირერიცხოვან ენებს ემუქრება. აქ შემოდის ემოციური მუხტი, რომლის აქცენტირება საჭიროა; აქცენტირება, უწინარესად, დედაენის ღრმად შესწავლის მიმართულებით.

ენების გადაშენების მაგალითად სხვა შემთხვევებიც შეიძლება იქნეს მოყვანილი და ისიც ვუთხრათ, რომ უკვე გარდასულ ენებს მკვდარ ენებს ეძახიან. მკვდარი ენების მაგალითია ძველი ბერძნული, ლათინური, ალბანური... ეს უკანასკნელი ერთ-ერთი კავკასიური ენა იყო, ძველი დამწერლობით, რომელიც, სხვათა შორის, ქართველების მიერ არის შესწავლილი. ალბანელები დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ჰქონდათ სახელმწიფო. დღეს კი გადაშენებულად ითვლებიან.

ენების შენარჩუნება-გადარჩენაზე ზრუნვა მთელი კაცობრიობის და ყოველი ჩვენგანის სერიოზული პრობლემაა.

აქ შეიძლება ის კითხვაც დაისვას, ემუქრება თუ არა ასეთი საშიშროება ქართულ ენას...

ამ ფონზე ღიმილს იწვევს ესტონური ლეგენდა „სახალისო საკითხავის“ რუბრიკით და მას ასეც უნდა მოვეკიდოთ. ოლონდ მისი გაცნობის პროცესში სერიოზულად ვუდგებით ამ ტექსტსაც და თანდართულ კითხვებსაც, რომ ბავშვები თვითონ მივიღნენ ლოგიკურ დასკვნამდე, კერძოდ, იქამდე, რომ ეს მეზღაპრის ფანტაზიის ნაყოფია, ოლონდ – ენათა სხვაობის რეალური შეგნებით.

შენიშვნა: საზოგადოდ, რუბრიკა „სახალისო საკითხავი“ სახელმძღვანელოში ბავშვების ყურადღების გარკვეულ გადართვას ისახავს მიზნად. ის მოსაყოლად არ არის გამიზნული, თუმცა თავის კვალს რაღაც ცოდნის სახით ყოველთვის ტოვებს.

ესტონური ლეგენდა უკავშირდება ენების განსხვავებას ფონეტიკური უღრადობით. ეს რომ ასეა, ამ დროისათვის ბავშვებს უკვე საკუთარი ყურით აქვთ შეგრძნობილი და სამეტყველო ფიზიოლოგითაც განცდილი (რომელიმე უცხო ენის სწავლის დროს). შეიძლება ამ უღრადობის სხვაობაზე ემპირიული დაკვირვებაც, თუ რომელიმე მოსწავლეს წარმოვათქმევინებთ ქართულ და უცხო ფრაზებს. რას ემყარება ეს განსხვავება? ენის ფონეტიკურ აგებულებას, კერძოდ, იმ სპეციფიკურ ბერძნულ ბერძნულ ენებში განსხვავებულია, ამ ბერძნულ განსხვავებულ კომბინაციებს, მახვილს, მეტყველების ტემპსა და რიტმს... მაგრამ არც ერთ ამ ასპექტზე მასწავლებელი ყურადღებას არ გაამახვილებს, გარდა იმისა, რაც სახელმძღვანელოში წერია: ენებს აქვთ განსხვავებული ბერძნული და ცალკეული ენების მეტყველების რიტმი (სისწრაფე) განსხვავებულია.

## მეექვსე პარაგრაფი ქართული ენა

ამ პარაგრაფის მიზანია, გამოიკვეთოს ის, რომ ქართველთა დედაენა – ქართული ენა – ერთ-ერთი უნიკალურია მსოფლიო ენათა შორის.

მასწავლებელი იწყებს იმის შემოწმებით, ვინ რომელ კუთხეს იცნობს; რითი მიუქცევია ამ კუთხეებს ბავშვების ყურადღება და თუ შეუმჩნევიათ მათი მე-

ტყველების განსხვავებულობა სალიტერატურო ქართულთან შედარებით. შეიძლება იმაზეც გადავიტანოთ ყურადღება, რა იყო ის თავისებურება, რომელიც ბავშვებმა შეამჩნიეს.

შემდეგ ვსვამთ კითხვას: რა და რა კუთხეებია საქართველოში? თანაც აღვრიცხავთ, რომელი კუთხეები დასახელდა ბავშვების მიერ.

შემდეგ გადავდივართ იმ ლექსის გახსენებაზე, რომელიც მეორე კლასში ისწავლეს ბავშვებმა და რომელსაც „საქართველო“ ჰქვია. ამ ლექსში საქართველოს ყველა კუთხეა ჩამოთვლილი, მათ შორის – ისტორიულად ჩამოცილებულიც ჩვენი ქვეყნიდან. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კუთხეებია: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო, რაჭა, ლეჩეუმი, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, თუშეთი.

თითოეული ეს კუთხე მეტყველების მეტ-ნაკლებით თავისებურებით გამოირჩევა. ზოგის გაგება აღარ ხერხდება, ანუ ისინი ცალკე ენებად არის ჩამოყალიბებული (ასეთია მეგრული და სვანური); დანარჩენებში არსებული განსხვავებები კი იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთმანეთთან ამ კილოებზე საუბრის დროს გაგებინება მოხერხდეს.

ერთი კანონზომიერებაც: რაც უფრო ცენტრთან ახლოა დიალექტი, მით უფრო ახლოს არის ის სალიტერატურო ქართულთან, რაც უფრო შორის არის – მით უფრო მეტია მასში განსხვავებული და თავისებური.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ კილოების განსხვავებები დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა. კილოს დაცილებას ხელს უწყობდა ტერიტორიული და საკომუნიკაციო იზოლაცია, რაც გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა საუკუნეებში არ არსებობდა რადიო-ტელევიზია, არ იყო გზები და ტრანსპორტი და მთებში და ხეობებში მოწყვეტილი კუთხეები ბუნებრივი იზოლაციის პირობებში ვითარდებოდნენ.

საზოგადოდ, ენისათვის დამახასიათებელია ცვლილება დროთა განმავლობაში, მაგრამ ეს ცვლილება მით უფრო საგრძნობი ხდება, რაც უფრო მეტია იზოლაცია; მით უმეტეს, ყოველი კუთხე თავისებურ მეურნეობას ავითარებდა, რაც ასევე აისახებოდა ამ ხალხის დედაენაში. ამაზე ფაქტებით ცოტა გვიან იქნება საუბარი და აქ გარკვეული ნიადაგი შემზადდება ამისათვის.

აქედან ერთი დასკვნაც გამომდინარეობს და ეს შეიძლება გამოვიყენოთ: თუ კილოებში ცვლილებები დროთა განმავლობაში იმატებს, მაში, უფრო ადრე და ადრე ეს განსხვავებები ნაკლები და ნაკლები იყო, ანუ ქართული უფრო ერთიანი იყო, ვიდრე ისტორიულმა პროცესებმა ჩამოყალიბა.

ამის შემდეგ მონაფეებს ვაცნობთ ტექსტს და ყურადღებას ვამახვილებთ რამდენიმე ძირითად დებულებაზე:

ა) კავშირი ტერმინებისა: საქართველო, ქართველი, ქართული.

ქვეყნის, ეროვნებისა და ენის სახელწოდებები წარმომავლობით ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ის მიანიშნებს, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ამ ერის როლი გადამწყვეტია.

ბ) ქართული დედაენაა. ეს ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ქართული ჩვენი მშობლიური ენაა და ის დედად არის დასახული, არამედ იმასაც, რომ „დედაენა“ ნიშნავს მთავარ ენასაც (გავიხსენოთ დედაბოძი „ქართული დარბაზიდან“). აქედან გამომდინარე:

გ) ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა.

რას ნიშნავს სახელმწიფო ენა? – სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია, რომელიმე ერთი ენა იყოს მთავარი და ოფიციალურად სავალდებულო, ანუ: ოფიციალურ ურთიერთობებსა, ინფორმაციის საშუალებებსა და სწავლა-განათლებაში ის არის საურთიერთო ენა.

სხვათა შორის, ტერმინი „ინფორმაციის საშუალებები“ გამოყენებულია იქ, სადაც ქართული ენის განვითარებაზეა საუბარი. აქ იგულისხმება არა მხოლოდ პრესა, რადიო-ტელევიზია, არამედ – თანამედროვე კომპიუტერი და ინტერნეტიც.

სახელმწიფო ენა გულისხმობს მოქალაქეთა მოვალეობას, ყველამ ერთნაირად იზრუნოს სალიტერატურო ენის დაცვაზე, შეისწავლოს და გამოიყენოს ის ყველგან, სადაც ამის ვალდებულება (აუცილებლობა) არსებობს.

ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეროვნებისა, ერთნაირად არის ვალდებული სახელმწიფო ენის მიმართ.

დანარჩენ ასპექტებზე (მწერლობა, განათლება, მეცნიერება...) შეჩერება შესაძლებელია არსებული დროის გათვალისწინებით.

ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევთ საშინაო დავალებას: წაიკითხონ ტექსტი და წერილობით გასცენ პასუხი დასმულ კითხვებს.

გაკვეთილს ახლავს თითო სტროფი მეგრული, სვანური, თუშური და ხევსურული პოეზიიდან. ამ ნიმუშებში არსებით ენობრივ განსხვავებას ბავშვები თვითონაც დაინახავენ და აქ შეიძლება შევჩერდეთ მხოლოდ შთაბეჭდილებაზე და არ მივმართოთ ტექსტის არანაირ თარგმნას (მით უფრო – ანალიზს).

ცნობილი მეგრული მითოლოგიური ლექსი პირველად მესამე კლასში იქნა შეტანილი სპეციალურ ტექსტში („ქართული დარბაზი“). მიზანი ამისა არის ერთგვარად „ყურის მიჩვევა“ იმ მასალისათვის, რომელიც შეიძლება რომელიმე რეგიონში გასაგონად უცხო იყოს. აგრეთვე ბავშვების ცნობიერებაში იმის ჩან-ერგვა, რომ ის, რაც ქართულ ენას, ფართო გაგებით, ეკუთვნის, ძალზე მრავალმხრივია და მრავალფეროვანი; რომ ყოველივე ეს ერთი მთლიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილია.

ახლა ამ ნაცნობ მასალას ემატება სვანურის, აგრეთვე თუშური და ხევსურული პოეზიის ნიმუშები. მართალია, ამ ნიმუშების არც დასწავლაა გამიზნული და არც, მაინცდამაინც, ტექსტის გაგება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ბავშვების ცნობისმოყვარეობას, მოგვყავს მათი განმარტებები:

## სვანური

კბილი მქონდა,

თხილი არა,  
თხილი მაქვს და  
კბილი არა.

## თუშური

– იარე, კატავ, დარბაზში წავიდეთ,  
ლუდის კასრი უნდა დავლოცოთ.  
– მე დარბაზში ვერ წამოვალ,  
ფეხი და ბარკალი მტკივა,  
ორმა დედამ ერბო შეჭამა,  
მე კი – უდანაშაულოს – მცემესო.

## ხევსურული

ჩიტი იძახის: წიო,  
კალოს პირას ვზვივარო,  
მარცვლებს ვკრეფ და  
კუჭში ვიყრიო.

აქვე მოცემულია „გოგრის“ სახელწოდებანი სხვადასხვა კუთხეში. მისი მიზანია ჩვენება იმისა, რომ სალიტერატურო (საერთო) ენის ერთ სიტყვას დიალექტებში ხშირად აღმოაჩნდება ხოლმე სინონიმები. მათი დასწავლაც, ბუნებრივია, მიზანი არ არის. ამ მასალის ეფექტი არის მის სიმრავლეში და ცალკეული მოსწავლეების მიერ მათთვის ნაცნობი ერთეულების „პოვნაში“. საინტერესოა იმაზე დაკვირვება, რამდენად არის ეს სურათი შენარჩუნებული დღევანდელ დიალექტებში. შეიძლება ბავშვებს დავავალოთ რამდენიმე ასე-თი ფაქტის შემოწმება უფროსებთან (ვთქვათ, რა ჰქვია „ასკილს“, „ანწლს“, „ბუერას“...).

რვეულის შესაბამის პარაგრაფში მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებას, ქარ-თული ასომთავრული ანბანის გამოყენებით დაწერონ საკუთარი გვარ-სახელი.

შემდგომ გაკვეთილზე ვამოწმებთ დავალების შესრულებას და მასალის ცოდნას შეკითხვების მეთოდით. ასომთავრულით ვაწერინებთ დაფაზე საკუთარ გვარ-სახელებს. შემდეგ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ძველ ქართულ-ში ასოების რაოდენობა მეტი იყო და განსხვავებული ასოები მხედრულშიც არის ასახული.

## II თავი მშენებელი პგერები

აქ თავმოყრილია რამდენიმე ფონეტიკური საკითხი სწორედ ისეთი კუთხით, რომ გამოჩნდეს ბგერის, შემდეგ კი –მარცვლის როლი უფრო მაღალი დონის ერთეულების – სიტყვების – აგებაში. სწორედ ამას ასახავს ამ თავის ზოგად სახელწოდებაში სიტყვა „მშენებელი“.

### პირველი პარაგრაფი ბგერები და ასოები

ბავშვებმა უკვე იციან, რა არის ბგერა და რა არის ასო და მომზადებულია ნიადაგი, რომ სამეტყველო ბგერები დანარჩენი ბგერებისაგან გავმიჯნოთ.

წინა თავში გამოიკვეთა არსებითი განსხვავება სიგნალ-ბგერებსა და სიტყვის შემადგენელ ბგერებს შორის. ამჯერად შესაძლებელი ხდება, სამეტყველო ბგერის არსი გარკვეულ წესად ჩამოყალიბდეს.

თემას ვიწყებთ უკვე მიღებული ცოდნის გამეორებით. აქ საუბარია თანამედროვე ანბანზე, ასოთა რიგზე, რაოდენობასა და სახელწოდებებზე.

ასოთა სახელწოდებების დასახელების (ჩამოწერის) შემდეგ შეგვიძლია დავსვათ კითხვა:

– რას გამოხატავს თითოეული ასო, იმას, რაც ჰქვია (ვთქვათ, ბ – „ბან“-ს), თუ ამ სახელწოდების მხოლოდ ერთ მონაკვეთს?

პასუხი ნათელია: ის გამოხატავს მხოლოდ ბან-ის პირველ ელემენტს. ეს არის ენის უმცირესი ელემენტი, რომელსაც ბგერა ეწოდება.

– მაგრამ ბგერა, როგორც ვნახეთ, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ანბანში შემავალი ბგერები კი გამორჩეულია.

– რით არის გამორჩეული?

– იმით, რომ არა მარტო გამოითქმის, არამედ იწერება კიდეც.

როგორც ვხედავთ, ამ მასალაში არსებითად შეიცვალა მისი მოწოდების ხერხი. წინა, საინფორმაციო ხასიათის ტექსტებისაგან განსხვავებით, აქ მასალის კითხვა და თანმიმდევრული გაცნობა გამოირიცხა. აქ შემოწმება-განმტკიცებისა და კითხვა-პასუხის ხერხს უნდა მივცეთ უპირატესობა.

თანდართული კითხვებიც ამ შემთხვევაში განვლილი და ახალი მასალის ერთგვარ შეჯერებას ემსახურება:

სახალისო სავარჯიშო – „ვინ უკეთ“ – მივცეთ საშინაო დავალებად და მასალის გამოკითხვასთან ერთად შევამოწმოთ.

და კიდევ, აქ ვეხებით ახალ თემას: ეს არის არასამეტყველო ბგერების ასახვა ენაში.

იხ. „სახალისო საკითხავი“.

მივმართოთ მარტივ ექსპერიმენტს: წარმოვათქმევინოთ ან წარმოვთქვათ ბგერა **ცც** და დავსვათ კითხვა:

– რამდენი ბგერა გესმით და რა ბგერას უფრო ჰგავს ის?

– შევუფარდოთ მას ნ, ნ და ტ ბგერების წარმოთქმა.

როდესაც დავრწმუნდებით, რომ ის ერთი ბგერაა, მაშინ დავსვათ კითხვა: – რატომ არა აქვს მას საკუთარი ასო?

ვცადოთ შევავსოთ ეს ხარვეზი და შევუქმნათ ამ ბგერას საკუთარი ასო: V.

მაგრამ ის ბგერა, რომლისთვისაც ასო შევქმნით, ხომ უნდა შედიოდეს რომელიმე სიტყვაში, რომ ეს ასო გამოვიყენოთ? არსებობს ასეთი სიტყვა?

არ არსებობს და ამიტომაც ის ბგერა, რომელსაც ჩვენ ასო გამოვუგონეთ, სამეტყველო ბგერა არ არის.

## მეორე პარაგრაფი

### როგორ წარმოიქმნება ბგერები

ამ თემის პრაქტიკული დანიშნულება ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვებს ამ დროისათვის უკვე აქტიურად ასწავლიან ერთ უცხო ენას მაინც. ამიტომაც მათ უკვე უმუშავიათ სამეტყველო ორგანოების იმგვარად „დაყენებაზე“, რაც უცხო ენის განსხვავებული ბგერების წარმოთქმას სჭირდება. ამ დროს არსებითად ხდება „გადაწყობა“ გენეტიკურად უკვე განსაზღვრული სამეტყველო წყობისა, რაც თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ამ უკანასკნელზეც. ამ მოსაზრებით, წარმოთქმის ფიზიოლოგიაზე ყოველწლიური მუშაობაა აუცილებელი.

მეტყველება იწყება სუნთქვით. ამიტომაც შეიძლება დავიწყოთ ამ ექსპერიმენტით:

– დავნიშნოთ დრო და ჩავისუნთოთ ღმად, შემდეგ ასევე ამოვისუნთქოთ ინტენსიურად, ფილტვების დაცლამდე. რა დრო დასჭირდა: ან ერთს, ან – მეორეს?

– თითქმის თანაბარი.

– ახლა კვლავ ღრმად ჩავისუნთქოთ და სანამ ჰაერნაკადი გვეყოფა, ვიმეოროთ რომელიმე ფრაზა (ვთქვათ – „ყოველი ენანი აქებდეთ უფალსა“). რა დრო დასჭირდება ამ შემთხვევაში ფილტვების დაცლას?

– ცხადია, ბევრად მეტი. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჰაერნაკადი ნაწილდება იმ სამეტყველო პროცესზე, რომლის წარმართვა უსუნთქველად შეუძლებელია.

აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ბგერის წარმოქმნის საფუძველი არის სუნთქვა, ჰაერის ტალღები.

ამიტომაც არის, რომ სამეტყველო ორგანოები იმავე დროს სუნთქვის ორგანოებია.

ამავე საფუძველზე კიდევ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ყველა ერთნაირ დროს არ მოანდომებს ამოსუნთქვის პროცესს. ე. ი. ფილტვების ტევადობა და სუნთქვის მართვა ყველასთან ერთნაირი არ არის. ვისაც ფილტვები მეტად აქვს განვითარებული, მეტადაც ახერხებს მეტყველების „შენარჩუნებას“. ცნობილია, რომ სიმღერისთვის აუცილებელი პირობაა სუნთქვის მოწესრიგება. ასევეა ეს მეტყველების დროს; ამიტომაც არის აქტუალური ის მოწოდება, რომელიც ერთი შეხედვით, ფიზკულტურის პროპაგანდაა.

რომელ ორგანოებს შეიძლება დავარქვათ სამეტყველო ორგანოები?

ყველა იმ ორგანოს, რომელიც მდებარეობს პაერნაკადის დაძვრიდან მის დასრულებამდე, ანუ: ფილტვებიდან – ბაგეებამდე.

განარჩევენ აქტიურ და პასიურ ორგანოებს, თუმცა ამ ეტაპზე საკმარისია ენის აქტიურობაზე გავამახვილოთ ყურადღება, ვინაიდან ენის (მეტყველების) სახელიც მასთან არის დაკავშირებული და თვით ენობრივ მასალაშიც (სიტყვებში, იდიომებში) მისი აქტიურობა ჩანს იმთავითვე დანახული.

თვით სახმო სიმებსაც, სირთულის გამო, ამ შემთხვევაში გვერდი აქვს ავლილი.

ამგვარად, შეიძლება მხოლოდ დასახელდეს ხორხიდან ბაგეებამდე განლაგებული ორგანოები.

განსაკუთრებით იმ ორგანოებს მივაქციოთ ყურადღება, რომლებიც შეიძლება ბავშვებს ნაკლებ ჰქონდეთ გაგონილი: ნუნები – ლრძილების შიდა მხარე და სასა – პირის ლრუს ზემოთა თაღი, დასრულებული რბილი სასით, ჩამოგრძელებით ხახის დასაწყისში.

არ უნდა გამოგვრჩეს ცხვირის ლრუ და მისი მნიშვნელობა ზოგი ბგერის (განსაკუთრებით ცხვირისმიერი **6** ბგერის) წარმოთქმაში.

ამ ეტაპზე არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად (აუცილებლად) ბგერები დავაჯგუფოთ საწარმოთქმო ადგილის მიხედვით, მაგრამ იმაზე მითითება აუცილებელია, რომ ყველას შეუძლია დააკვირდეს საკუთარ წარმოთქმას და მიხვდეს, რა ადგილას წარმოიქმნება ესა თუ ის ბგერა.

ამის შემდეგ შეიძლება დავაყენოთ ის ამოცანა, რომელიც ილუსტრაციებზეა წარმოდგენილი. აქ ისეთ ბგერებზეა საუბარი, რომ მათი საწარმოთქმო ურთიერთმიმსგავსება შეუძლებელია. ღია პირი ხმოვნისაა, ამგვარად ის ა უნდა იყოს. **მ-ს** წარმოთქმის დროს ბაგეების დახშვა ხდება, ხოლო **ვ** გამორჩეულია ზედა კბილებთან ბაგის შეხებით.

ამის შემდეგ კიდევ ერთი გაფრთხილებაა **ლ** ბგერის წარმოთქმასთან დაკავშირებით. ვინაიდან რბილი **ლ** ერთ-ერთი მთავარი მანქია ახალი ქართული წარმოთქმისა, ვავარჯიშოთ ბაშვები მის წარმოთქმაში სხვადასხვა სიტყვების გამოყენებით (ლობიო, ლაგამი, ლიახვი, ქლიავი, ბლუ...).

თემას ახლავს ორი სავარჯიშო. პირველ შემთხვევაში სიტყვა „ენის“ ორაზ-როვნებაზეა აქცენტი გაკეთებული – ის ერთ შემთხვევაში „ფიზიკურ ორგანოს“ აღნიშნავს, მეორე შემთხვევაში – „მეტყველებას“.

მეორე სავარჯიშოში მოსწავლე ბგერის წარმოთქმას უნდა დააკვირდეს და განსაზღვროს, რა აქვთ საერთო წარმოთქმულ ბგერებს.

## მესამე პარაგრაფი ხმოვნები და თანხმოვნები

ბგერათა კლასიფიკაციის პირველი საფეხურია მათი გაყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად, ყოველ კლასიფიკაციას ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშანი სჭირდება.

რა ნიშანია ის, რომელიც აღნიშნულ კლასიფიკაციას უდევს საფუძვლად? ეს არის ხმის სისრულის ხარისხი.

ხმოვნების განსხვავებულობის საჩვენებლად წარმოვაჩინოთ მათი წარმოთქმის ორი ასპექტი:

– დააკვირდით ხმოვნების წარმოთქმისას პირის მდგომარეობას. მართალია, სხვადასხვა ხმოვნის წარმოთქმის დროს მისი ღიაობა მექანიკურად იცვლება, მაგრამ ყველა შემთხვევაში ის მაინც სრულ ღიაობას ინარჩუნებს, განსხვავებით ნებისმიერი თანხმოვნის წარმოთქმისაგან.

– დავაკვირდეთ ლექსებს და სიმღერებს. მათში იმდენად დომინანტურია ხმოვნების ჟღერადობა, რომ ზოგჯერ თანხმოვნები არც ისმის. მეტიც, მისამღერები ხშირად მხოლოდ ხმოვნებით არის შედგენილი. გავიხსენოთ: „იაუაო, იაო, იაუაო...“ თუ შეიძლება, რომ ამ როლს თანხმოვნები ასრულებდნენ (მაგ. თბ შჩ მხ გ ს...)?

აქედან გამომდინარე, ხმოვნებს შეიძლება მომღერალი ბგერებიც ვუწოდოთ, გამომდინარე მათი ბუნებიდან – წარმოითქმოდნენ სრული ხმით, ხმამაღლა და გაგრძელებულად.

ეს უკანასკნელი მომენტი – გაგრძელების შესაძლებლობა – აგრეთვე არსებითი ნიშანია ხმოვანთა და თანხმოვანთა შეპირისპირების დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი უნდა გახდეს განმარტების არსი: ხმოვანია ბგერა, რომლის წარმოთქმის დროსაც ფილტვებიდან წამოსულ ჰაერნაკადს დაბრკოლება არ ხვდება, ხოლო თანხმოვანი ბგერის წარმოთქმა დაბრკოლების გადალახვას გულისხმობს. დაბრკოლება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს და ბგერის რაობაზეც ახდენს ეს გავლენას, მაგრამ ხმოვნების თავისთავადობა ამ მხრივ სრულიად აშკარაა.

თემაში თანხმოვნის სახელწოდებაზეც ვამახვილებთ ყურადღებას. საქმე ის არის, რომ ამ სახელში გამოხატულია ამ რიგის ბგერათა ბუნება: ისინი დამოუკიდებლად, ხმოვნის თანხლების („თან+ხმოვნობის“) გარეშე არსებითად არ წარმოითქმიან, მით უფრო – ვერ ქმნიან მარცვალს, სიტყვას. ამგვარად, ტერმინი ხმოვანი და თანხმოვანი ერთი ნიშნის ანტიპოდური ტერმინებია.

ბგერები, როგორც მარტივი დაკვირვებითაც აღიქმება, ერთგვარი ჟღერადობისა არ არის. ვინაიდან ხმოვნები ხმის სისრულით ხასიათდება, ბუნებრივია, ჟღერადობით ისინი აღემატებოდნენ სხვა ბგერებს. შემდეგ მოდის ღიაობით ხმოვნებთან უფრო მიახლოებული ბგერები – წარნარები (**მ ნ რ ლ**). შემდეგ კი დანარჩენი თანხმოვნების დახასიათებაც შეიძლება ჟღერადობის ხარისხით. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ყურებზე ხელის დაჭერის ძველი მეთოდი, რომლის დროსაც მუდერ ბგერებთან უფრო ინტენსიურ ჟღერას გავიგონებთ. მაგრამ ამ ეტაპზე თანხმოვანთა კლასიფიკაციის მეტად გაღრმავება საჭირო არ არის.

პარაგრაფის ბოლოს ლექსია „სახალისო საკითხავის“ რუბრიკით: „როგორ წაიჩინენ ხმოვნები და თანხმოვნები“. მართლაც, შესაძლებელია ამგვარი „ჩხუბი“ და „გაყოფა“? – შეიძლება ეს კითხვა დავსვათ ბავშვების წინაშე. და-

ვუშვათ, მოხდა ასეთი რამ; რას მივიღებდით? – მივიღებდით მხოლოდ სიტყვებს ხუთი ხმოვნის შემადგენლობით, მაგრამ თანხმოვნები დამოუკიდებლად სიტყვას ვერ შექმნიან. ამიტომაც არის მათ შორის „უსიტყვო დავა“, ამასვე გამოხატავს გამონათქვამი „ხმათა ძმობა“.

## მეოთხე პარაგრაფი ბგერები და სიტყვები

ამ პარაგრაფში პოვებს განხორციელებას თავის სათაური „მშენებელი ბგერები“. კერძოდ, ბგერათა კომპლექსის სიტყვად გარდაქმნაში განხორციელდება, ერთი შეხედვით, მარტივი, მაგრამ შინაარსით უმნიშვნელოვანესი რამ: ბგერა, რომელიც თავისთავად მნიშვნელობის არმქონე ენობრივი ერთეულია, სხვა ბგერებთან კომპინაციით ქმნის მნიშვნელობის მქონე სიტყვას და ამით ავლენს ჩვენი ენის კოლოსალურ პოტენციას.

ეს გაკვეთილი იწყება ენობრივი „მშენებლობის“ იერარქიის წარმოჩენით. იმის გამოყენებით, რომ ჩვენ უკვე შევადარეთ ბგერა აგურს, ვავითარებთ ამ იდეას და მოვიხმობთ ამავე რიგის შედარებებს: აგურით კედელი იგება, ანუ „კედელი“ სიტყვაა, ხოლო კედლები ქმნიან სახლს, ანუ წინადადებას. ამ კომპლექსურ შედარებაში მშენებლობის არსიც არის გაცხადებული: აგურის შექმნის მიზანი „მშენებლობაა“, აგურის აგურზე დადების მიზანი – კედლის შექმნა, კედლების შეერთების მიზანი – შენობის შექმნა. ამგვარად, ის მთავარი მიზანი, რომელიც ენობრივი „მშენებლობით“ განხორციელდება, წინადადებაა, უფრო სწორად, ის აზრი, რომელიც წინადადებამ უნდა „დაბადოს“. და, როგორც ვნახეთ, ეს მიზანი უკვე დევს ბგერაში – სამშენებლო „აგურში“.

შესაძლებელია გაკვეთილი პირდაპირ მეტაფორის გამოყენებითაც დავიწყოთ: – რა არის აგური? – რისთვის აკეთებენ აგურს? და ა. შ.

გაკვეთილში სხვადასხვა სახალისო მაგალითია შეთავაზებული იმისათვის, რომ აღნიშნული კომპინირების შესაძლებლობები იქნეს წარმოჩენილი. კერძოდ, „სიტყვის კარუსელი“ და რუბრიკა „ვინ – უკეთ?!“ წარმოაჩენს იმას, რომ ერთი ბგერის ცვლას შეუძლია ახალი სიტყვა მოგვცეს: ხელი – ძელი...

სხვათა შორის, ეს ფონემის ცნების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და შემდეგ მას გაეცნობიან, როგორც ფონემის სიტყვათგანმასხვავებული ფუნქციის ერთ-ერთ გამოხატულებას. ოღონდ ამჯერად მას თამაშის ფორმა აქვს და შეიძლება ჩვენ თვითონაც შემოვიტანოთ არაერთი ახალი მაგალითი.

ამგვარ სახალისო სავარჯიშო მასალას ფართოდ იყენებენ თანამედროვე სასწავლო-პოპულარულ ლიტერატურაში, მათ შორის, ისეთსაც, როგორიც წარმოდგენილია რუბრიკაში „ვინ – უკეთ?“ ეს საკმაოდ რთული ამოცანაა და პასუხი ადვილი მოსაძებნი არ არის. ამიტომაც პირველი მთლიანად არის ნაჩვენები. რვეულში კი ამგვარ სავარჯიშოს ე. წ. გასაღები ახლავს. აქ მითითებები ჭადრაკის პრინციპითაა: ა2 ნიშნავს, რომ მეორე ადგილს ა უნდა ჩაენაცვლოს, რ3 – მესამე ედგილს რ და ა. შ.

რამდენბერიანი შეიძლება იყოს სიტყვა? ცხადია, ნებისმიერი. ეს რომ

განსაზღვრული ყოფილიყო, ასევე შეზღუდული იქნებოდა სიტყვათქმნადობის შესაძლებლობები. თუმცა, მინიმალური მართლაც ლოგიკურია: ერთი ბგერა არ შეიძლება სიტყვა იყოს ზემოაღნიშნულის გამო – ბგერა, როგორც სამშენებლო ერთეული, მნიშვნელობის მატარებელი არ არის და მისი ასეთი რეალიზაცია წესს დაარღვევდა.

ორბგერიანი სიტყვები არსებობს, მაგრამ მათი პოტენცია წყვილი სიტყვით არის შეზღუდული. უმეტესობა მართლაც რეალიზებულია: ია – აი, ხე – ეხ, არ – რა...

რაც უფრო იზრდება სიტყვის ბგერითი შემადგენლობა, მით უფრო მეტია კომბინაციების შესაძლებლობა.

გალაკტიონის სიტყვათქმნადობა და პალინდრომები რაიმე სერიოზულ ამოცანას არ ისახავს მიზნად, ისინი მხოლოდ სახალისო ხასიათისაა.

ამ გაკვეთილის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მითითება არის დებულება „დაიმახსოვრეთ“ რუბრიკით. ეს დებულება უნდა განვამტკიცოთ და სახელმძღვანელოდ ვაქციოთ ბავშვების ზეპირმეტყველებითი პრაქტიკის დროს, საგანგებო ტექსტის წარმოთქმისას და სხვა. კერძოდ, ქართული სიტყვის ბგერითი სისრულე და წერისა და მეტყველების შესაბამისობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსებაა ქართული ენისა და მას გათვალისწინება სჭირდება.

## მეხუთე პარაგრაფი მარცვალი

თემა მიზნად ისახავს, დავანახოთ ბავშვებს მარცვლის – როგორც უმცირესი საწარმოთქმი ერთეულის, სიტყვის ბუნებრივი დაყოფის – მნიშვნელობა.

ავილოთ რაიმე ისეთი შემთხვევა, როდესაც დამარცვლის ბუნებრივი აუცილებლობა იქმნება.

პირველი მაგალითი: ვთქვათ, ბავშვები სტარტზე დგანან და თქვენ უთვლით: ერ-თი, ო-რი, სა-მი! განსაკუთრებით გამოიკვეთება ბოლო მარცვალი, რომლის წარმოთქმისასაც უნდა მოსწყდნენ ადგილს; მისი წინა მარცვლის შემდეგ საგრძნობი დაყოვნებაა: სა...მი! შესაძლებელია თუ არა, ბოლო სასტარტო სიტყვა ასე დაყოფილიყო ს-ა-მ-ი? (ვინმე თუ ყოფს ასე?).

მეორე მაგალითი: ავილოთ სიტყვა მატარებელი და ვცადოთ, დაყოვნებებით წავიმდეროთ ის. რა გამოვა? მა-ტა-რე-ბე-ლი. სხვა ვარიანტი თუ შეიძლება?

მესამე მაგალითი: ენის გასატეხები, რომლებიც გრძელ სიტყვებს შეიცავს, გულისხმობს რაღაც საზღვრების გამოყენებას სიტყვის წარმოთქმაში. რა საზღვრებია ეს? ავილოთ ენის გასატეხი და წარმოვათქმევინოთ რამდენიმე მონაფეს. მაგ. დაფაციფუცებულნი ფრინველნი უფრო დაფაციფუცებულან. დავაკვირდეთ: რაც უნდა სწრაფად წარმოითქვას ეს სიტყვები, ორი საზღვარი მაინც იგრძნობა: დაფა-ციფუ-ცებულან.

ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ სიტყვების წარმოთქმა მოითხოვს ბუნებრივ დანაწევრებას და ეს ბუნებრივი დანაწევრება არის სწორედ მარცვალი. მარცვალი უმცირესი საწარმოთქმი ერთეულია.

რახან მარცვალი წარმოთქმის პრობლემა ყოფილა, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომელ ბგერებს ეყრდნობა ის. უკვე ვნახეთ, რომ დამოუკიდებელი ბგერები – ხმოვნებია. ისინი, თანხმოვნებისაგან განსხვავებით, თავისუფლად გამოითქმის. თანხმოვნები კი თანმხლებია მათი. შეიძლება ასეთი დაკვირვება:

ა) ვცადოთ წამლერებისათვის გამოვიყენოთ **ა** და **ბ** ბგერები. განსხვავება აშკარაა!

ბ) დავწეროთ დაფაზე და რიგ-რიგად წარმოვათქმევინოთ თანხმოვნები: **ბ**, **ძ**, **ჭ**, **კ**, **ჯ**, **ჩ**... ჩვეულებისამებრ, ცოტა თუ წარმოთქვამს თანხმოვანს სუფთად, რაღაც „ხმოვნის“ თანხლების გარეშე. ზოგჯერ კი თანხმოვანს აშკარად მარცვალად წარმოთქვამენ: **ბუ...**

„დავიჭიროთ“ ეს თავისებურება და განვმარტოთ, რომ წარმოთქმის ბირთვი ხმოვანია, მას შეუძლია თანხმოვნები იახლოს, გაიყოლიოს. შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი შედარება: ხმოვანი ელმავალია, რომელსაც შეუძლია თანხმოვნების ვაგონები ჩაიბას და გაიყოლიოს.

ამგვარად, მარცვლის ცენტრი ხმოვანია. სიტყვა ხმოვნების მიხედვით იყოფა მარცვლებად. სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც ხმოვანია მასში. ერთ მარცვალში ორი ხმოვანი არ შეიძლება.

თემას ახლავს ის სავარჯიშოები, რომლებიც აიოლებენ სიტყვის მარცვლობრივ შედგენილობაზე დაკვირვებას. აქ არის „სვლა“ მარტივი ამოცანიდან რთულისკენ: ხმოვნების დათვლა მარცვალთა რაოდენობის დასადგენად, მარცვლებად დაყოფა და სინთეზი – მარცვლებით სიტყვის „აკინძვა“. სავარჯიშოში — წინილას „მარცვლებად“ „ასაკენცი“ მწერები — იგულისხმება შემდეგი სახელები: **ჭრიჭინობელა, ტარაკანა, ხოჭო**.

## მეექვსე პარაგრაფი დამარცვლა და სიტყვის გადატანა

განვლილი მასალის შემოწმების შემდეგ ვაგრძელებთ საუბარს მარცვალზე და რაც შეიძლება უშუალო გზით ვაყალიბებთ დამარცვლის წესებს. აქაც წამყვანია წიგნის საზოგადო პრინციპი – მოწაფეები თვითონ ჩასწოდნენ საკითხის არსეს და თვითონ შექმნან წესი.

რადგანაც ვამბობთ, რომ მარცვალი ბუნებრივი ენობრივი ერთეულია, მაშასადამე, მარცვლებად დაყოფაც ბუნებრივ სამეტყველო პროცესს უნდა წარმოადგენდეს. ეს მართლაც ასეა, თუ საკითხს ახლებურად მივუდგებით.

გაითვალისწინეთ: ნუ გამოიყენებთ დამარცვლისა და გადატანის ძველ წესებს. მიმართეთ უფრო მარტივს – ახალს!

მივყვეთ თანმიმდევრულად:

- 1) მარცვლებად დაყოფის საფუძველი მარტივია: ერთ მარცვალში ორი ხმოვანი არ შეიძლება. ორი ხმოვანი უკვე ორი მარცვალია.
- 2) ამგვარად, მარცვლის საზღვარი გადის ყოველ ორ ხმოვანს შორის.
- 3) საკითხი მხოლოდ ამ ორ ხმოვანს შორის მოქცეული თანხმოვნების განაწილებას ეხება.

ა) ხმოვნებს შორის შეიძლება იყოს ერთი თანხმოვანი.

ამ წესს ექსპერიმენტით იოლად აღმოვაჩენთ. დავსვათ ასეთი კითხვა:

- დავუშვათ წყლის ან ქუჩის გადაღმა დგას თქვენი მეგობარი და გეძახით:
- ლეკვი ხომ არ დაგინახავს? საპასუხოდ ეძახით ხმამაღლა და გაგრძელებით: არა! (ა-რა თუ არ-ა?).

შეუძლებელია მეორე ვარიანტი ვინმემ აირჩიოს.

მეორე შემთხვევა:

მასწავლებელი დაფასთან დგას და გეუბნებათ:

- კალამი ხელში ასე უნდა გეჭიროთ!

თქვენ კლასის ბოლო მერჩეზე ზიხართ და მასწავლებელს, უკეთ გასარკვევად, ეკითხებით (ჩაეკითხებით):

- ასე? (ა-სე? თუ ას-ე?)

მეორე ვარიანტი არსებითად შეუძლებელია.

ამდენად, დამარცვლის წესში ორ ხმოვანს შორის მოქცეული ერთი თანხმოვნის მომდევნო მარცვლისათვის მიკუთვნება ბუნებრივი კანონზომიერებაა:

ისლა დარჩენილა, რომ ორმარცვლიან და ხმოვნით დაწყებულ და დამთავრებულ სიტყვაზე შემუშავებული ეს წესი სიტყვის შიგნითაც გავაგრძელოთ: სა-ა-თი.

გაითვალისწინეთ: მიღებული წესის განზოგადება თითქოს მარტივი ამოცანაა, მაგრამ აღნიშნული ერთმარცვლიანიდან მრავალმარცვლიანზე გადასვლა მაინც ხშირად იწვევს დაბნევას. ამიტომ მის განსამტკიცებლად მასალა უნდა მოვიმარავოთ.

ბ) რა ვითარებაა იმ შემთხვევაში, როცა ორ ხმოვანს შორის ორი და მეტი თანხმოვანი ექცევა.

ცხადია, აქაც შესაძლებელია ევრისტიკულ მეთოდს მივმართოთ, მაგრამ მხედველობაში არის მისაღები ის, რომ აქ ისეთივე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ იქნება, როგორიც წინა შემთხვევაში. კერძოდ, აქ მარცვლის საზღვრის ასეთი მკვეთრი შეგრძნება არ არის (ო-რთქლიც შეიძლება წარმოთქვან, ორ-თქლიც და ორთ-ქლიც). ამიტომაც უშუალო დაკვირვების მეთოდი აქ არ გაამართლებს.

ამ შემთხვევაში უნდა შემოვიღოთ ერთი საერთო წესი: ორ ხმოვანს შორის მოქცეული ორი და მეტი თანხმოვნიდან ერთი ეკედლება წინა მარცვალს, დანარჩენი (რამდენიც არ უნდა იყოს) – მომდევნოს: აფ-რა, ორ-თქლი...

ამგვარად, თუ პირველ საზოგადო წესს („ორი ხმოვანი – ორი მარცვალი“) ცალკე – ფუნდამენტურად – გამოვიტანთ, გვრჩება ორად-ორი წესი:

1. ერთი თანხმოვნის წესი (ა-რა).

2. ერთზე მეტი თანხმოვნის წესი (აფ-რა).

გაფრთხილება: ამ სურათს ნურანაირი დამატებითი წესით ნუ გაირთულებთ! იცოდეთ, მიღწეულს დაკარგავთ!

აღნიშნული წესების ჩამოყალიბება-განმტკიცება საკმაო დროს მოითხოვს, ამიტომაც გადატანის საკითხზე საუბარი მომდევნო გაკვეთილისთვის დავტოვოთ და ის დავალებები, რომლებიც დამარცვლას ეხება და არა გადატანას, მომავლისთვის შესასრულებლად მივცეთ.

გადატანა ერთ-ერთი პრაქტიკული ამოცანაა და დამარცვლის წესები ამ მიზანსაც ემსახურება.

ბოლო დროის ინფორმაციებმა გააჩინა აზრი, რომ, საერთაშორისო გამოც-დილებით, გადატანა აღარ არის აქტუალური პრობლემა და ის ძველის ინერ-ციაა.

ეს არ არის მართებული.

ის ენები (მაგალითად ინგლისური), რომელშიც დომინანტურია მოკლე სიტ-ყვები, იოლად უვლიან ამ პრობლემას, მაგრამ ქართულის მსგავს ვითარებაში შეუძლებელია გადატანას გვერდი აევლოს; შეიძლება ამ შემთხვევაში სტრიქო-ნის მესამედი ცარიელი დარჩეს. ეს მით უფრო მისახედი საკითხია მოსწავლეთა დონეზე, როცა რვეულის ჩარჩოში უწევთ წერა და სტრიქონის – მინდვრამდე (თუ კიდემდე) შევსება.

ამდენად, გადატანა აუცილებელი სასკოლო ამოცანაა.

დამარცვლის უკვე ჩამოყალიბებული წესები ობიექტური საფუძველია გა-დატანის წესებისა. მათ მხოლოდ ერთი წესი უნდა დაემატოს (უფრო სწორად, დამარცვლის ერთი წესი უნდა გამოირიცხოს):

– დამოუკიდებელი ხმოვანი მარცვალია, მაგრამ მისი არც დატოვება შეი-ძლება და არც გადატანა (ი-ა, ა-რა დაიმარცვლება, მაგრამ არ გადაიტანება).

(თანხმოვნები, რაოდენობის მიუხედავად, რომ მარცვალი არ არის, აშკარაა!).

გადატანის წესებსაც მეტად ნუ გავართულებთ!

თემას ახლავს რუბრიკა „სახალისო საკითხავი“, რომელშიც ე. წ. „ჩიტების ენა“ შემოტანილი. რისთვის არის ის საჭირო?

როცა დამარცვლის „ხალხურ ფესვებზე“ მივანიშნებდით, ერთს ამ თამაშსაც ვგულისხმობდით. მისი დანიშნულება აშკარად დიდაქტიკურია.

მართლაც, ის არ არის დიდებისთვის გათვალისწინებული საიდუმლო დამ-წერლობის მსგავსი რამ. ის წმინდად საბავშვო თამაშია, რომელშიც იუმორის ფონზე მარცვლისა და რიტმიკის ელემენტებია ჩართული.

გაითვალისწინეთ: ამ თამაშმა შეიძლება ზედმეტი ხმაური გამოიწვიოს, მა-გრამ იცოდეთ, რომ ის თავის როლს შეასრულებს იმაზე მეტად, ვიდრე სერიო-ზული მსჯელობანი მარცვლის არსზე. თანაც, ამ შემთხვევაში საგანგებო მნიშ-ვნელობა ენიჭება გადართვას სახუმაროდან სერიოზულზე:

რა შეცდომები დაუშვიათ „ჩიტის ენის“ შემქმნელებს ბუნებრივ დამარცვლაში?

ეს შეცდომები, დაე, დამოუკიდებლად იპოვონ. ასევე – ის სიტყვები, რომლე-ბიც ხმოვნების მიხედვით უნდა ამოიცნონ „წანაწი-წი“-ში!

### III თავი ენის სალარო

#### პირველი პარაგრაფი სიტყვა

ამ პარაგრაფით იწყება ახალი თავი, რომელსაც „ენის სალარო“ ეწოდება. ეს თავი ლექსიკური ფონდის წარმოჩენას ისახავს მიზნად.

როგორც ვნახეთ, ენობრივი სინთეზის პირველი და მთავარი შედეგი არის სიტყვა. ენის სალარო თუ საგანძურო სიტყვათა მარაგია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სიტყვათა კავშირის ამოუწურავი კომბინაცია განხორციელდეს.

გაკვეთილი შეიძლება დაინტერესოს განვლილთან დაბრუნებით:

- რამდენი ბგერაა ენაში?
- სიტყვა რამდენილა იქნება?

არსებითი ამ მეორე კითხვაში არის არა ზუსტი პასუხი, რომელიც საერთოდ არ არსებობს), არამედ ის, რომ, ბგერებისაგან განსხვავებით, ზუსტი რაოდენობის დასახელება აქ შეუძლებელია. ვერც ერთ რიცხვს ვერ დავასახელებთ, რომლისთვისაც ერთი სიტყვის მიმატება არ შეიძლებოდეს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიტყვათა მარაგი ენაში ამოუწურავია.

- რა ქმნის ამ სიმრავლეს?

– მართალია, ბგერათა კომბინირებით სიტყვათა შექმნის რეზერვი, როგორც ვნახეთ, უსაზღვროა, მაგრამ ენა მხოლოდ ამ გზით მაინც არ მიდის. ლექსიკური მარაგის მხოლოდ მცირე ნაწილია პირველადი, ანუ ძირეული. ლექსიკის ძირითადი ნაწილი კი წარმოქმნილია სიტყვათქმნადობის გზით. ერთ ძირეულ სიტყვაზე ზოგჯერ ათი, ოცი და მეტი წარმოქმნილი ფუძე მოდის. გაკვეთილის ტექსტში მოყვანილია **გულ**-სიტყვის „ნაყარი“ ფუძეები. იმისათვის, რომ მრავალფეროვნება იყოს, შემოვიტანოთ სხვა სიტყვა – მაგალითად, **კაცი** და შევთავაზოთ ბავშვებს, თვითონ მოიძიონ ფუძის ახალი წარმონაქმნები.

რუბრიკაში „სიტყვამ მოიტანა“ საუბარია სულხან-საბას ლექსიკონზე.

სულხან-საბას „ანდერძნამაგში“ შემდეგ ფრაზას უნდა მივაქციოთ ყურადღება:

„ქართული თვისთა ნებაზე გაერყვნათ“ – ეს საფრთხე ენას ყოველ დროში ელოდება, თუ მას ერისაგან სათანადო ყურადღება არ მიექცევა. ამ ყურადღების ერთ-ერთი გამოხატულება კი სრული ლექსიკონის ქონაა.

#### მეორე პარაგრაფი სიტყვის მნიშვნელობა

ამ პარაგრაფში ნათქვამია, რომ სიტყვის არსებობის აზრი მის მნიშვნელობაშია. მაგრამ ასე ცალსახად რომ წყდებოდეს ეს პრობლემა, მსჯელობის შემდგომი გაშლაც აღარ იქნებოდა საჭირო.

– საქმე ის არის, რომ ენაში ისეთი ბგერათკომპლექსებიც არსებობს, რომელთაც ასე განსაზღვრული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც სიტყვებად უნდა მივიჩნიოთ. მართლაც, ენაში არსებობს ისეთი „ცარიელი სიტყვებიც“, რომლებიც დამხმარე როლს ასრულებენ, ოღონდ თავად ლექსიკური მნიშვნელობის გარეშე არიან დარჩენილი.

ამ სიტყვების მნიშვნელობა მათ საჭიროებაში, ფუნქციაშია.

მაგალითად, „აბა“ სიტყვა რაიმე ლექსიკურ მნიშვნელობას არ ატარებს, მაგრამ მის გარეშე თანამოსაუბრესთან გარკვეულ დამოკიდებულებას ვერ გამოვხატავთ (შდრ. „დამაცადე“ – „აბა, დამაცადე!“).

მსჯელობის ამგვარი განვითარებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მონაფე-ებისათვის მისაწვდომი (გასაგები) გახდეს საკმაოდ რთული კლასიფიკაცია: სიტყვათა დაყოფა სრულმძიშვნელოვან და დამხმარე სიტყვებად. ეს დაყოფა ლექსიკის კლასებად (მეტყველების ნაწილებად) დაყოფის ძირითადი საფუძველია.

ვინაიდან ენის სწავლებას ამ ეტაპზე ლექსიკურ-სემანტიკური მიმართულება აქვს, ეს საკითხი აუცილებლად უნდა გაირკვეს.

ამ თემასთან დაკავშირებული დავალება ითვალისწინებს ტექსტში მონაწილე სიტყვების გამიჯვნას აღნიშნულ ორ ჯგუფად კითხვების დასმის მეშვეობით (ამ – კითხვების დასმის – მეთოდზე ტექსტშია საუბარი).

„სახალისო საკითხავის“ რუბრიკით შეთავაზებული სავარჯიშო „სიტყვა – ენის წვერზე“ სიღრმისეულად ძალზე მნიშვნელოვან პრობლემას უკავშირდება: ჩვენი მეხსიერების სალაროში სიტყვას ჩვენ „ვაგნებთ“ სემანტიკურ-ბუდობრივი პრინციპით. ცნობილია ისეთი შემთხვევები, როცა ვიცით, რა სიტყვა გვინდა, მაგრამ თვით სიტყვა ვერ გაგვიხსენებია. ის, რაც „ვიცით“, მნიშვნელობაა, ხოლო თვით სიტყვა საპოვნელია. ამ სავარჯიშოში ხელოვნურად არის შექმნილი ანალოგიური სიტუაცია: მნიშვნელობის მიხედვით სიტყვის ძიება.

## მესამე პარაგრაფი სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით

პარაგრაფი ეხება სიტყვის მრავალმნიშვნელოვნებას. მნიშვნელობის ცვლა სხვადასხვა სახით – ეს არის უნივერსალური ენობრივი კანონზომიერება. კერძოდ, ნებისმიერი სიტყვა შეიძლება აღმოჩნდეს გამოყენებული გადატანითი მნიშვნელობით.

მაგალითად, რა არის სიტყვა „ხე“? ეს არის მერქნის მქონე მცენარეთა საერთო სახელი. მაგრამ იგი შეიძლება შეგვხვდეს თვისების გამომხატველ სიტყვად: „ეს კაცი საქმეში ნამდვილი ხეა“; „ხექალას“ იტყვიან ისეთ ქალზე, რომელსაც საოჯახო საქმე არ ეხერხება და სხვა.

მნიშვნელობის ამგვარი გადატანა ადამიანის მხატვრული აზროვნების გამოვლენაა: მას საფუძვლად უდევს შედარების (მეტაფორიზაციის) ხერხი – ჯერ აირჩევა რაიმე საგნის მთავარი თვისება, ხოლო შემდეგ თვით ამ საგნის სახელი ხდება ამ თვისების გამომხატველი.

როგორც ითქვა, ამგვარი მსგავსება საფუძველია სიტყვის მნიშვნელობის

ცვლის, რის შედეგადაც ვიღებთ ამა თუ იმ სიტყვის მრავალმნიშვნელოვნებას. ამის არაერთი ნიმუში არსებობს.

– მაგალითად, რას ნიშნავს სიტყვა **თავი**?

ეს კითხვა, ფაქტობრივად, გახსენებაა მისი ცნობილი მნიშვნელობებისა. ბავშვებს შეუძლიათ, დამოუკიდებლად დაასახელონ ორ-სამი მნიშვნელობა: „თავი“, „მეთაური“, „ნაწარმოების მონაკვეთი“. ასევე დამოუკიდებლად მიაგნონ კავშირს ამ მნიშვნელობებს შორის: ვთქვათ, მეთაური ხომ ისეთივე მნიშვნელოვანია რაიმე გაერთიანებისათვის, როგორც თავი – სხეულისათვის.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც არ ხერხდება სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობებს შორის კავშირის დადგენა. ასეთ შემთხვევაში ომონიმურობაზე შეიძლება საუბრი.

ეს განსხვავება პოლისემიასა და ომონიმიას შორის ტექსტში მინიშნებულია. ოღონდ გაითვალისწინეთ: ამის გარჩევის წესად ქცევას ნუ შევეცდებით! ეს ისეთი საკითხია, რომელიც ფილოლოგიაშიც კი არ არის გარკვეული. ამიტომაც ტერმინ ომონიმის შემოტანას აქ ნუ ვიჩქარებთ; ამის გარჩევა შემდგომ საფეხურზე გახდება შესაძლებელი.

სიტყვის მნიშვნელობის გადატანა, პოლისემიურობა მხატვრული თხზვის საფუძველია. მაგრამ, ამავე დროს, ამგვარი შემთხვევების გამოყენებას დიდი ყურადღება სჭირდება, რათა ფრაზაში ორაზროვნებამ და უზუსტობამ არ იჩინოს თავი (მაგალითად: ყმა მუხლებში ჩაუვარდა მეფეს. აქ ყმა „მოყმეც“ შეიძლება იყოს და „ყურმოჭრილი“ ქვეშევრდომიც).

ამ თემასთან დაკავშირებით სავარჯიშო მასალა სიტყვის მნიშვნელობების გამოვლენა-დაზუსტებას ემსახურება.

## მეოთხე პარაგრაფი სინონიმები

სინონიმის ცნებას მოწაფეები უკვე იცნობენ. დაწყებით კლასებში სინონიმებს მსგავს სიტყვებს ეძახდნენ, შემდეგ ტერმინიც გაიგეს.

სინონიმის განმარტება ასეც შეიძლება ჩამოყალიბდეს: სიტყვებს, რომელთა ჩანაცვლებაც ერთ რომელიმე კონტექსტშია შესაძლებელი, სინონიმები ეწოდება (თუმცა ეს განმარტება გაკვეთილის ტექსტში არ არის შეტანილი, რადგან მას თავისი სირთულეები ახლავს).

აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ სინონიმები ერთგვაროვანი არ არის: დასტურდება ზუსტი და არაზუსტი სინონიმები. ზუსტი სინონიმების ურთიერთჩანაცვლება, ცხადია, დაუბრკოლებლად შეიძლება, ხოლო არაზუსტი სინონიმები შინაარსის მიხედვით შერჩევას მოითხოვს (ამის მაგალითად შიმველი და ტიტველია მოყვანილი). მაგრამ სინონიმების არსებობისათვის ჩანაცვლება მაინც აუცილებელი პირობაა. შინაარსით მონათესავე სიტყვები, რომლებიც არც ერთ კონტექსტში არ ჩაენაცვლება ერთმანეთს, ერთი ბუდის სიტყვები იქნება და არა სინონიმები. აი, განსხვავების არსი.

გაკვეთილის ტექსტში ორი მაგალითია ჩართული იმისა, რომ ამგვარი სინო-

იმების კონტექსტური შერჩევა გარკვეულ სავალდებულო მიმართებებსაც გულისხმობს. კერძოდ, სიტყვებს ახასიათებთ სემანტიკური მიჯაჭვულობა, დროთა განმავლობაში ისინი რაღაც შესიტყვებების ორგანულ ნაწილად იქცევიან და ერთგვარ ფორმულებად არსებობენ ენაში. სავარჯიშო შიშველი-ტიტველი სინონიმური წყვილის მოშველიებით სწორედ ამგვარი ენობრივი გრძნობის გააქტიურებას ისახავს მიზნად.

## მეხუთე პარაგრაფი სინონიმების შერჩევა

გრძელდება სინონიმების თემატიკა, ამჯერად უფრო სტილისტიკური ასპექტით. სინონიმები, პირველ რიგში, იმით არის ენის სიმდიდრე, რომ მათი მეშვეობით სათქმელის ზუსტი, ნიუანსობრივი გამოხატვის შესაძლებლობა იქმნება. თუ ზუსტად შერჩეული სინონიმები სიტყვიერი ოსტატობის გამოხატულებაა, სინონიმური უზუსტობა, სინონიმების სიღარიბე პირდაპირ ასახავს ენობრივ უუნარობას.

სინონიმებზე მუშაობა ძალზე ავითარებს სიტყვის გრძნობას. ამიტომაც არა მხოლოდ ამ გაკვეთილში, არამედ საერთოდაც მასწავლებელი გამუდმებით უნდა სვამდეს ამ ამოცანას: ამ წინადადებაში ეს სიტყვა აჯობებს, თუ – მეორე და ა. შ. მაგალითად, ბლუ, ენაბლუ და ბლუკუნა სინონიმებია, მაგრამ, აბა, დააკვირდით, განა ისინი ერთნაირად შეეთავსება შემდეგ წინადადებას: „ბატონი გიორგი ცოტათი... აღმოჩნდა“; „ჭიშკარში გამოვარდა ტიტლიკანა, სასაცილო, ... ბიჭი“.

ამავე თემაში სინონიმებთან მიმართებით დაისმის ენობრივი ეტიკეტის საკითხი. რამდენადაც სიტყვები არცთუ იშვიათად ჩვენს შემფასებლურ დამოკიდებულებასაც გამოხატავენ ამა თუ იმ პიროვნებასთან თუ საგანთან, სიტყვის შერჩევა აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საზოგადოდ, ენობრივი ეტიკეტის საკითხი ერთი ის ასპექტია, რომელიც ამ სახელმძღვანელოს მთლიანად გამსჭვალავს.

შემდეგ მაგალითებსა და სავარჯიშოებში სინონიმების გამოყენების კიდევ რამდენიმე ასპექტზეა გამახვილებული ყურადღება. კერძოდ, სტილის საკითხს უკავშირდება ისიც, რომ სინონიმები შესაძლებლობას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ ტავტოლოგია, სიტყვათა გამეორება. გოგებაშვილის ფრაზები სწორედ ამის ნიმუშებს იძლევა.

შემდეგ კი მოდის ის საკითხი, რომელიც ვ. თოფურიას თავის მართლწერის წიგნში აქვს შეტანილი: „წმინდა“ და „სუფთა“ სინონიმების გარჩევა. ეს ერთ-ერთი კარგი მაგალითია იმისა, როგორ ფრთხილი გამოსაყენებელია, ერთი შეხედვით, მნიშვნელობით ახლომდგომი სინონიმები. ამ მასალაში პირდაპირ შესიტყვებებია ჩამოთვლილი აღნიშნული ორი სიტყვის მონაწილეობით. მივცეთ კლასში სამუშაოდ წინადადების შედგენა ამ შესიტყვებების გამოყენებით. ამით განმტკიცდება მათი გამიჯვნის წესი.

სავარჯიშოები, რომელიც ამ თემას მოსდევს, მოითხოვს სემანტიკისა და სტი-

ლის ერთდროულ გათვალისწინებას. პირველ შემთხვევაში სემანტიკაზეა აქცენტი, ვინაიდან სხვადასხვაგვარი პერვი სხვადასხვა სიტყვით არის გამოხატული. მეორე შემთხვევაში კი არსებითად მყარ, ხატოვან გამონათქვამებზეა ყურადღება შეჩერებული.

## მეექვსე პარაგრაფი სინონიმთა შერწყმა

ამ თემაში განიხილება სინონიმთა დაწყვილების საკითხი. ეს საკითხი, ცხადია, მთლიანად ენის გამომსახველობით მხარეს, ანუ სტილისტიკას ეკუთვნის და სიტყვის როლის უფრო უშუალოდ შეგრძნებას ემსახურება.

დავსვათ კითხვა ამგვარად:

– როგორ ვიქცევით, როდესაც რაიმე განწყობის მკვეთრად გამოხატვა გვსურს? მაგალითად, გვინდა ვინმეს უზომო სისასტიკე წარმოვაჩინოთ?

– ვთქვათ, ვამბობთ: როგორი უგულოა! საკმარისია?

– არა ჯობია: როგორი უგულო, უგრძნობი და ულმობელია!

ამგვარ შემთხვევაში თითქოს თავად მოითხოვს ჩვენი განწყობა არა ერთი, არამედ რამდენიმე სიტყვის გამოყენებას, რათა ემოცია სრულად ამოვნებულობით.

აბა, გავიხსენოთ გამონათქვამი: „(თითქოს) სიტყვები არ მყოფნის!“ ამიტომაც ამგვარ სიტუაციაში ავტომატურად ჩნდება ერთი მიმართულების რამდენიმე სიტყვის გამოყენების აუცილებლობა. თითქოს ავტომატურად ვამბობთ: „როგორ უსამართლოდ და... მომექცა“ მიუხედავად იმისა, რომ და-ს შემდეგ შეიძლება სიტყვა მზად არ გვქონდეს და საძებნი იყოს.

ამიტომაც მოულოდნელი არ არის ის, რომ ამგვარი სინონიმური დაწყვილება უნინარესად მხატვრული ლიტერატურისთვის არის ნიშანდობლივი; ის ხომ ემოციების გამოხატვას ემსახურება.

გაკვეთილის ტექსტში მაგალითების სიმრავლეა, რათა უკეთ წარმოჩნდეს ამ ხერხის მიზანდასახულება.

აქვე არის სინონიმების ერთდროული გამოყენების ფაქტები ისეთ შემთხვევაში, როცა ტექსტის მოკლე მონაკვეთში ხდება აუცილებელი ერთი და იმავე აზრის გამოხატვა და საჭიროა გამეორებას, ტავტოლოგიას თავი ავარიდოთ.

ვარჯიში ამ თვალსაზრისით, ცხადია, უნდა ემსახურებოდეს ძიების გააქტიურებას ამგვარი დაწყვილების მიმართულებით. ამიტომაც შეიძლება ნებისმიერ ტექსტს მივმართოთ იმისათვის, რომ მოვიძიოთ, სად ჩნდება სურვილი გამოხატვის სიტყვიერი გაძლიერებისა, ანუ ახალი წყვილისცალის მოძებნისა. ამით ისიც გამოჩნდება, რომ სინონიმების წყვილებად გამოვლენა თვითმიზანი არ არის და მას ძლიერი აუცილებლობა განაპირობებს. დავალების არსიც ეს არის. აქ სინონიმური წყვილები უნდა მოიძებნოს, მაგრამ გაირჩეს საჭიროება-არასაჭიროების მიხედვით.

სხვათა შორის, შეიძლება სხვადასხვა მწერლის ენის შედარებაც ლიტერატურის სახელმძღვანელოდან. მაგალითად გ. ლეონიძისთვის დამახასიათებელია ამგვარ სინონიმთა დიდი სიჭარბე (მსუსე ენა), ხოლო რ. ინანიშვილისათვის –

უფრო ნაკლები...

## მეშვიდე პარაგრაფი ანტონიმები

ანტონიმია არის ენის ლექსიკის სემანტიკურ მიმართებათა ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი. იქ, სადაც მსგავსებაა, განსხვავებაც არის, განსხვავებათა უკიდურესობა (პოლარულობა) კი ანტონიმებში გამოიხატება.

ამდენად, პოლარულობა ანტონიმების ცნების აუცილებელი პირობაა. ამას მარტივად დავინახავთ, თუ შევადარებთ მიმართებებს: ცხელი – თბილი და ცხელი – ცივი. პირველი ერთი სემანტიკური ველია, ხოლო მეორე – „ანტაგონისტური“ ცნებები. ამდენად, განსხვავება კი არ არის მთავარი (ეს სინონიმებშიც არის), არამედ ამ განსხვავების პოლარულობა.

მეორე: რა ტიპის სიტყვებია ანტონიმები? მაგალითად, უირაფი წვრილი და მაღალია, ბეჟემოთი – მსხვილი და დაბალი. – არის თუ არა უირაფი და ბეჟემოთი ანტონიმები?

მოწაფეების უმეტესობა უპასუხებს, რომ არის, მაგრამ ეს არ არის სწორი. ანტონიმური შეიძლება იყოს თვისება და არა თვით – საგანი. ანტონიმურია მაღალი – დაბალი, წვრილი – მსხვილი და არა ბეჟემოთი – უირაფი. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებებს ანტონიმური თვისებები ახასიათებს, ამბობენ, ანტიპოდები არიანო.

ამგვარად, დღე და ღამე კი არ არის ანტონიმები, არამედ ნათელი და ბნელი და სხვ.

არსებობს თუ არა ობიექტურად ანტონიმები?

როგორც ამბობენ, ამგვარ მიმართებებს ადამიანის ცნობიერება ადგენს და ის ბუნებაში ობიექტურად არც არსებობს.

მაგრამ ანტონიმების ცნება შეიძლება დავუკავშიროთ სამყაროს წონასწორობის უნივერსალურ კანონზომიერებას – მიკროკოსმოსიც (ატომი) და კოსმოსიც (სამყარო) არსებითად საპირისპირო მუხტით (+ –) არის განონასწორებული და ეს დაპირისპირებულთა წონასწორობა სამყაროს არსებობის მთავარი წესია. ამ თვალსაზრისით ანტონიმები ობიექტური რეალობის კანონზომიერი გამოვლენაა.

აქ, ბუნებრივია, ამ ფილოსოფიას ვერ ჩავულრმავდებით, მაგრამ ბავშვების დონეზე შეუძლებელი არ არის, ამ კითხვას გავცეთ პასუხი:

– იქნებოდა თუ არა მაღალი, რომ არ იყოს დაბალი?

წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ხე ბუნებაში ერთი სიმაღლისაა. შეგვეძლებოდა თუ არა ამ შემთხვევაში გვეთქვა: „მაღალი ხე“, „დაბალი ხე“.

ან: რომ არ არსებობდეს ბნელი, თუ გვეცოდინებოდა, რომ არსებობს ნათელი?

რომ არ არსებობდეს ბოროტი, როგორ განვსაზღვრავდით კეთილს?

დანარჩენი კანონზომიერებები, რომლებიც ანტონიმებთან არის დაკავშირებული, სინონიმების ფონზე, დიდ ძალდატანებას არ მოითხოვს: საპირისპირო თვისებები ხშირად ექცევა ერთობლივი გამოვლენის სფეროში და, ასევე, ერთგვარი მყარი გამონათქვამების სახეს იძენს: კეთილი და ბოროტი, ნათელი და

ბნელი... საბოლოოდ კი, რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, მათი შერწყმაც ხდება ერთ რთულ სიტყვად: ავ-კარგი, თავ-ბოლო...

თანამედროვე ოფიციალურ ენებში ძალზე გახშირდა ანტონიმების ხელოვნური წარმოება. ეს ქართულ სინამდვილეშიც შეიმჩნევა, რაც ენის გაღარიბების საფრთხეს შეიცავს. არაერთხელ შევხვდებით, რომ საჭიროების შემთხვევაში ადამიანი თავს არ იტკიებს დამოუკიდებელი ანტონიმის მოძებნით და პირდაპირ არათი იწყებს: არაგულწრფელი, არაპირდაპირი, არაკეთილი და ა. შ. ხელოვნურ წარმოებებს, ბუნებრივია, უკვე არსებული ლექსიკური ერთეულები სჯობია.

ერთიც: არათი ნაწარმოები ანტონიმები არ ფარავს ნაღდ ანტონიმებს; არანათელი მაინცდამაინც ბნელი არ არის და არამაღალი – დაბალი, ამიტომ ისინი ყოველთვის არ არის გამოსადეგი.

ამავე დროს, ამგვარი წარმოება მთლად გამოსარიცხი არ არის; ის აუცილებელიც კია მაშინ, როდესაც ენაში დამოუკიდებელი ანტონიმები არ დასტურდება. თუ ლექსიკონს ა ასოზე ჩავხედავთ, არაერთ ასეთ სიტყვას ვიპოვით (მაგ. არასასურველი, არაეფექტური, არასწორი და სხვ.).

## მერვე პარაგრაფი სიტყვათა წარმოქმნა

ეს თემა – „სიტყვის წარმოქმნა“ – შეიძლება განვლილი მასალის გამეორებაზე ავაგოთ. კერძოდ, გავიხსენოთ ამ რუბრიკის პირველი თემა – „სიტყვა“, რომელშიც ნაჩვენებია, როგორ „იბარტყა“ სიტყვა გულმა. ამჯერად უკვე იმ მექანიზმებზეა საუბარი, რომლებიც ძირეული სიტყვების საფუძველზე ახალი ლექსიკური ნაყარის წარმოქმნას განაპირობებენ. ეს მექანიზმებია აფიქსური სიტყვანარ-მოება და კომპოზიცია (ფუძეთა შეერთება). უნდა ითქვას, რომ ლექსიკის სიმდიდრე ამ მექანიზმების მოქმედებაზე დიდწილად არის დამოკიდებული. თუ დავაკვირდებით, უმეტესად ერთ ძირეულ სიტყვაზე ხუთი და ათი წარმოქმნილი მოდის.

შეიძლება ითქვას, აფიქსური სიტყვანარმოების და კომპოზიციის ერთ გაკვეთილში მოქცევა ამ ეტაპზე სწორედ იმით არის გამართლებული, რომ აქ ამ განსხვავებული ხერხების გამოწვლილვით ჩვენება კი არ არის განზრახული, არამედ გვინდა ვაჩვენოთ მათი საერთო მიზანდასახულებით მოქმედება – მათი საერთო როლი სიტყვათქმნადობაში; მით უფრო, რომ ეს ორი მექანიზმი ხშირად ერთდროულადაც კი არის წარმოდგენილი.

სხვათა შორის, სიტყვათქმნადობის ორივე ამ სახეს მოწაფეები პრაქტიკულად იცნობენ დაწყებითი კლასებიდან. მეტ ამოცანას არც ამჯერად ვისახავთ; ნუ დავიწყებთ რაიმე წესების დადგენას, მთავარია ვაჩვენოთ თვით ქმნადობის პროცესი და მოწაფეებს მივცეთ სამუალება, აქტიურად გამოიყენონ ენაში რეალურად არსებული მექანიზმები.

თემასთან დაკავშირებულ სავარჯიშოებში სხვადასხვა ამოცანაა დასმული, კერძოდ, აქ არის როგორც ანალიზის, ისე სინთეზის ელემენტები. ამავე დროს,

წარმოქმნილ სიტყვებზე უფრო ფართო დაკვირვება შეიძლება ლექსიკონების გამოყენებით. მაგალითად, თუ თქვენ გამოიყენებთ სულხან-საბას ლექსიკონს, აქ სიტყვა-სტატიებს ბოლოში ახლავს იმ სიტყვების ჩამონათვალი, რომელთაც აქვთ სიტყვაწარმოებითი კავშირი დასახელებულ სიტყვასთან. მაგალითად, **დედა** სიტყვასთან მითითებულია: **დედობილი, დედოფალი, დედული, მდედრი, სიდედრი, სიმდიდრე, ჯინჭრისდედა**. თუ ამგვარ სიტყვებს განმარტებებიანად ამოვწერთ, მივიღებთ ნაყარ სიტყვათა საინტერესო „ბუდეს“.

სავარჯიშოში მოცემულია ფრანგული ლიტერატურის ცნობილი გმირის – გარგანტუას – თამაშობანი. მაგრამ ეს თამაშობანი ფრანგული არ უნდა გვეგონოს. მათი უმეტესობა ქართული სინამდვილიდან არის აღებული და ტერმინებიც ჩვენია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ჩამონათვალი არსებითად განახევრებულია და მათგანაც ნაცნობი შეიძლება მცირე იყოს. შეიძლება ზოგი შევარჩიოთ კიდეც და მოწაფეებს ამოცანად დავუსახოთ, მოიძიონ მისი შინაარსი და წესები.

ეს თამაშობანი სიტყვაწარმოებას იმით უკავშირდება, რომ აქ სახელწოდებების წარმოქმნაში აქტიურად მონაწილეობენ გარკვეული ბოლოსართები (-ობა, -ობია, -ობანა).

## მეცხრე პარაგრაფი რთული სიტყვების მართლწერა

რთული სიტყვების გაცნობის შემდეგ ერთ-ერთი აუცილებელი პრაქტიკული ამოცანაა ამგვარი სიტყვების მართლწერა, ვინაიდან ამ თვალსაზრისით ერთგვაროვნება არა გვაქვს. ეს საკითხიც გამეორების ხასიათს ატარებს, ვინაიდან დაწყებით კლასებში მოწაფეები მუდმივად ეცნობოდნენ რთულ სიტყვებს და მათ დაწერილობაზეც იყო მითითებები.

შეიძლება, განვლილის გათვალისწინებით, ამოცანა შებრუნებული სახით დავსვათ:

– შევაერთოთ რთულ სიტყვებად შემდეგი სიტყვები:

მთა და ბარი	ტყე და ველი
ველი და მინდორი	ქართული და კახეთი
დედა და მამა	ქართლი, კახეთი და იმერეთი

– ახლა ის შემთხვევა ვნახოთ, როდესაც რთული სიტყვა „მქონებლობის“ ნიშნით წარმოიქმნება. როგორ იქმნება ერთ რთულ სიტყვად:

ვისაც ფეხი აქვს მოტეხილი .....  
ვისაც გული აქვს გახეთქილი .....  
რასაც ძირი აქვს გამოცლილი .....  
რასაც ცეცხლი აქვს მოკიდებული .....  
რასაც მტვერი აქვს წაყრილი .....

ორსავე შემთხვევაში შედეგად ვიღებთ რთულ სიტყვებს: ტყე-ველი, მტვერ-

წაყრილი... მაგრამ მათ შორის განსხვავება აშკარაა. თუ პირველ შემთხვევაში ცალკე სიტყვების ჩამონათვალი, მათი დამოუკიდებელი როლი არსებითად შენარჩუნებულია, მეორე შემთხვევაში ამ მონაცემების, რომლებიც ისედაც არ იყო თანაბარმნიშვნელოვანი („მოტეხილი“ ფეხს ეკუთვნოდა და „წაყრილი“ მტვერს), სრული შერწყმა, ერთ სიტყვად შერწყმა ხდება.

ფორმალურადაც ამოსავალი ვითარება არსებითად განსხვავდება: პირველ შემთხვევაში შერწყმულ წევრებს შორის **და** კავშირი ზის (ან – იგულისხმება), რაც ამ წევრების თანაბრობის ავტომატური ნიშანია; მეორე შემთხვევაში აქ ზმნის აქცენტირებით ხაზგასმა ხდება რაიმე ნიშან-თვისების მქონებლობაზე, რაც ასევე ავტომატური ნიშანია იმისა, რომ ამ ზმნით დაკავშირებული წევრები თანასწორი არ არის – ერთი „მქონებელია“, მეორე „მიკუთვნებული“.

რთული სიტყვების მართლწერის არსი ამაში მდგომარეობს: თუ თანაბარ-მნიშვნელოვანი სიტყვების შერწყმა ხდება, დეფისით იწერება, თუ არათანა-ბარმნიშვნელოვანთა – შერწყმულად. ფორმალური ნიშანი კი „**და**“ კავშირის ჩასმის შესაძლებლობაა. ეს ბავშვებისთვის ძნელი გასაგები არ არის, ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ წესმაც შეიძლება შეცდომა დააშვებინოს ბავშვს. კერძოდ, აუცილებელია მითითება იმაზე, რომ **და** კავშირის ჩასმის შემ-დეგ შემადგენელი წევრების მნიშვნელობა უნდა უდრიდეს რთული სიტყვის მნიშვნელობას. მაგალითად, **და** კავშირის ჩასმა ლომკაცი სიტყვის კომპონენტებს შორისაც შეიძლება (ლომი და კაცი), მაგრამ ლომკაცი შინაარსით „ლომი და კაცი“ კი არ არის, არამედ „ლომივით კაცი“ და ამიტომაც ის დეფისით ვერ დაიწერება.

აქვე გამახვილებულია ყურადღება და კავშირით შეერთებულ, აგრეთვე ისეთ რთულ სიტყვებზე, რომლებიც დეფისით იწერებოდა, მაგრამ პრეფიქს-სუ-ფიქსით გაფორმების შემდეგ შერწყმულ კომპოზიტებად იქცნენ.

გასათვალისწინებელია, რომ დეფისა და ტირეს ხშირად მოზრდილებიც ვერ არჩევენ, ამას ხელს უწყობს ბეჭდვითი პროდუქციაც. ამიტომაც კვლავ არის აქ-ცენტირებული განვლილი წესი მათი განსხვავების შესახებ.

ამ თემას ახლავს სავარჯიშო, რომელიც შეცდომების გასწორებას ითვა-ლისწინებს. საზოგადოდ, ჩვენი პრინციპია, მონაფეს მიენოდოს მხოლოდ სწო-რი ორთოგრაფიული ვარიანტები. მაგრამ სავარჯიშოებში მეთოდურად გამარ-თლებულია, მონაფემ თვითონ ეძებოს შეცდომები და მათი გასწორების გზით განიმტკიცოს მიღებული ცოდნა. ეს ხერხი კრიტიკული დამოკიდებულების განსავითარებლად, თვალის გასამახვილებლად არის გამიზნული. მით უფრო, რომ მოცემული კომპოზიტების დაწერილობა ადრინდელ გამოცემებში არცთუ იშვიათად თანამედროვე ნორმებს არ ექვემდებარება.

## IV თავი აზრი და ცინადადება

### პირველი პარაგრაფი ნინადადება

რამდენიმე სიტყვით განვმარტოთ, რა განაპირობებს ლექსიკიდან უშუალოდ წინადადებაზე გადასვლას? ხომ შეიძლებოდა, რომ რადგან სიტყვაზე ვიყავით შეჩერებეული, ე. წ. მეტყველების ნაწილებზე გადავსულიყავით; ბოლოს კი სიტყვათა კავშირი, ანუ წინადადება განვვეხილა.

საქმე ის არის, რომ ენობრივი სინთეზის შედეგებიდან ყველაზე უფრო ხელშესახები და ნათელი წინადადებაა. წინადადება ენობრივი ამოცანის საბოლოო შედეგია და მისი მთლიანობა ერთნაირად ხელშესახებია მშობლიური ენის ყველა მფლობელისათვის. წინადადებაზე საუბრის დროს სიტყვათა კავშირზე, სტრუქტურაზე გვიხდება საუბარი და ეს სტრუქტურა ძალზე თვალნათელია, ხოლო შეკავშირების წესები – ავტომატური. ხოლო რაც შეეხება მეტყველების ნაწილებს, მათი განხილვის დროს აუცილებელი ხდება სისტემური მონაცემების შემოტანა, რაც მეტ განზოგადებასა და ცნებით გააზრებას მოითხოვს. ამიტომაც სიტყვათა გრამატიკული აგებულების ანალიზს ბოლო ადგილს ვუთმობთ, თანაც – მაქსიმალურად მცირე დოზით.

„წინადადების“ განმარტება ბავშვებმა უკვე იციან წინა კლასებიდან. აქ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ წინადადების აგების, ანუ სიტყვათა შეკავშირების შესაძლებლობები მრავალგვარია და რომ ამ პოტენციის რეალიზაცია მიზანზეა დამოკიდებული; მიზანი კი რაიმე აზრის გამოხატვაა. ამგვარად, მსჯელობა იქით მიდის, რომ სიტყვების არსებობა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს იმისათვის, რაც გვაქვს სათქმელი. ამიტომაც აქ ძალზე მოსახერხებელია საყოველთაოდ გავრცელებული მეთოდი – მოცემული სიტყვებით თამაში. მაგალითად, რა ასოციაციას შეიძლება აღძრავდეს „ვარდის კონა“ ანუ თაიგული? მით უფრო – „ვარდის კონა“ და „გული“, მეტიც – „ვარდის კონა“, „გული“ და „მოყვარე“. რამდენიმე შესაძლებელი წინადადების ჩამოყალიბება შეიძლება ბავშვების აქტიურობით, მაგრამ არც ერთი არ იქნება რუსთაველისეული: „მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამინყლულა“.

ამგვარად, შევთავაზოთ რომელიმე სამი სიტყვა (სახელები) და შევადგენინოთ შესაძლებელი წინადადებები. რაც უფრო სემანტიკური კავშირის გარეშე იქნება ეს სიტყვები დასახელებული, მით მეტია ფანტაზიის შესაძლებლობა.

ამ ვარჯიშიდან აშკარად გამოიკვეთება, რომ სიტყვათა ჯგუფი წინადადებად მხოლოდ ზმნის მონაწილეობის შედეგად იქცევა. წინადადების აზრსაც არსებითად ზმნის შინაარსი განაპირობებს, ვინაიდან სიტყვების ურთიერთობის აზრი სწორედ მასშია გამოხატული.

ზმნა, როგორც მოქმედების „სახელი“, მოწაფეებმა უკვე იციან და აქ მისი შემოტანა რაიმე უხერხულობას არ ქმნის. ამავე დროს, პრინციპულად გასათ-

ვალისწინებელია, რომ, როგორც დაწყებით კლასებში, ისე ამ დონეზე, „ზმნა“ ტერმინი არის გამოყენებული სინტაქსის დონეზეც („შემასმენელს“ გამოვრიცხავთ) და ამით ხაზს ვუსვამთ, ჯერ ერთი, იმ განუყოფელ კავშირს, რომელიც არსებობს მორფოლოგიასა და სინტაქსს შორი. მეორეც და მთავარი – ცნება „შემასმენლის“ შემოტანას არავითარი ახალი გაგება არ შემოაქვს ენობრივი ანალიზის დონეზე, უბრალოდ, გაუგებრობას იწვევს ორი ტერმინის ფუნქციონირება ერთი და იმავე ოდენობის გამოსახატავად (ამ წინააღმდეგობის მოვლას იმით ცდილობენ, რომ ტერმინ „ზმნა-შემასმენელს“ გამოიყენებენ, რაც დამატებითი გაუგებრობაა). ამიტომაც არის, რომ თანამედროვე სინტაქსურ თეორიებში ზმნას ცალკე სინტაქსური სახელი არ ჰქვია (ბუნებრივია ასეთი ვითარება არ არის დანარჩენ „მეტყველების ნაწილებში“, ვინაიდან იქ წინადადების წევრებად მათი გამოყენება ასეთ ცალსახა დამოკიდებულებას არ გვიჩვენებს).

ამგვარად, ნუ გამოიყენებთ „შემასმენელის“ ცნებას.

ზმნას ქართული წინადადების აგებაში განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება, რადგანაც მრავალპირიანობის გამო იგი ფაქტობრივ მინიატურული წინადადებაა, ანუ ზმნის წარმოთქმით უმეტესად მთელ სინტაქსურ კონსტრუქციას გავიაზრებთ. დავალების ერთი პუნქტი სწორედ ამას ითვალისწინებს; ზმნებმა უნდა გვიკარნახონ, რა წინადადება ავაგოთ. ამგვარად, აქ არის ამოცანა „აზრიდან – წინადადებისაკენ“ (განსხვავებით დასაწყისში წარმოდგენილი ამოცანისა – „სიტყვებიდან – აზრისკენ“).

მომდევნო მეცადინეობაზე უნდა გაგრძელდეს მუშაობა მოცემული სიტყვების გამოყენებით წინადადების კონსტრუირების მიმართულებით. აქ კვლავ ვუბრუნდებით წინადადების მთლიანობის საკითხს და სათანადო სავარჯიშოს მოშველიებით ვადგენთ, რომ წინადადება წინადადება ვერ იქნება, თუ ის აზრობრივად დასრულებული არ არის.

## მეორე პარაგრაფი წინადადების წევრები

ამ პარაგრაფში ვეხებით „წინადადების წევრების“ საკითხს. ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტულად მხოლოდ ზმნა არის განსაზღვრული. სხვა მხრივ ამ ეტაპზე წინადადების წევრების დიფერენცირებას არ ვახდენთ. მხოლოდ ვადგენთ, რომ წინადადება შეიცავს ნამდვილ წევრებს, ანუ სრულმნიშვნელოვან სიტყვებს, და ე. წ. დამხმარე სიტყვებს. კონკრეტულად რომელ წევრს რა ჰქვია, ამ ეტაპზე ამას არ ვასწავლით.

გაითვალისწინეთ: ეს არის პრინციპული განსხვავება ტრადიციულ მიდგომასთან. ამ ეტაპზე სინტაქსის დონეზე არ ვეხებით წინადადების ცალკეულ წევრებსა და მათ მიმართებებს, მხოლოდ წინადადების აგებულების საკითხს წამოვწევთ, ისიც ზოგადად, წევრთა შედგენილობის თვალსაზრისით.

რაც შეეხება წინადადების ცენტრალური წევრის – ზმნის – გარშემო თავმოყრილი, მასთან დაკავშირებული სიტყვების საკითხს, ეს საკითხი ზმნის ანალიზში გაგვაქვს და მოქმედ პირებზე იქ ვლაპარაკობთ. ამ ეტაპზე ლოგიკური

ცნების „ქვემდებარის“ შემოტანას ჯობია ზმნური შესიტყვების აუცილებელ წევრზე „სუბიექტზე“ ვიღაპარაკოთ და ამით აზრობრივი გაორებაც თავიდან ავიცილოთ.

დავუბრუნდეთ თემას: როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ნამდვილი წევრები და დამხმარე სიტყვები?

აქ საჭიროა უკვე ნაცნობი – კითხვის დასმის – ხერხი მოვიშველიოთ და ამით წინადადების დონეზე გავიმეორებთ და განვამტკიცებთ იმას, რაზეც სიტყვის მნიშვნელობაზე საუბრისას უკვე შევჩერდით. ამგვარი კავშირების წარმოჩენა სახელმძღვანელოს მთავარი პრინციპია.

## მესამე პარაგრაფი მარტივი და რთული წინადადება

პარაგრაფი მიზნად ისახავს მარტივი და რთული წინადადებების გამიჯვნას.

აქაც უაღრესად ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ საკითხის დასმის რაკურსს: მიზნად არ ვისახავთ მარტივი და რთული წინადადებების რაობის განსაზღვრას! თემის დასაწყისში მხოლოდ იმაზეა მითითება, რომ წინადადების წევრების რა-ოდენობა პრაქტიკულად დაუსაზღვრელია.

შემდეგ კი თემის არსებითი ამოცანაა დასმული: როგორ გავარჩიოთ ერთმა-ნეთისაგან მარტივი და რთული წინადადებები?

ჯერ ერთი, რა მიზანი აქვს ამ გარჩევას?

– ეს არის წინადადებების ძირითადი კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით, რომელიც განაპირობებს სათანადო ინტონაციასა და პუნქტუაციას.

მეორეც, როგორ გავარჩიოთ მარტივი და რთული წინადადებები, თუ არ ვი-ცით, რა არის ან ერთი, ან მეორე.

– საქმეც ის არის, რომ წინადადების ცენტრალურ წევრზე – ზმნაზე – დაყ-რდნობით წინადადებების საერთო სტრუქტურის ცოდნის გარეშეც შეიძლება იმის განსაზღვრა, მარტივია ის თუ რთული. ცხადია, ის შესაძლებლობა, რომ უფრო მარტივი ხერხით შეიძლება გადავწყვიტოთ დასმული ამოცანა, პედაგოგიკაში აუცილებლად გამოსაყენებელია.

დიახ, ზმნაზე დაყრდნობით ამის განსაზღვრა სრულიად შესაძლებელია.

წესი ასეთია: ზმნა წინადადების გულია. გული – ერთია. მაში, ერთი ზმნა – ერთ წინადადებას გულისხმობს. ეს არის მარტივი წინადადების სახე. თუ ერთ წინა-დადებაში ორი და მეტი ზმნა აღმოჩნდა, ცხადია, ის წინადადება რთული იქნება. შერწყმული წინადადების გამოცალკევება შემდგომში მოხდება.

ანალოგისათვის შეიძლება გამოვიყენოთ მარცვლის საკითხი; ერთი ხმოვანი ერთი მარცვალია, რამდენი თანხმოვანიც არ უნდა ახლდეს მას. ასევე: ერთი ზმნა ერთი მარტივი წინადადებაა რამდენიც არ უნდა იყოს ამ წინადადე-ბაში (ამ წესის დაზუსტებები მომავლის საქმეა).

## **მეოთხე პარაგრაფი სრული და უსრული წინადადება**

„უსრული წინადადების“ პრობლემა აქ ასევე შემოტანილია არა მისი დეტალური, ტიპობრივი ჩვენებისათვის, არამედ – როგორც ერთი ბუნებრივი მოვლენა ჩვენი მეტყველებისა, წერისა და სტილისა.

ჩვენი მეტყველების პროცესი რომ ყველა წინადადების მთელი მისი შედგენილობით გამოყენებას მოითხოვდეს, ადამიანების საუბარი საოცრად მომაბეზრებელი გახდებოდა. ენა ეკონომიური სისტემაა და ის ამ შემთხვევაშიც რაციონალურად ეკიდება აზრისა და მისი გამოხატვის საშუალებების ურთიერთმიმართებას. ყველა წევრი, რომელიც შესაძლებელია ისედაც იგულისხმებოდეს, შეიძლება გამოტოვებულ იქნეს. წევრის გამოტოვება კი სრულ წინადადებას უსრულად აქცევს.

უსრული წინადადებები ენაში მეტია, ვიდრე სრული, მათი მოხმობა ნებისმიერი თხზულებიდან შეიძლება.

სასურველია საკითხი იმ პრინციპით გავშალოთ, რაც გაკვეთილის ძირითად ტექსტშია შემოთავაზებული: ავიღოთ რომელიმე დიალოგი მოთხრობიდან თუ პიესიდან და მოწაფეებს მივცეთ წევრებალდდგენილი, შევსებული სახით.

შევთავაზოთ ერთგვარი სტილისტიკური სამუშაო:

– თუ გრძნობთ ამ წინადადების მოუქნელობას?

რომელ სიტყვებს ამოიღებდით ამ წინადადებებიდან ისე, რომ აზრიც არ დამახინჯებულიყო და ფრაზებიც უფრო მსუბუქი და მოქნილი გამხდარიყო?

ეს არის წინადადების დახვენა, რომელიც შეიძლება შევადაროთ მოქანდაკის შრომას, რომელიც იღებს მარმარილოს ნატეხს, აცლის ყველაფერ „ზედმეტს“, რათა მიიღოს მშვენიერი ქანდაკება. ასეთივე ხელოვნებაა ისეთი წინადადების მიღება, რომელსაც ჩამოცილებული ექნება ყოველივე ზედმეტი.

ამგვარად, ამ თემის დანიშნულება „უსრული წინადადების“ სწავლება კი არ ყოფილა, არამედ უსრული წინადადების, როგორც ენობრივი გამოხატულების აუცილებელი ფორმის, მნიშვნელობის ჩვენება, ფრაზის დახვენაზე მუშაობა.

ამ თემას ბუნებრივად აგრძელებს რუბრიკა „სიტუაცია და სიტყვის არჩევანი“, რომელსაც კონკრეტული სათაურიც აქვს – „დიალოგის ხელოვნება“. სამეტყველო ურთიერთობის უმაღლესი ფორმა არის დიალოგი. დიალოგის წარმართვა მართლაც უდიდეს ოსტატობას მოითხოვს და უამრავი ენობრივი და არაენობრივი ფაქტორის გათვალისწინებას საჭიროებს. რუბრიკის დასაწყისში მოკლედ არის მითითებული იმ მოთხოვნებზე, რაც დიალოგში მონაწილეს უდგას წინ. შემდეგ კი შემოთავაზებულია ისეთი სიტუაცია, რომლის დროსაც დიალოგში, თანაც მოულოდნელად წარმოქმნილ დიალოგში, ჩართვაა აუცილებელი.

## **მეხუთე პარაგრაფი ერთგვარნევრებიანი წინადადება**

ეს პარაგრაფიც ასევე პრაქტიკული მიზანდასახულებისაა, რამდენადაც

ამგვარი აგებულების წინადადებას ძალზე მწვავედ უკავშირდება პუნქტუაციის საკითხი.

მონაფეებმა უკევე იციან, რომ წინადადების ნამდვილ, ანუ სრულმნიშვნელოვან წევრებს, კითხვების დასმის მეთოდით ამოვიცნობთ. აქედან ლოგიკური დასკვნა: თუ კითხვები ერთმანეთს დაემთხვა, მაშასადამე, ერთგვარი წევრები ყოფილა.

ეს არ არის უნივერსალური კანონზომიერება. წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ შესაძლებელია საერთო კითხვა არაერთგვაროვან წევრებსაც აღმოაჩნდეს. მაგრამ ეს პრობლემა ძალზე შორსმიმავალია და უმეტესად უფრო მაღალ საფეხურებზეც ძნელად გადასაწყვეტი. ამიტომაც ამ ეტაპზე წესის ამგვარად ჩამოყალიბება შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ.

ერთგვარი წევრები, რომლებიც ან კავშირით არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ან ჩამოითვლება, წინადადებაში სხვადასხვა ადგილს იკავებს. ამ ადგილს მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც მათ ახლავს ე. წ. განმაზოგადებელი სიტყვა. პუნქტუაციური სირთულეც ახლავს არა ერთგვარ წევრებს შორის მძიმის დასმას, არამედ ორნერტილისა თუ ტირეს ხმარებას ამ წევრების წინ თუ მომდევნოდ.

ამ პოზიციის სამი შესაძლებელი ვარიანტი გაკვეთილის ტექსტში მაქსიმალურად ხელმისაწვდომად არის წარმოჩენილი. ამოცანა მხოლოდ მათი პრაქტიკული განმტკიცებაა ემპირიული მასალის გათვალისწინებით.

სავარჯიშოებში პრობლემა რამდენიმე რაკურსითაც წარმოჩენდება. ყურადღება უნდა მიექცეს განმაზოგადებელი სიტყვების „მოთხოვნას“, – მოჰყვეს ერთგვარი წევრების ჩამონათვალი. რაც შეეხება მცდარი ვარიანტების გასწორების ამოცანას, აქ მასწავლებელს ევალება, განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება ტიპობრივ შეცდომაზე: განმაზოგადებელი სიტყვა არ არის, მაგრამ ორნერტილს წერენ!

## მეექვსე პარაგრაფი სხვათა სიტყვა

კიდევ ერთი უაღრესად აქტუალური ამოცანა, რომელიც მოზარდების ენობრივ აღზრდას უკავშირდება, არის სხვათა სიტყვის გადმოცემა.

ქართულ ენაში ეს ფორმა თავისითავად რთულ მექანიზმს წარმოადგენს და შეიძლება მისი სწავლება კიდევაც გადაწეულიყო, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გვერდი აევლოს სხვათა სიტყვის გამოყენებას; ის ენობრივი ჩვევებიც, რომლებიც ამ ფორმას უკავშირდება, სწორედ ამ დროს ყალიბდება აქტიურად: ბავშვს უწევს შინაარსის გადმოცემა ზეპირად და წერილობით; განსაკუთრებით – თხზულების ტექსტის გადაყვანა პირველიდან მესამე პირში და სხვ. ამიტომაც ამ მექანიზმის გათვალისწინება აუცილებელი ხდება.

გაითვალისწინეთ: ბევრი მასწავლებელი მონაფეებს უნერგავს იმ აზრს, რომ სალიტერატურო ნორმა სხვათა სიტყვის კავშირიან გადმოცემას ითვალისწინებს (ჩვენთან – მე-2 ვარიანტი).

ეს არ არის მართებული! მოცემული ვარიანტებიდან ყველაზე ბუნებრივი ქართული გახლავთ სხვათა სიტყვის გადმოცემა სპეციალური ნაწილაკების გამოყენებით. ოღონდ ამ დროს კავშირის გამოყენება არ შეიძლება (ეს გაფრთხილება ტექსტში გამოყოფილია საგანგებოდ).

შესაძლებელია, სხვათა სიტყვის ნაწილაკებისათვის თავის არიდება იმითაც არის განპირობებული, რომ მათი განაწილება და დაწერილობა დამატებით პრობლემებს წარმოქმნის. მაგრამ განა ქართულ კულინარიაზე ხელი უნდა ავიღოთ იმის გამო, რომ ბევრად მარტივია ნახევარფაბრიკატების გამოყენება?! საჭიროა, ბავშვები ამ პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტასაც მივაჩვიოთ.

## პარაგრაფი მეშვიდე ნინადადების წარმოთქმა და სასვენი ნიშნები

პარაგრაფი ეხება წინადადების მთლიან აზრობრივ გამოხატულებას, მის ინტონაციურ ქარგას და წინადადების ბოლოს დასასმელ სასვენ ნიშნებს. ამ შემთხვევაში, ჩვეულებისამებრ, ლაპარაკობენ წინადადების შინაარსზე და მის მოდალობაზე. ჩვენ აუცილებლად არ მივიჩნევთ დამატებით ცნებების შემოტანას, ვინაიდან ისინი ამოცანის გაგებას არ აადვილებენ, პირიქით, დამატებითი პრობლემები შემოაქვთ. მივუდგეთ უფრო მარტივად:

სასვენი ნიშანი წინადადების ბოლოს განპირობებულია იმ ინტონაციით, რომლის თანხლებაც აუცილებელია წინადადების წარმოთქმის დროს. ეს ინტონაცია ბუნებრივია და ავტომატურად განპირობებულია წინადადების შინაარსით. ამდენად სასვენი ნიშნის მოთხოვნა უშუალოდ არის განპირობებული ინტონაციით (მისი გამოხატულება). თანაც, შეიძლება წინადადება ერთი იყოს, ხოლო ინტონაცია სულ სხვადასხვა, რაც ასევე განსხვავებულ პუნქტუაციას მოითხოვს. ტექსტში ამის ერთი შემთხვევაა წარმოდგენილი.

ამდენად, სათანადო ამოცანის გადასაწყვეტად ბავშვები ვამუშაოთ ცალკეული წინადადებების წარმოთქმაზე და ამ წარმოთქმის თანმხლები ინტონაციის გათვალისწინებით ამოვაცნობინოთ სასვენი ნიშნები. ეს ვარჯიში სწორი ინტონირების ამოცანასაც ემსახურება (რადგან რეგიონებში ინტონაციები მკვეთრად სხვაობს) და პუნქტუაციური ამოცანის გადაწყვეტასაც – საკუთარ მეტყველებაზე დაკვირვებით (შემდგომ ეს უფრო განმტკიცდება).

ამ თემაში ცალკე არის გამოყოფილი კითხვითი ინტონაციის პრობლემა, ვინაიდან ამ თვალსაზრისით ძალზე შესამჩნევია სალიტერატურო ნორმიდან გადახრა, განსაკუთრებით – ქალაქურ მეტყველებაში. კერძოდ, საზოგადოდ, ძალზე გავრცელდა მეტყველების მანერა, რომელიც წინადადების დასასრულის ინტონაციურ გაგრძელებას გულისხმობს. განსაკუთრებულ შენიშვნას იმსახურებს ხაზგასმული კითხვითი ინტონაცია თვით იმ შემთხვევაშიც, როდესაც კითხვითი სიტყვაა გამოყენებული. ნორმა კი ამგვარ შემთხვევაში კითხვითი ინტონაციის მინიმუმადე შემცირებას ითვალისწინებს. ვავარჯიშოთ ბავშვები იმ განსხვავებულ ფრაზებზე, რომელთა ნიმუშები ტექსტშია მოცემული. საზოგადოდ, ვაკონტროლოთ მათი მეტყველება სხვა ტექსტების თხრობის დროსაც ამ მითითების გათვალისწინებით.

## V თავი სიტყვათა კლასები

პირველი პარაგრაფი

სიტყვათა ძირითადი კლასები ანუ მეტყველების ნაწილები

აქ იწყება სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ძირითადი თემატური ბლოკი – „სიტყვათა კლასები“.

რას გამოხატავს ტერმინი „სიტყვათა კლასები“?

ცნობილია, რომ ტერმინი „მეტყველების ნაწილები“ სრულიად არაფრის მთქმელია ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ის რუსულიდან არის თარგმნილი (კალკი) და თავის ფუნქციას – ნათლად განსაზღვროს ის, რასაც დაერქვა, მინიმალურადაც ვერ ასრულებს.

რა მიზანს ისახავდა „მეტყველების ნაწილთა“ კლასიფიკაცია?

– სიტყვათა დაჯგუფებას ყველაზე მსხვილ, ძირითად გაერთიანებებად; ანუ: „მეტყველების ნაწილთა“ კლასიფიკაცია ენის ლექსიკური ფონდის მთავარი განაწილებაა.

ამგვარად, ეს ყოფილა ლექსიკის, ენის სიტყვათა მარაგის კლასიფიკაცია, რომელიც უნივერსალური გამოდგა ყველა ენისათვის.

უფრო ნათელი რომ იყოს მიზანი და შედეგი, რა შეიძლება დავარქვათ ამ დაჯგუფებებს?

პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ამ დაჯგუფების ობიექტი არის ენაში არსებული ყველა სიტყვა; ამიტომაც ესენია სიტყვათა ჯგუფები.

მაგრამ, რადგანაც სიტყვათა ჯგუფებად შეიძლება უფრო მცირე გაერთიანებებიც მოვიხსენიოთ (ვთქვათ, სინონიმები, „ბუდეები“), ხოლო ყველაზე მსხვილ დაყოფას, ძირითად კლასიფიკირების, კლასებად დაყოფას უწოდებენ (აქედან – თვით ტერმინი კლასიფიკაციაც), ყველაზე შესაფერისი იქნება ამგვარ დაჯგუფებებს ვუნიდოთ „სიტყვათა კლასები“. ეს ტერმინი არის კიდეც გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

რამდენადაც შეიძლება ბავშვებს ეს ტერმინი ეხამუშოთ მათთვის ნაცნობ სიტყვასთან დამთხვევის გამო, ამიტომაც სწორედ ამ ტერმინით დავიწყოთ:

– სკოლაში დიდ-პატარა ბავშვები ერთად მოდიან, შემდეგ კი ნაწილდებიან – რის მიხედვით?

– ასაკით, უფრო სწორად, სწავლის საფეხურების, მიხედვით ნაწილდებიან კლასებად. კლასი არის სკოლის ძირითადი დანაყოფი, ჯგუფი.

„კლასი“ სიტყვა მხოლოდ აქ არ გამოიყენება. ბუნებაში ცოცხალ არსებებსაც მათი ძირითადი ნიშნების მიხედვით ძირითად „კლასებად“ ყოფენ (მაგალითად, „ფრინველები“ ფრენის ნიშნით ერთიანდებიან, ქვეწარმავლები კი – მინაში ცხოვრების ნიშნით და ა. შ.).

ამგვარად, ენაში არსებული ლექსიკის უმსხვილეს, ძირითად გაერთიანებებს უნდა ვუნიდოთ სიტყვათა კლასები. ამით უფრო ნათელი გახდება ის, თუ რას

ეხება ტერმინი და აღდგება ის კავშირიც, რაც ამ კლასიფიკაციას სიტყვასთან, ლექსიკასთან აქვს.

ამდენად, დავამკიდროთ ტერმინი „სიტყვათა კლასები“ და ნელ-ნელა გამოვდევნოთ არაფრისმთქმელი შესიტყვება – „მეტყველების ნაწილები“. ნელ-ნელაო, რომ ვამპობთ, ვგულისხმობთ იმას, რომ ის ჯერჯერობით კიდევ გამოიყენება სწავლებაში და, ამავე მოსაზრებით, გაკვეთილის ბოლოში ჩვენც მივუთითებთ, ამ „კლასებს“ მეტყველების ნაწილებსაც უნდღებენ.

კიდევ ერთი უნდა გავითვალისწინოთ: გაკვეთილში ისიც არის ნათქვამი, რომ ამ კლასიფიკით ენის მთელი სიტყვათა მარაგი 10 ძირითად კლასად არის დაყოფილი და იმაზეც არის მინიშნება, რა ნიშნით გამოიყოფა ეს კლასები (სამ ოდენობაზეა მითითება: არსებითი, ზედსართავი, ზმნა...). ეს იმას ნიშნავს, რომ ამჯერად არ არის აუცილებელი მთელი ამ კლასიფიკის ერთობლივად წარმოდგენა და განსაზღვრა. კლასიფიკის შინაგანი სირთულე ერთობლივად წარმოდგენაში უფრო ჩანს. ამიტომაც ვამჯობინებთ, ყველა ის კლასი (პირველი ექვსი), რომელიც ამ ეტაპზე შემოგვაქვს, დამოუკიდებლად, ოღონდ შესაბამისი „ქუდით“ წარმოვადგინოთ.

ამ თემას წინ გამეორების ფორმით უძლვის ის ძირითადი კავშირები, რომლებიც სიტყვებმა წარმოაჩინეს გარკვეულ „ბუდეებად“ გაერთიანებისას თუ წინადადებებად შეკავშირებისას. მიზანი ამისა ის არის, რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდეს ლექსიკის ურთიერთგამსჭვალულობა. შინაგანი კავშირი და ლექსიკის ძირითად კლასებად დაყოფის ბუნებრივი განპირობებულობაც უფრო თვალნათლივი გახდეს:

სიტყვათა კლასები სხვა არაფერია, თუ არა ჩვენთვის უკვე ნაცნობი სემანტიკური გაერთიანებების უფრო მაღალი დონის გაერთიანება, ხოლო წინადადებები ამ კლასების სიტყვათა ურთიერთებავშირის წესებია.

## მეორე პარაგრაფი არსებითი სახელი

არსებითი სახელი პირველი კლასია, რომელიც გამოიყოფა ენის ლექსიკური ფონდიდან.

სამყაროში, ჩვენ გარშემო, უამრავი საგანი და მოვლენა არსებობს.

– რა შეიძლება ენოდოს ზოგადად ყოველივე იმას, რაც არსებობს; რაც თვით „არსებობს“ ზმნის ფუძეში დევს?

– არსი, არსება.

– სწორედ არსებათა გამომხატველი სიტყვებია არსებითი სახელები.

ადამიანი სამყაროს, ანუ მის ყველა „არსებას“ ენით შეიმეცნებს, იმით ეცნობა, რომ სახელს არქმევს. ამიტომაც არსებითი სახელი ამა თუ იმ არსების ენაში არსებობის ნიშანია.

სამყაროში არსებულ „არსებებს“ (საგნებს) ადამიანი გრძნობათა ორგანოებით აღიქვამს (ან ხედავს, ან ესმის, ან შეხებით შეიგრძნობს), მაგრამ ისეთი

განყენებული მოვლენებიც შეიძლება არსებობდეს, რომლებიც ასე არ აღიქმება (მაგალითად, სიყვარული, შიში, სიძულვილი...).

მაშ, რა აერთიანებს ყოველივე იმას, რაც არსებითი სახელით არის გამოხატული, ანუ როგორ ამოვიცნოთ სიტყვათა საგანძურიდან არსებითი სახელები?

– რა კითხვებს ვიყენებთ, როდესაც რაიმე არსის შეცნობა გვაინტერესებს.

– საამისოდ გვაქვს ორი კითხვა: ვინ არის? რა არის?

**ვინ და რა** არის ის კითხვები, რომლებიც ყველა, ყოველნაირ არსებით სახელს მოიცავს. ამავე დროს, ეს ორი კითხვა ორ მთავარ ჯგუფად ყოფს არსებითი სახელების მთელ კლასს. ქართული ენის თავისებურება ის არის, რომ ეს დაყოფა ადამიანებსა და დანარჩენ ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროს ცალ-ცალკე აყენებს.

„**სიტყვის საგანძურის**“ რუბრიკით სწორედ ადამიანთა აღმნიშვნელი არსებითი სახელების ერთი ჯგუფია წარმოდგენილი, კერძოდ, სიტყვათა „**ბუდე**“, რომელშიც ნათესაობის სახელები შედის. მათი სემანტიკიდან გამომდინარე, ლექსიკური „**ბუდის**“ ანალოგით, მას სიტყვის „**ოჯახი**“ ვუწოდეთ.

სხვათა შორის, ნათესაობის ლექსიკა ყველა ენაში მეტად თავისებურ სისტემას იძლევა. აქ წარმოდგენილი სისტემა მხოლოდ ძირითად ერთეულებს მოიცავს, ის სრული არ არის. მის შევსებაზე შეიძლება ბავშვებმა ივარჯიშონ. ამგვარი სქემა იმით არის კარგი, რომ სიტყვათა შინაგან კავშირებს ვიზუალურად წარმოაჩენს და ბავშვებს სისტემური აზროვნების უნარს უვითარებს. კითხვები, რომლებიც სქემას ახლავს, სწორედ ამ კუთხით არის დასმული: თუ დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ პაპა და შვილიშვილი ერთმანეთის პოზიციიდან არის განსაზღვრული და არა – მამის პოზიციიდან და ა. შ.

## მესამე პარაგრაფი

### არსებითი სახელის ჯგუფები

არსებითი სახელის შინაგანი კლასიფიკაცია უკვე იმით დაიწყო, რომ მისი ორი ძირითადი კითხვა განვსაზღვრეთ („**ვინ**“ და „**რა**“). ამავე დროს, სიტყვათა ამ კლასში კიდევ რამდენიმე შინაარსობრივ ჯგუფს გამოყოფენ. მათგან ამ ეტაპზე შევეხებით მხოლოდ ძირითადს და აუცილებელს (სულიერი – უსულო, საკუთარი – საზოგადო, კრებითი).

პირველი გაყოფა უკვე „**ვინ**“ და „**რა**“ დაჯგუფებისთანავე ხდება აუცილებელი. კერძოდ, ადამიანის გარდა, ყველა საგანი „**რა**“ ჯგუფში ექცევა (ქვა, მთა, ღრუბელი, ხბო, ბეღურა...).

– რა ძირითადი განსხვავებაა მათ შორის?

პირველივე პასუხი შეიძლება იყოს ის, რომ ერთი რიგი – ცოცხალი არსებებია, მეორე რიგი – არაცოცხალი საგნები. ხშირად სწორედ ასეც ყოფენ (ცოცხალი – არაცოცხალი). მაგრამ ცოცხალი ხომ მცენარეებიც არის? ამავე დროს, მცენარეები სულიერთა კლასში ვერ მოექცევა. ამიტომაც მიღებულია დაყოფა სულიერი – უსულო და სულიერები სწორედ არსებებს (ვინრო გაგებით – „**სულდგმულთ**“) გულისხმობს.

სხვათა შორის, ამ კლასიფიკაციის საფუძვლად შეიძლება გამოვიყენოთ „ჰყავს“ ზმნა (ის, რაზედაც ვიტყვით „ჰყავს“, სულიერი იქნება, ოღონდ აქედან ტრანსპორტი – მანქანა, ველოსიპედი – გამოირიცხება). ასე რომ, მასწავლებელს შეუძლია ამ კუთხით დასვას მათი საკლასიფიკაციო კითხვა.

მოწაფეებს უკვე ჰქონდათ შეხება და იციან, რომ ენაში საკუთარი სახელებიც არსებობს და ისინი ასე ინდივიდუალური მიკუთვნებულობის გამო იწოდება. ამ-ჯერად ამ ჯგუფების განსხვავების მორფოლოგიასთან დაკავშირება არ არის საჭირო.

სხვათა შორის, საკუთარ სახელებზე ყურადღების გადატანის მიზნით, აქ მოცემულია ერთი ლექსის ფრაგმენტი, რომელშიც მზისგან (ნათელისაგან) მომდინარე ქალთა სახელებია წარმოდგენილი და სახელის დარქმევის მოტივზე დააფიქრებს მოწაფეებს.

კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა გამოიყოს, არის კრებითი სახელები. ამ ჯგუფის გამოყოფას წმინდად ნორმატიულ-ორთოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამგვარი სახალები შეთანხმებულ სახელსა და ზმნას მხოლობითში მოიხოვენ; მაგრამ ძალზე ხშირია აზრობრივი შეთანხმების შემთხვევებიც. ტექსტს დართული სავარჯიშო სწორედ ამგვარ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას.

## მეოთხე პარაგრაფი ბრუნება

რამდენადაც არსებითი სახელის კლასი გამოიყო, ბუნებრივია, შევეხოთ მის ძირითად ფორმანარმოებით ნიშანს, რამდენადაც სიტყვათა კლასებად დაყოფის ამოცანა ესეც არის, თანდათანობით ხელმისაწვდომი გახდეს ის მორფოლოგიური სისტემები, რომლებიც მათი ენობრივი ფუნქციონირებისთვის არის დამახასიათებელი.

არსებითი სახელების ფორმანარმოება ორ ძირითად სისტემას იცნობს – ბრუნებისას და რიცხვის წარმოებისას. ორივე საკმაოდ მარტივი სისტემაა და ამიტომ მათი წარმოდგენა სწავლების ამ დონეზე სრულიად შესაძლებელია.

მოწაფეები უკვე იცნობენ ბრუნვის ფორმებს მათი თანმიმდევრობით. კერძოდ, მესამე კლასში მათ წაიკითხეს ლექსი „მზის ბრუნება“ და ამ სიტყვის შვიდივე ბრუნვის ფორმა; ოღონდ ბრუნვათა სახელწოდებებს ისინი არ გასცნობიან. ეს არც არის შემთხვევითი, ვინაიდან ეს სახელწოდებები პირობითია და მათში შემეცნებითი დატვირთვა მინიმალურია (ამიტომაც ამბობდა არნ. ჩიქობავა, მოუხერხებელი რომ არ იყოს, ჯობდა საერთოდ ნომრებით ყოფილიყო წარმოდგენილიო).

ამჯერად პირველად შემოდის ეს სახელწოდებები, უკვე ცნობილ ბრუნვის ფორმათა შესაბამისად. ამ თემაში მეტი სიახლე არსებითად არ არის, ამიტომაც დავალება ამ ბრუნვათა დასწავლას და მარტივი სავარჯიშოების შესრულებას ითვალისწინებს. მოწაფეებს მოეთხოვებათ რამდენიმე სიტყვის ბრუნება და ტექსტში მოცემული ბრუნვის ფორმების თანმიმდევრობით დალაგება. შეიძლე-

ბა ასეთი სამუშაო კლასშიც შესრულდეს ნებისმიერი ტექსტის გამოყენებით. კერძოდ, ჩამოიწეროს ბრუნვები და ყოველ შეხვედრილ ბრუნვის ფორმას ამ სისტემაში სათანადო ადგილი მოეძებნოს.

## **მეხუთე პარაგრაფი ფუძე და ბრუნვის ნიშანი**

ფორმანარმოების არსებითი ნიშანია სისტემურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი პარადიგმის ფორმათა საერთო ელემენტი არის სისტემის საყრდენი ღერძი, ხოლო განსხვავებული ნაწილები, გრამატიკული ელემენტები.

რადგანაც ეს ელემენტები სისტემური მონაცემებია, მათი დადგენა თვით სისტემის აგების წესში იგულისხმება. კერძოდ, თუ საერთო წარმომავლობის ერთეულების ვერტიკალურ რიგს ავაგებთ, თვალნათლივ გამოიკვეთება, რა არის საერთო და უცვლელი ამ ფორმები და რა – ცვალებადი. ვერტიკალური ხაზი უცვლელსა და ცვალებად ნაწილებს შორის არის სწორედ მთავარი გამყოფი ფუძისა და მანარმოებელი ელემენტებისა.

შესაძლებელია ამ შემთხვევაში მათემატიკიდან მივმართოთ ანალოგიას. იმისათვის, რომ რიცხვი შეიკრიბოს, აუცილებელი პირობაა ერთეულებისა, ათეულებისა და ა. შ. ერთმანეთის ქვეშ მოქცევა. ზუსტად ასე, ბრუნვების სისტემა „ქვეშმიწერის“ პრინციპით უნდა აიგოს. ამით სისტემა თვითონ „გააანალიზებს“ თავის თავს.

ამიტომაც მონაფეებს დაფაზე ვაწერინებთ ერთ-ერთი თანხმოვანფუძიანი სახელის ბრუნვებას (ვთქვათ – სახელი) და ვუსვამთ კითხვას:

– რა არის ამ ფორმებს შორის უცვლელი, საერთო ნაწილი, და რა – ცვალებადი? თუ ამის დანახვა მთლიანობაში არ მოხერხდა, შესაძლებელია სიტყვაფორმებს ასო-ასოც კი მივყვეთ თავიდან ბოლომდე. როდესაც დავადგენთ საერთოს და, შესაბამისად, ცვალებად ნაწილებს ბრუნვის ფორმათა, მაშინ უკვე ვარქმევთ ამ ელემენტებს შესაფერის სახელებს: ფუძე და ბრუნვის ნიშნები. აუცილებელი არ არის ბრუნვის ნიშნების ცალკე დამახსოვრება, თუმცა მათი ცალკე აღქმის მიზნით გაკვეთილის ტექსტში ისინი ისეა მოცემული, რომ საერთო ფუძე ერთხელ არის წარმოდგენილი, ხოლო ბრუნვის შვიდივე ნიშანი ხაზებით არის დაკავშირებული მასთან.

## **მეექვსე პარაგრაფი ფუძის ცვლილება ბრუნვის დროს**

თუ კვლავ უშუალო დაკვირვების გზით წავალთ, აშკარად გამოჩნდება, რომ ბრუნვების დროს ყველა არსებითი სახელი ერთნაირ სურათს არ გვიჩვენებს, ზოგ შემთხვევაში ფუძეს მოსდის ცვლილება, ზოგჯერ კი ბრუნვის ნიშნები არ არის იმ სახით წარმოდგენილი, როგორც ისინი უკვე გავიცანით.

შესაბამისად აუცილებელი ხდება იმ განსხვავებებზე მითითება, რაც სხვადასხვა სახელის ბრუნვებისას იჩენს თავს.

აქ მიზნად არ ვისახავთ, რომ ყველა ტიპის ბრუნება გამოიკვეთოს და, მითუმეტეს, კუმშვა-კვეცის კანონზომიერება დადგინდეს, მაგრამ განსხვავების ჩვენებით მომავლისათვის ვამზადებთ ამ წესების ჩამოყალიბების საფუძველს.

რადგან მონაფეებმა ფუძე უკვე იციან, შეიძლება ადვილად დავადგინოთ ხმოვანზე არის დაბოლოებული ფუძე, თუ თანხმოვანზე. შემდეგ კი, რამდენადაც ორივე ტიპის ფუძეუცვლელი ბრუნვები მათ ფაქტობრივ უკვე იციან, თითო ფუძეცვალებადი სახელის ტიპობრივ ნიმუშს ვაძლევთ იმ ვიზუალური წესით, რაც სახელმძღვანელოშია მოცემული.

თემას „სახალისო საკითხავის“ რუბრიკით ახლავს ოთარ ჭილაძის ლექსის ფრაგმენტები, რომლებშიც პოეტს ურითმოდ, მაგრამ მოხდენილად გაულექ-სავს სხვადასხვაფუძიან სახელთა ბრუნება. მათ რიგში სიტყვა „მზის“ ბრუნებაც არის, მაგრამ მას აღარ ვიმეორებთ, ვინაიდან ეს სახელი უკვე იყო ამ ფორმით შესწავლილი გასული კლასის მასალაში.

## **მეშვიდე პარაგრაფი მრავლობითის წარმოება**

მრავლობითი რიცხვის გამოხატვა (იგულისხმება – ებ-იანი მრავლობითი) არსებით სახელებში ერთ-ერთი მარტივი სისტემაა.

მონაფეებმა უკვე იციან, რა განარჩევს მხოლობითსა და მრავლობითს, მრავლობითის დაბოლოებასაც იცნობენ. ამიტომ აქ მხოლოდ ამ დაბოლოების ბრუნების სისტემაში წარმოდგენა გვიხდება და ესეც უაღრესად თვალნა-თელ სურათს იძლევა, ვინაიდან ბრუნვის ნიშანთა რიგი უცვლელად დაერთვის უშუალოდ ფუძეს დართულ -ებ დაბოლოებას. აქ დამატებით აღარ ვართულებთ ამოცანას და -ებ სუფიქსის დართვისას ფუძეებში მომხადარ ცვლილებებს სა-მომავლოდ ვტოვებთ, იმ დროისათვის, როცა კუმშვა-კვეცის წესები ჩამოყალი-ბდება.

## **მერვე პარაგრაფი თანდებულები და მათი დანიშნულება**

თანდებულიანი ბრუნვების საკითხი უკავშირდება ლოკალური და ზოგი სხვა მიმართების პრობლემას ენაში და მას სხვა მოვლენებთანაც აქვს მჭიდრო კავ-შირი (მაგ. ზმინისნინთან).

ამ თემას აქვს ორი ასპექტი:

პირველი – პრაქტიკული: ბრუნვის ფორმათა გაცნობის შემდეგ, რა ადგილი მივუჩინოთ თანდებულიან ფორმებს, რომლებიც ფუძით მათ უკავშირდებიან;

მეორე – რა დოზით ავსახოთ გრამატიკული სისტემისა და სემანტიკის სუ-რათი.

როგორც მოწოდებული მასალიდან ნახავთ, ამ ეტაპზე თანდებულებს ბრუნვის ფორმებთან არ ვაკავშირებთ. ამ დაბოლოებიან ფორმებს ჩვენ ვიღებთ, როგორც დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც რაღაც კონკრეტული

მნიშვნელობის გამოხატვას ემსახურებიან (სხვათა შორის, ა. შანიძე ზოგიერთ თანდებულიან ფორმას დამოუკიდებელ ბრუნვად მიიჩნევდა: მაგ. სახლიდან ფორმას გამოსვლითი ბრუნვა ერქვა).

პირველ მონაკვეთად მიდის ლოკალური, ანუ ადგილმდებარეობის გამომხატველითანდებულები, რომელთაც აშკარად გამოკვეთილი კერძო ლოკალური მნიშვნელობა აქვთ. ამ მიმართებებს, როგორც სივრცულ სურათს, გამოკვეთილი ვიზუალური ფორმა აქვს და ეს ნათელიც იქნება მონაფებისათვის და საინტერესოც.

ამდენად, ამ ეტაპზე შემოვითარებით მხოლოდ შესაბამისი თანდებულიანი ფორმების ჩვენებით და მათი ფუნქციის გამოკვეთით.

## მეცნერე პარაგრაფი ზედსართავი სახელი

ამ პარაგრაფის საგანია სიტყვათა ახალი კლასი – ზედსართავი სახელი.

ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებათა გამომხატველი სიტყვების კლასია, ამდენად, ის არსებითი სახელის „თანაშემწე“, მისი „ზედსართავია“. რამდენადაც ზედსართავი ნიშან-თვისებებს გამოხატავს, სამყაროს მთელი მრავალფეროვნება სწორედ მასშია ასახული, ამიტომაც უაღრესად საინტერესოა მასზე დაკვირვება.

რომელი საგანიც არ უნდა ავიღოთ, მას უამრავ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას მოვუძებნით. მაგალითად, ცარცი რომ ავიღოთ: თითქოს თვისებებით ერთ-ერთი ღარიბი საგანია; ფერი აქვს, მაგრამ არც გემო აქვს, არც სუნი. მაგრამ უსუნობა და „უგემობაც“ ხომ თვისებებია; ამავე დროს, ფხვიერი ხომ არის? ხომ აქვს რაიმე ფორმა? და ა. შ.

ამდენად, საგანს მრავალი თვისება აქვს, მთავარია, ჩვენ რა თვალით და რა კუთხით შევხედავთ მას.

ზედსართავი სახელის ამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს: ჯერ ერთი, ის თავისი არსით არსებით სახელზეა მიჯაჭვული, მეორეც, მასაც საკუთარი ამოსაცნობი კითხვები მოეპოვება (**როგორი?** **რანაირი?** **რომელი?**).

თემას ერთვის გარკვეული შემეცნებითი გადახვევა შეგრძნებების სფეროში. მისი დანიშნულებაა, ბავშვის ნინაშე წარმოაჩინოს ზედსართავი სახელის „წყაროები“ ჩვენში, ანუ ის, რომ ზედსართავი სახელების წარმოქმნის საფუძველი ჩვენს შეგრძნებებშია და ეს სამყაროს დიდი საიდუმლოა!

აქვე „სიტყვამ მოიტანა“ ერთი პარმონიული წყვილი, რომელიც მსგავსი უღერადობის სიტყვათა აღრევას გულისხმობს. კერძოდ, აქ მითითებაა, რომ არ ავურიოთ სიტყვები **აღქმა** და **აღთქმა** (**აღქმა „შეგრძნებაა“, აღთქმა – „პირობის დადება“**).

თემის სავარჯიშო მასალაში დასმულია როგორც სემანტიკური, ისე სტილისტიკური ამოცანები.

## **მეათე პარაგრაფი ზედსართავი სახელის ბრუნება**

აქ ნაჩვენებია ზედსართავი სახელის ბრუნების სურათი.

რამდენადაც ზედსართავი სახელი დამოუკიდებლად ბრუნების დროს იგივე არსებითი სახელია და მისი გამოვლენაც აუცილებლად მოითხოვს არსებით სახელთან თანხლებას, ამჯერად სწორედ არსებით სახელთან ერთად ბრუნების ძირითადი შემთხვევებია წარმოდგენილი (თანაც მთავარი – პრეპოზიციური – წყობით).

ეს ერთობლივი ბრუნება იმით არის აქტუალური, რომ მას რამდენიმე ორთოგ-რაფიული პრობლემა უკავშირდება. სისტემა მარტივია და მას, ბრუნების გაცნობის შემდეგ, რაიმე დამატებითი ინსტრუქცია არ სჭირდება. კანონზომიერებები, როგორც იტყვიან, ზედაპირზე დევს.

ერთადერთი, რასაც მეთოდურად შეიძლება მივმართოთ, არის ის, რომ შესაძლებელია ჯერ არსებითი სახელი ვაბრუნებინოთ დაფაზე, შემდეგ კი მას სხვადასხვაფუძიანი ზედსართავების ფორმები მივუსადაგოთ ბუნებრივი ენობრივი წესით. კანონზომიერებები თვალნათლივ გამოჩნდება.

თვალის გასამახვილებლად სავარჯიშოდ აქ სწორედ იმ შეცდომების გასწორებაა გამიზნული, რომლებიც მათ სასწავლო ტექსტებშია დაშვებული.

## **მეთერთმეტე პარაგრაფი რიცხვითი სახელი**

რიცხვითი სახელი შედარებით ერთფეროვანი კლასია ლექსიკური ფონდისა. ის თავისი მიმართებებით არსებით სახელთან თითქმის მთლიანად მისდევს ზედსართავ სახელს და მისი ამ უკანასკნელი კლასის ერთ ქვეჯგუფად შემოტანაც შეიძლებოდა, ტრადიცია რომ არა.

ციფრები და რიცხვები, როგორც ცნობილია, აბსტრაქციაა, მაგრამ მათი შესაბამისი სიტყვები, რომლებიც ენის ფონდში იკავებენ ადგილს, ცხადია, ენობრივად უნდა იქნეს განხილული.

რიცხვითი სახელი საგანთა რაოდენობას გამოხატავს. ეს არის ძირითადი ნაწილი რიცხვითი სახელებისა, „რაოდენობითი“ სახელით რომ არის ცნობილი. ამ რიგის რიცხვითი სახელები ორი ტიპისაა: განსაზღვრული (ერთი, სამი, ათი) და განუსაზღვრელი (ცოტა, ბევრი, მრავალი).

სწავლების ამ ეტაპზე რთული შედგენილობის რაოდენობით რიცხვით სახელებს არ ვეხებით, ვწყვეტო მხოლოდ ორ პრაქტიკულ ამოცანას:

1. რიცხვითი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად. ამ თვალსაზრისით კი ის მთლიანად „ჯდება“ იმ წესში, რომელიც ზედსართავი სახელისთვის არის ჩამოყალიბებული.

2. რიცხვით სახელთან არსებითი სახელი (აგრეთვე ზმნა) მხოლობითში დგას (ორი ძმა მოვიდა), ცხადია, თუ ნართანიანი მრავლობითი არა გვაქვს (ორნი ძმანი მოვიდნენ).

ამ თემას ახლავს დამატებითი მასალა: **მანძილზე და განმავლობაში** სიტყვათა ხმარების განაწილება სივრცული და დროული „გრძლიობის“ გამოხატვის დროს. ამით უნდა დავაზღვიოთ მოწაფეები იმ აღრევისაგან, რასაც დღეს ეს სიტყვები ავლენენ.

## **მეთორმეტე პარაგრაფი ნაცვალსახელი / პირის ნაცვალსახელი**

ენაში არსებულ სიტყვათა კიდევ ერთი თავისებური კლასი არის ნაცვალსახელები. ისეთი შინაარსობრივი მრავალფეროვნება, როგორიც ამ კლასს ახასიათებს, არცერთ სხვა ჯგუფში არ შეიმჩნევა. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ჯგუფში შემავალი სიტყვები ყველა სხვა სახელის მონაცვლედ გამოიყენება. ამდენად, ნაცვალსახელთა კლასი უფრო ფუნქციით (როლით), არის გაერთიანებული და არა საკუთარი შინაარსით. სწორედ ეს განაპირობებს ამ კლასის ჯგუფობრივ ნაირგვარობას.

ამჯერად ყველა ჯგუფი არ არის დასახელებული და არც შესწავლის საგნად ქცეული. შემოტანილია მხოლოდ სამი ჯგუფის ნაცვალსახელები (**პირის, ჩვენებითი და კუთვნილებითი**), როგორც ყველაზე აქტიური გამოყენებისა და თავისებური წარმოების ჯგუფები.

**პირველ მეცადინეობაზე განიხილება პირის ნაცვალსახელი.**

**პირის ნაცვალსახელები** მეტყველებაში მონაწილეთა გამომხატველი „მონაცვლე სიტყვებია“. ამ მონაცვლეობაზე, როგორც ნაცვალსახელის არსის განმსაზღვრელ „მეთოდზე“, ცალკე მაგალითის საფუძველზე შეიძლება შეჩერება:

„მონადირე ხელცარიელი დაბრუნდა. მას თოფი დაავიწყდა“.

რა არის „მას“. ეს იგივე მონადირეა, გამოყენებული იმისათვის, რომ ერთი და იმავე სახელის გამეორება ავიცილოთ. ამგვარად, ნაცვალსახელს გამოკვეთილი სტილისტიკური დატვირთვაც აქვს (ამას მივხვდებით, თუ „მას“ ადგილას „მონადირეს“ ჩავსვამთ).

გაკვეთილის მოკლე ტექსტში არის ერთი მარტივი, მაგრამ პირის ნაცვალსახელის ნამდვილი არსის ზუსტად განმსაზღვრელი ჩანართი: „ერთი მეორეს ელაპარაკება მესამეზე“. ეს არის პირთა, ანუ პირის ნაცვალსახელთა რეალური მიმართების ფორმულა.

ამას ზუსტად ეხმაურება „სახალისო საკითხავი“, რომელშიც ამგვარი „პიროვანი“ დიალოგის ფორმით ლექსად არის შემოტანილი სამივე პირის ნაცვალსახელები ორივე რიცხვში.

პირის ნაცვალსახელების თემაში თავია არიდებული რიცხვის გამოხატვის პრობლემისაგან (აյ ხომ ის ფუძის ცვლით გამოიხატება) და არც მათ ბრუნებაზე ვჩერდებით, ვინაიდან პირველი ორი არ იბრუნვის, მესამე პირის ნაცვალსახელი კი ჩვენებით ნაცვალსახელს ემთხვევა და მათი ბრუნება ცალკე იქნება ნაჩვენები.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: როგორ ამოიცნოს მოწაფემ, რომელ ბრუნვაში დგას პირველი თუ მეორე პირის ნაცვალსახელი?

რატომ უნდა ამოიცნოს? ჩვენი სახელმძღვანელოს პრინციპით ამ ეტაპზე თეორიულ გრამატიკას არ სწავლობენ, ანუ რაიმეს განსაზღვრის საკითხი თვითმიზანი არ უნდა იყოს. პრაქტიკული თვალსაზრისით კი ამგვარი ამოცნობა საჭირო არ არის. მაგრამ, თუ მაინც დადგება ეს საკითხი, გვაქვს ამ შემთხვევისათვის გამოსადეგი მარტივი გზა – „ჩასმის“ ხერხი (გაიხსენეთ ნართანიანი მრავლობითი).

## მეცამეტე პარაგრაფი ჩვენებითი ნაცვალსახელი

ჩვენებითი ნაცვალსახელი იგივე მესამე პირის ნაცვალსახელია, ოღონდაც კვლავ საუბარში მონაწილე პირებთან სიახლოვის მიხედვით განაწილებული. თუ საგნებს თემაში წარმოდგენილი პრინციპით დავალაგებთ, შეიძლება თვალსაჩინოდ ვაჩვენოთ ამ ნაცვალსახელთა განაწილება. ერთი და იგივე ნივთი იმის მიხედვით, მოლაპარაკესთან (ანუ პირველ პირთან) იქნება მოთავსებული, მეორე პირთან თუ მესამესთან, შესაბამისად, შემდეგნაირად იწოდება: **ეს, ეგ, ის.** ამავე დროს: **სამივე მათგანი, როგორც პირის ნაცვალსახელი,** მესამე პირისაა („ის“). მათი მიმართება I, II და III პირებთან საგნის სიახლოვის მიხედვით განაწილებაა.

ჩვენებითი ნაცვალსახელის წარმოდგენილი სამწევრიანი სისტემის ჩვენება და მისი ფორმაცვალება პრაქტიკული თვალსაზრისით იმით არის აქტუალური, რომ განსაკუთრებით მეორე პირთან დაკავშირებულ „ეგ“ ნაცვალსახელს ცოცხალ მეტყველებაში არასწორი გამოყენების დიდი ნაირგვარობა ახასიათებს (აგი, მაგ...).

## მეთოთხმეტე პარაგრაფი კუთვნილებითი ნაცვალსახელი

კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი, შენი, მისი) ასევე სამწევროვანია და ცალკეულ პირთა კუთვნილებას გამოხატავს. ამ თვალსაზრისით ნეიტრალურია **თავისი** ნაცვალსახელი, რომელიც ყოველთვის იმის კუთვნილებას გამოხატავს, ვინც ამ ენობრივ მომენტში მოქმედების შემსრულებელია.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი ზედასართავი სახელის მსგავსად დაერთვის არსებით სახელს და მისი ბრუნებაც რაიმე თავისებურებას არ გვიჩვენებს, ამიტომაც არ არის მასზე ყურადღება გამახვილებული.

პრაქტიკული გრამატიკის კუთხით ყურადღებას მოითხოვს **თავისი – თავიანთი** ნაცვალსახელების გამოყენება იმ თვალსაზრისით, რომ, ჯერ ერთი, **თავისი** ნაცვალსახელის გამოყენება მითითებულ წესს არ ექვემდებარება. გვხვდება როგორც მისი გამოყენება შეუფერებელ ადგილას (მაგ., მამა შვილს თავის სახლში შეხვდა), ისე მის მაგივრად „მისი“ ნაცვალსახელის ჩასმა (მაგ., ყველას უყვარს მისი შვილი). ასევე წესად იქცა მრავლობითის გაგებით, „თავიანთი“

ფორმის ნაცვლად, „თავისი“ ფორმის გამოყენება (მაგ., ძმებმა აისრულეს თავისი ოცნებები).

## მეთხუთმეტე პარაგრაფი ზმა

სახელმძღვანელოს ბოლო მონაკვეთი ეთმობა მოქმედების გამომხატველ სიტყვათა – ანუ **ზმის** – კლასს. თუმცა ამ კლასის შესწავლას აქ მხოლოდ ვიწყებთ და ამ თემას აქ მხოლოდ ოთხი პარაგრაფი მიეძღვნება. ზმის შემდგომი შესწავლა მეექვსე კლასში გაგრძელდება.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ზმა წამყვანი მნიშვნელობის სიტყვაა წინადადებაში. ლექსიკური თვალსაზრისითაც ზმა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კლასია ენის სიტყვათა საგანძურში.

ზმას ახასიათებს გრამატიკული გამოხატულების მრავალმხრივობა და სირთულე, ამიტომაც შესაბამისი კატეგორიების შემოტანას აქ მეტი აწონ-დაწონა და რაციონალურობა სჭირდება.

მოწაფეებმა ზოგი რამ უკვე იციან ზმის შესახებ დაწყებითი კლასებიდან. ამიტომაც არაერთი მომენტი შემოთავაზებულ თემებში ნაწილობრივ გამეორების ხასიათს ატარებს.

პირველივე თემა არსებითად ნაცნობ საკითხზე შეჩერებაა. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ყურადღება ზმური შინაარსის არაერთგვაროვნებაზე უნდა გადავიტანოთ. როდესაც ვამბობთ, ზმა მოქმედებას გამოხატავსო, იგულისხმება ზმები, რომლებიც მოგვიგებენ კითხვაზე „რას შვრება (საგანი)?“. მაგრამ განა ყველა ზმა მიესადაგება ამ კითხვის შინაარსს? თურმე – არა.

ავიღოთ წინადადება: „კამეჩი წევს და იცოხნის“. იცოხნის ნამდვილად „რას შვრებაა“, მაგრამ ამ კითხვას „წევს“ ზმას ვერ დავუსვამთ. არადა, ისიც ხომ თავისებური ზმნაა, მაგრამ არა – მოქმედების გამომხატველი; ამ შემთხვევისათვის გამოსადეგია კითხვა: „რა მდგომარეობაშია (საგანი)?“ ამ კითხვამდე შეიძლება კითხვების მეთოდითაც მივიდეთ, თუ ჩავულრმავდებით იმას, რომ წევს, დგას, ზის მდგომარეობას გამოხატავენ (შდრ. მდგომარეობა **დგომას** უკავშირდება) და არა – **მოქმედებას**.

ამგვარად, ზმის ამოსაცნობად ორი კითხვა არის საჭირო: „რას შვრება?“ და „რა მდგომარეობაშია?“ შეიძლება ამის მიხედვით ზმნათა ფონდი ორ ძირითად ჯგუფადაც გავყოთ: მოქმედებისა და მდგომარეობის ზმები.

## მეთექვსმეტე პარაგრაფი მოქმედება და მოქმედი პირები

თემის სათაურია „მოქმედება და მოქმედი პირები“. აქედანვე ჩანს, რომ ზმის „მოქმედება“ გასცენიურებულია, ანუ გამოყენებულია ტერმინოლოგიური დამთხვევა ამ ორი შემთხვევის ამსახველი სიტყვებისა: **მოქმედება და მოქმედი პირები**. ეს საშუალებას გვაძლევს უფრო თვალსაჩინოდ იქნეს წარმოდგენილი ის ვითარება, რომელსაც ზმისა და ზმის პირთა მიმართება გულისხმობს.

შესაძლებელია ამ მიზნით მოქმედების ამსახველი ნახატებიც გამოვიყენოთ, სადაც მოქმედი პირები ვიზუალურად იქნებიან წარმოდგენილი.

ამ თემის შესაფერისი სავარჯიშო მასალაც ისე არის შერჩეული, რომ მისი სცენური წარმოდგენა ხერხდებოდეს.

ოღონდაც, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი: როცა მოქმედ, მოქმედებაში მონაწილე პირებზე ვლაპარაკობთ, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ აქ მხოლოდ სულიერ, „მოქმედ პერსონაზეა“ საუბარი. ამიტომაც პრაქტიკული მუშაობის დროს აუცილებელია იმის ჩვენება, რომ მოქმედებაში მონაწილე ყველა საგანი მოქმედია. მაგალითად, გამოცანა:

თოფი – ხისა, ტყვია – წყლისა,

ხეს ეცა და ქვა გაიქცა.

აქ ყველა „მოქმედი პირი“ უსულოა (ტყვია, ხე, ქვა), მაგრამ მათ „პირობაში“ ეჭვს ვერ შევიტანთ.

რაც შეეხება „სახალისო სავარჯიშოებს“, აქ საორგოფო შეიძლება მხოლოდ მანქანის **ქონა-ყოლა** იყოს (მიღებულია „ყოლა“).

## მეჩვიდმეტე პარაგრაფი აქტივი და პასივი

ამ საკითხის გამოცალკევება და წინ წამოწევა განაპირობა პრაქტიკულმა ამოცანამ. კერძოდ, უცხო ენის სწავლებაში წარმოჩენილმა სირთულეებმა. ვინაიდან აქტივისა და პასივის ცნება ადრეულ ეტაპზევე შემოდის უცხო ენის, განსაკუთრებით ინგლისური ენის, გრამატიკის სწავლებისას, გადავწყვიტეთ მოსწავლეებისათვის ქართულ მასალაზე დაყრდნობით გაგვეცნო ეს კატეგორია მანამ, სანამ ისინი ზმნის გვარს შეისწავლიან. მართალია, გვარის კატეგორია უფრო ფართოა, მაგრამ ვფიქრობთ, ამ ეტაპზე გვარის კატეგორიაში ჩაღრმავების გარეშეც შესაძლებელია ამ საკითხის ამგვარად წარმოჩენა პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე.

## მეთვრამეტე პარაგრაფი ზმნიზედა

ზმნისადმი მიძღვნილი თემატური ბლოკი, რომელიც ოთხი პარაგრაფისაგან შედგება, მთავრდება ზმნიზედით.

ზმნიზედა უშუალოდ არის დაკავშირებული ზმნასთან და მრავალმხრივ (ყოველმხრივ) ახასიათებს მოქმედების რაობას. ამჯერად კითხვებით გავეცნობით იმ ხუთ გარემოებას, რომელსაც ზმნიზედა ზმნით გამოხატულ მოქმედებას სძენს (ეს არის **დრო, ადგილი, ვითარება, მიზეზი და მიზანი**).

აქაც იჩენს თავს პრაქტიკული ენობრივი ამოცანა, რასაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს – კერძოდ, **მიზეზისა და მიზნის** („რათა“, „რადგან“) ზმნიზედების ერთმანეთში აღრევა!

მეექვსე კლასში გაგრძელდება როგორც ზმნის, ისე სხვა სიტყვათა კლასების შესწავლა, ასევე გაღრმავდება და ახალი კუთხით წარმოჩნდება უკვე განხილული საკითხებიც.

## **სასწავლო მასალის თარღენის ფაზები და გაკვეთილის დაგენერის ზოგადი პრიცეპები**

მეთოდიკაში ცნობილია სასწავლო მასალის წარდგენის შემდეგი ეტაპები ანუ ფაზები:

- ა. მოტივაცია;
- ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა;
- გ. ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება;
- დ. ძირითადი მასალის გაცნობის შემდეგ (ან პარალელურად) შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ვ. დამოუკიდებელი სამუშაო.

ჩვენ ვცდილობდით თითოეული პარაგრაფი სწორედ ამ პრინციპზე აგვეგო, რაც ნათლად ჩანს პარაგრაფის სტრუქტურიდან. მასწავლებელმა უნდა დაყოს პარაგრაფი გაკვეთილის ხანგრძლივობის შესატყვის მონაკვეთებად და განსაზღვროს თითოეული კონკრეტული გაკვეთილის მიზანი და აქტივობები.

გთავაზობთ გაკვეთილის დაგეგმვის ზოგად პრინციპებს: გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა სამი კითხვა უნდა დაუსვას საკუთარ თავს:

1. რა შედეგს ველი ამ გაკვეთილისგან? ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ (განავითარონ) მოსწავლეებმა?
2. როგორ უნდა მივიღო სასურველი შედეგი?
3. როგორ გავიგო, რომ შედეგი მივიღე?

პასუხი პირველ კითხვაზე არის გაკვეთილის მიზანი; მეორე კითხვა გაკვეთილზე შესასრულებელი აქტივობების დაგეგმვაში დაგვეხმარება; მესამე კითხვა კი შეფასების ფორმების განსაზღვრისთვის არის საჭირო.

ამავე ეტაპზე უნდა განსაზღვროს მასწავლებელმა დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად საჭირო აუცილებელი პირობები, ანუ რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა, რომ დასახული ამოცანის შესრულება შეძლონ (სჭირდებათ თუ არა მათ ნინასწარ გარკვეული საკითხების დამუშავება ან ინფორმაციის მოძიება და სხვ.).

სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს, აგრეთვე, რა მასალა დასჭირდება მას გაკვეთილის ჩასატარებლად (წიგნები, ციტატები, თვალსაჩინოება...).

ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია გაკვეთილის აღწერა.

სანიმუშოდ გთავაზობთ რამდენიმე გაკვეთილის სცენარს.

## საიმუშო გაკვეთილების სცენარები

### გაკვეთილი |

#### გაკვეთილის თემა:

რ. ინანიშვილი, „უკუღმა დაჭედილი“

#### გაკვეთილის მიზანი

- ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- ფანტაზიის განვითარება;
- აღწერის ტიპის ტექსტის შექმნის უნარ-ჩვევის გამომუშავება.

#### აქტივობები

- ვარაუდების გამოთქმა;
- ტექსტის გაცნობა;
- გმირთა პორტრეტებზე დაკვირვება;
- აღწერის ტიპის ტექსტის შექმნა.

#### საჭირო რესურსები

- სახელმძღვანელო;
- ფერადი ფანქრები და სახატავი ფურცლები.

#### შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე (განმავითარებელი შეფასება).

#### გაკვეთილის მსვლელობა

- წინა გაკვეთილზე მიცემული საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ მასწავლებელი კლასს დაყოფს ჯგუფებად და წაუკითხავს რ. ინანიშვილის მოთხოვნის წინმსწრებ მაპროვოცირებელ კითხვას, სთხოვს ჯგუფებში შეაჯერონ ვარაუდები და წარმოადგინონ.

15 წუთი

- შემდეგ კლასი გადადის ტექსტის გაცნობაზე. მასწავლებელს წინასწარ აქვს ნაწილებად დაყოფილი მოთხოვნა, თითოეული ნაწილის წაკითხვის მერე მოსწავლეებს გამოათქმევინებს ვარაუდს, იმის შესახებ, როგორ განვითარდება მოქმედება, მათი აზრით.

20 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოწაფეებს, იპოვონ ის ადგილები ტექსტში, რომელშიც ავტორი მოთხოვობს გმირების გარეგნობას აღწერს. მოწაფეები ხმამაღლა კითხულობენ. ტექსტზე დაკვირვებისა და ავტორის ოსტატობაზე მოსწავლეთა ყურადღების მიქცევის მიზნით, მასწავლებელი სვამს კითხვებს: ჯერ რას აღწერს ავტორი, მერე რაზე გადადის, რას შეადარა „ნინაკებიანი“ ბიჭები... როგორ წარმოგიდგენიათ „საშაროდ გალაჯული“ ბიჭი (მიბაძეთ მის მოძრაობას), როგორ გესმით „ნარბებქვეშიდან გამოხედვა“... (გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ მოწაფეებს შეიძლება გაუჭირდეთ სათქმელის თავიანთი სიტყვებით გამოხატვა, ამიტომ მასწავლებელი აძლევს მათ უფლებას, დახატონ, უსტ-მიმიკით გამოხატონ და ა.შ. ამგვარ მუშაობაში მოწაფის აღქმის ყველა ორგანოა ჩართული, შესაბამისად, ტექსტში მოცემული ფრაზის დახსომების მეტი შესაძლებლობა ჩართულია).

10 ნუთი

### **საშინაო დავალება**

- შინ მოთხოვობა კიდევ ერთხელ უნდა წაიკითხონ, დააკვირდნენ, კიდევ რომელი გმირის აღწერაა მოცემული ტექსტში;
- შეეცადონ მოკლედ აღწერონ თავიანთი თანატოლი, ნაცნობი ან ფანტაზიით წარმოსახულ პიროვნება.

### **გაკვეთილი II**

#### **გაკვეთილის თემა:**

რ. ინანიშვილი, „უკუღმა დაჭედილი“ (გაგრძელება)

#### **გაკვეთილის მიზანი**

- ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- ფანტაზიის განვითარება;
- თხრობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- თხრობის ტიპის ტექსტის შექმნის უნარ-ჩვევის გამომუშავება.

#### **აქტივობები**

- საშინაო დავალების წაკითხვა-შეფასება;
- მოთხოვობის ეპიზოდებად დაყოფა და დასათაურება;
- ეპიზოდების თხრობა;
- კითხვებზე პასუხები;
- თხრობის ტიპის ტექსტის შექმნა.

## **საჭირო რესურსები**

სახელმძღვანელო

### **შეფასების ფორმა**

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე (განმავითარებელი შეფასება).

### **გაკვეთილის მსვლელობა**

- მასწავლებელი სურვილისამებრ რამდენიმე მოწაფეს წააკითხებს საშინაო დავალებას. კლასი და მასწავლებელი უსმენენ და გამოხატავენ თავიანთ ემოციებს (მომწონს, არ მომწონს, უკეთესი იქნებოდა...);

10 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი კლასთან ერთად მოთხრობას ყოფს ეპიზოდებად.
- მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს თითო ეპიზოდს და სთხოვს, ერთად მოიფიქრონ ჯგუფში სათაური;
- ყველა ჯგუფი წარმოადგენს თავისი ეპიზოდის სათაურს და იმსჯელებს, რატომ დაასათაურა ასე;
- მასწავლებელი ჯგუფიდან რომელიმეს მოათხრობინებს „თავისი“ ეპიზოდის შინაარსს (ტექსტი თხრობის საშუალებით სრულად უნდა აღდგეს გაკვეთილზე).

15 წუთი

- მასწავლებელი კლასთან ერთად მუშაობს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვების (ზეპირ) დამუშავებაზე.

20 წუთი

### **საშინაო დავალება**

- დავალებად შეიძლება მიეცეთ: დაწერონ მოთხრობის გაგრძელება.

## **გაკვეთილი III**

### **გაკვეთილის თემა:**

შ. ნიშნიანიძე, „ფეხქვეშ გათელა“...

## გაკვეთილის მიზანი

- ლირიკულ ლექსზე დაკვირვების უნარის განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- ფანტაზიის განვითარება;
- წერის უნარ-ჩვევის განვითარება;
- შემოქმედებითი მუშაობის წახალისება.

## აქტივობები

- საშინაო დავალების წაკითხვა-შეფასება;
- ლირიკულ ლექსზე მუშაობა;
- დაკვირვება მხატვრულ სახეებზე;
- ლექსის დასათაურება;
- შემოქმედებითი წერა.

## საჭირო რესურსები

სახელმძღვანელო

## შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მას-წავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე (განმავითარებელი შეფასება).
- მოწაფეების მიერ შექმნილი თხრობითი ტიპის ტექსტის შემაჯამებელი შეფასება.

## გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი სურვილისამებრ რამდენიმე მოწაფეს წააკითხებს საშინაო დავალებას. კლასი და მასწავლებელი ერთობლივად შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ წარმოდგენილ ნამუშევრებს.

10 ნუთი

- მასწავლებელი გადადის რუბრიკაზე: „დამატებითი ამოცანები“. მოწაფეებს ეტყვის, რომ ის წაიკითხავს ლექსს, რომელშიც სიტყვაა გამოტოვებული, მათ კი ევალებათ ამ სიტყვის ამოცნობა (ბავშვებს, რასაკვირველია, წიგნები დახურული აქვთ);
- შემდეგ მასწავლებელი დასვამს კითხვას, როგორ, რის მიხედვით ამოიცნეს სიტყვა და სახელმძღვანელოში ლექსის შემდეგ მოცემულ კითხვაზე იმსჯელებენ.
- მერე დაასათაურებენ ლექსს, სათაურები იწერება დაფაზე და მოწაფეები მსჯელობენ, რატომ დაასათაურეს ლექსი ასე.
- მასწავლებელი ჰკითხავს მოწაფეებს, ლექსში რომელიმე სიტყვა ხომ არაა

უცნობი ბავშვებისთვის (ანდა შეიძლება პირდაპირ დასვას კითხვები: რა არის ხეჭეჭური, ხელადა, ბრგე — თუ არ იციან, სიტყვები, განიმარტება; სად შეგხვედრიათ სიტყვა — დევი, ვინ არის ამირანი...)

- მასწავლებელი ლექსის გასააზრებლად, მხატვრულ სახეებზე დასაკვირვებლად სვამს კითხვებს:

1. ვის შეუძლია ასეთი მოქმედებების შესრულება: გათელა, ჩამოიარა, მოიქნია, დაფლა?

2. რა ასრულებს ლექსში ამ მოქმედებებს?

3. რას ადარებს ავტორი შემოდგომას მესამე სტრიქონში? რა ნიშნით?

4. როგორ ფიქრობთ, რაში სჭირდება შემოდგომას მიწაში დაფლული ჭურები? (დააკვირდით, რა ითქვა მეორე სტრიქონში).

15 წუთი

- ამ მუშაობის შემდეგ შესაძლებელია მასწავლებელმა დაავალოს მოწაფეებს შემოდგომის ამსახველი იმგვარი ტექსტის დაწერა, რომელშიც გამოიყენებენ თავისივე მოფიქრებულ მხატვრულ სახეებს. ტექსტი შეიძლება დაიწეროს თავისუფალი ლექსის (ვისაც სურვილი აქვა), ჩანახატის სახით და ა.შ. (ვისაც ამისი სურვილი ექნება, შეიძლება დახატოს).

12 წუთი

- შემდეგ, სურვილის მიხედვით, წაიკითხავენ (ან გამოფენენ) მოწაფეები ნამუშევრებს. შეფასებისას მხოლოდ პოზიტიურზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რათა მოწაფეები კი არ დაბრკოლდნენ, პირიქით, სტიმული მიეცეთ, რომ შემდგომ უკეთესად წარმოაჩინონ საკუთარი თავი შემოქმედებითი უნარების განმავითარებელი სამუშაოების შესრულებისას.

## საშინაო დავალება

- თუ გაკვეთილზე ვერ მოახერხა ვინმემ მიცემული დავალების დაწერა ან დასრულება, შეიძლება მასწავლებელმა სახლში მისცეს დასამთავრებლად ან სრულყოფისათვის;
- წასაკითხად რუბრიკა: „ეს საინტერესოა!“

## გაკვეთილი IV

### გაკვეთილის თემა:

ენის სამყაროში — სიტყვა

### გაკვეთილის მიზანი

- საინფორმაციო ტექსტის წვდომის უნარის განვითარება;

- ენის გრძნობის განვითარება;
- სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობის ამოცნობა.

## აქტივობები

- საშინაო დავალების წაკითხვა-შეფასება;
- სიტყვის წარმოშობასა და მის გამოყენებაზე დაკვირვება;
- საინფორმაციო ტექსტის დამუშავება;
- სიტყვებზე წინადადებების შედგენა.

## საჭირო რესურსები

სახელმძღვანელო

## შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე (განმავითარებელი შეფასება).

## გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი სურვილისამებრ რამდენიმე მოწაფეს წააკითხებს საშინაო დავალებას. კლასი და მასწავლებელი უსმენენ და გამოხატავენ თავიანთ ემოციებს (მომწონს, არ მომწონს, უკეთესი იქნებოდა...).

10 წუთი

- მასწავლებელი კითხვების საშუალებით გამოიკითხავს წასაკითხად მიცემულ დავალებას: „ეს საინტერესოა!“.: როგორ ადამიანს ჰქვია შარახვეტია? სად და რა კონტექსტში შეგვხვდა ეს სიტყვა? „ხვეტა“ თავისი პირვანდელი შინაარსით ნიშნავს ცოცხით მოგვას, გასუფთავებას. რა მნიშვნელობა აქვს სიტყვაში შარახვეტია დახვეტას? (სიტყვებზე ამგვარი დაკვირვებით, ჯერ ერთი, მოწაფეებს უკეთ ახსომდებათ ესა თუ ის ლექსიკური ერთეული, მეორეც, ისინი იგებენ, რომ სიტყვა შესაძლოა „არაპირდაპირი“ (გადატანითი) მნიშვნელობითაც შეგვხვდეს, ასევე მათ თავად უჩნდებათ სურვილი — მერე უკვე ჩვევად ქცეული — ჩაეძიონ სიტყვებს, ამოიცნონ მათი წარმომავლობა და ა.შ. ამიტომაც ასეთი მუშაობისთვის მასწავლებელს დრო არ უნდა დაენანოს, იგი აახლოებს მოსწავლეს მშობლიური ენის წილთან, დაანახებს, რომ ენაში ასახულია ყოფა, ადამიანთა დამოკიდებულებები გარემომცველ სამყაროსთან, ასევე, მუშაობის ამგვარი სახე ბავშვში ავითარებს ენის ალლოს). აქვე, შესაძლოა, მასწავლებელმა დასვას კითხვა: როგორი თვისებაა შარახვეტიაობა — მოსაწონია თუ დასაგმობი...

- დაახლოებით ასევე იმუშავებს მასწავლებელი კლასთან მომდევნო სიტყვაზე: **ქოქოლა**. სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას დაუმატებს იმასაც, რომ ეს სიტყვა წყევლა-ლანდღვასთან ერთად გარ-კვეულ უესტსაც გულისხმობს (აჩვენებს ამ უესტს), რომელიც სწორედ ქვის სროლიდან მოდის.

15 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი კითხვების საშუალებით გაახსენებს მოწაფეებს, როგორი ბგერები არსებობს, რისთვისაა საჭირო ბგერები... ამგვარი კითხვებიდან ის ბუნებრივად გადადის საინფორმაციო ტექსტზე: „სიტყვა“. (სანამ მოწაფეები გაიწაფებიან ამ ტიპის ტექსტების კითხვასა და აქედან ინფორმაციის ამოღებაში, სასურველია, ისინი მასწავლებელთან ერთად დამუშავდეს კლასში, ანუ მასწავლებელმა წაიკითხოს, კითხვისას საჭირო აქცენტები გააკეთოს, მიაქცევინოს ყურადღება მოსწავლეებს მთავარზე (კითხვების საშუალებით). შესაძლოა, ასეთი მუშაობის ხერხიც გამოვიყენოთ: მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ აცნობს საკითხებს (ძირითადად ტექსტის შემდეგ მოცემულ კითხვებს), რომლებზეც ტექსტში იქნება საუბარი და აძლევს ინსტრუქციას, მოძებნონ პასუხები ამ კითხვებზე ტექსტში. ეს ხერხი გააქტიურებს მოსწავლეს კითხვისას).
- შემდეგ მასწავლებელი გადადის სავარჯიშოზე, რომელიც მოსდევს თეორიულ მასალას. კლასში მსჯელობენ ჩამოთვლილი სიტყვების მნიშვნელობებზე.

20 წუთი

## საშინაო დავალება

- მოწაფეებს დავალებად მიეცემათ მოცემულ სიტყვებზე წინადადებების შედგენა.

## გაკვეთილი V

### გაკვეთილის თემა:

გივი ბუთხუზი „განელებული კოცონი“

### გაკვეთილის მიზანი

- ნაწარმოების თემისა და დედააზრის ამოცნობაზე მუშაობა;
- საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- ტექსტის ეპიზოდებად დაყოფა-დასათაურების უნარის განვითარება;
- ვრცელი შინაარსის გადმოცემის უნარის განვითარება;

- წერის უნარ-ჩვევის განვითარება.

## აქტივობები

- კითხვებზე ვრცელი პასუხების გაცემა;
- ტექსტის თემისა და დედააზრის ამოცნობა;
- ტექსტის ეპიზოდებად დაყოფა-დასათაურება;
- შერჩეული ეპიზოდების შინაარსის ვრცლად გადმოცემა;
- წერითი დავალების შესრულება.

## საჭირო რესურსები

სახელმძღვანელო

## შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე (განმავითარებელი შეფასება).

## გაკვეთილის მსვლელობა

- მას შემდეგ, რაც ტექსტი წაკითხული აქვთ მოწაფეებს, მასწავლებელი კლასთან ერთად ეპიზოდებად დაყოფს ტექსტს და ჯგუფებს დაავალებს ეპიზოდების დასათაურებას.

10 წუთი

- მასწავლებელი შერჩევით მოაყოლებს ეპიზოდების შინაარსს (შეირჩევა ის ეპიზოდები, სადაც არჩევანის წინაშე დგება ნოდარი, ასევე — სიკოს გამოჩენისას, მერე კი ბოლო ნაწილი).
- ტექსტის შემდეგ მოცემულ კითხვებზე პასუხები შესაძლებელია სწორედ ეპიზოდების თხრობისას დამუშავდეს (მასწავლებელს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია დაამატოს კითხვები).

15 წუთი

- მასწავლებელი გადადის „დამატებით ამოცანებზე“, მოწაფეები დაასათაურებენ ლექსებს, იმუშავებენ სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებზე.
- პასუხები კითხვაზე — „რა ყოფილა ადამიანისთვის მთავარი ამ ლექსების მიხედვით?“ — თეზისების სახით იწერება დაფაზე, რათა ბოლო კითხვის პასუხი მოწაფეებისთვის თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი.

13 წუთი

- მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, როდისმე თვითონ თუ დამდგარან არჩევანის წინაშე ცუდსა და კარგ საქციელს შორის, შემდეგ კი ავალებს, წერილობით გადმოსცენ განცდები მომხდართან დაკავშირებით და შეაფასონ თავიანთი საქციელი, ნაშრომში შეუძლიათ არგუმენტირებისთვის ილიას მოცემული ლექსებიც გამოიყენონ.

7 ნუთი

## **საშინაო დავალება**

- დაწერონ თხზულება „არჩევანის წინაშე“ (ან თვითონ დაასათაურონ თავიანთი ნაშრომი).

## **გაკვეთილი VI**

### **გაკვეთილის თემა:**

ძიძასთან — სოფელ სავანეში (აკაკი წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“)

### **გაკვეთილის მიზანი**

- ნაწარმოების თემისა და დედააზრის ამოცნობაზე მუშაობა;
- საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- ტექსტის ეპიზოდებად დაყოფა-დასათაურების უნარის განვითარება;
- ვრცელი შინაარსის გადმოცემის უნარის განვითარება;
- წერის უნარ-ჩვევის განვითარება.

### **აქტივობები**

- კითხვებზე ვრცელი პასუხების გაცემა;
- ტექსტის თემისა და დედააზრის ამოცნობა;
- ტექსტის ეპიზოდებად დაყოფა-დასათაურება;
- შერჩეული ეპიზოდების შინაარსის ვრცლად გადმოცემა;
- წერითი დავალების შესრულება.

### **საჭირო რესურსები**

სახელმძღვანელო

### **შეფასების ფორმა**

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე (განმავითარებელი შეფასება).

## **გაკვეთილის მსვლელობა**

- მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს წაკითხული ექნებათ „ჩემი თავგადასავლის“ | თავი, მასწავლებელი გადადის ტექსტის შემდეგ მოცემული კითხვების დამუშავებაზე, ანუ მოითხოვს კითხვებზე ვრცელ და ამომწურავ პასუხებს. რასაკვირველია, მასწავლებელს სხვა კითხვებიც შეუძლია დაუმატოს თავისი შეხედულებისამებრ.

15 წუთი

- მასწავლებელი გადადის „დამატებით ამოცანებზე“, კერძოდ, კლასთან ერთად მუშაობს ტექსტის თემისა და დედააზრის გარკვევაზე;
- კლასი მასწავლებელთან ერთად დაყოფს ტექსტს ეპიზოდებად;
- მასწავლებელი ჯგუფებს ავალებს, დაასათაურონ | თავის ეპიზოდები (შეიძლება მასწავლებელმა შეჯიბრის სახეც მისცეს ამ საქმიანობას — ვინ უფრო ზუსტ და მოხდენილ სათაურებს შეურჩევს ეპიზოდებს).

15 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს, რას ნიშნავს შინაარსის ვრცლად გადმოცემა და სთხოვს, ტექსტის გეგმიდან რომელიმე ეპიზოდის ვრცლად გადმოცემას. მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად აფასებენ ერთმანეთს.

10 წუთი

- მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს გააცნობს მოსწავლეებს ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა დაწერონ „ერთი ჩვეულებრივი დღე ჩემს ოჯახში“ (მოცემულია სახელმძღვანელოში).

5 წუთი

## **საშინაო დავალება**

- სახელმძღვანელოში მოცემული წერითი სავარჯიშოს შესრულება.

## **გაკვეთილი VII**

### **გაკვეთილის თემა:**

აკაკი წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“ — „სასახლეში“

### **გაკვეთილის მიზანი**

- ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- დიალოგის აგების უნარის განვითარება;

- წერის უნარ-ჩვევის განვითარება.

## **აქტივობები**

- საშინაო დავალების შემოწმება;
- ახალი მასალის გაცნობა — კომენტირებული კითხვა;
- დიალოგის ცნების ახსნა;
- როლების გათამაშება;
- დიალოგის აგება წერილობით.

## **საჭირო რესურსები**

სახელმძღვანელო

## **შეფასების ფორმა**

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე (განმავითარებელი შეფასება).

## **გაკვეთილის მსვლელობა**

- საშინაო დავალების შემოწმების მიზნით მასწავლებელი რამდენიმე მოწაფეს წარადგინებს ნამუშევარს. კლასი უსმენს და მასწავლებელთან ერთად აძლევს რჩევებს, რათა ნაწერი უფრო დაიხვეწოს.

*10 წუთი*

- შემდეგ გადადიან მომდევნო თავზე: „სასახლეში“. ტექსტის წარადგინებისას, მასწავლებელმა დასვას კითხვები (განვლილის გასახსენებლად და ახალზე ბუნებრივად გადასვლის მიზნით): თქვენ თუ მოგიწიათ როდისმე საცხოვრებელი ადგილის შეცვლა? როგორ გადაიტანეთ ნაცნობ ადგილთან თუ ადამიანებთან განშორება? გაიხსენეთ, რით დამთავრდა პირველი თავი? როგორ ფიქრობთ, ადვილად შეეგუებოდა აკაკი ძიძის სახლის დატოვებას და სასახლეში გადასვლას? რა გაძლევთ, ტექსტის მიხედვით, ამგვარი ფიქრის საფუძველს?
- ამ საუბრის შემდეგ ტექსტი (II თავი) კლასში იყიდება სრულად (კითხულობს მასწავლებელი, ან აკითხებს მოწაფეებს გაგრძელებით, იხსნება გაუგებარი ლექსიკა, კეთდება კომენტარები პერსონაჟთა ხასიათის ამოსაცნობად).

*15 წუთი*

- შემდეგ დამუშავდება კითხვარი;
- მასწავლებელი გადადის დიალოგის ახსნაზე, რის შემდეგაც კლასში გაითამაშებენ ტექსტში მოცემულ დიალოგს (აქ საჭიროა, მასწავლებელ-

მა მოწაფეებს ყურადღება მიაქცევინოს როლის შესაბამის ინტონაციაზე,  
რაც მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად).

15 წუთი

- მასწავლებელი კლასს გააცნობს წერითი დავალების ინსტრუქციას (მო-  
ცემულია სახელმძღვანელოში).

5 წუთი

### საშინაო დავალება

- „სასახლეში“ — შინ კიდევ ერთხელ ყურადღებით წასაკითხად (ყურადღე-  
ბა მიაქციონ სასვენ ნიშნებს დიალოგში, რასაც თავიანთი ნაშრომების  
წერისას გამოიყენებენ).
- დიალოგის აგება წერილობით.
- შენიშვნა: შემდგომ გაკვეთილზე რადგან მოწაფეები უკვე გავარჯიშე-  
ბულნი არიან პერსონაჟის ტექსტის წაკითხვაში, მასწავლებელს შეუძლია  
კითხვის მიმართულებაში ქართ. დაწყ.(II).6; ქართ.დაწყ.(II).7. შედეგებზე  
ორიენტირებული დავალების შემაჯამებელი შეფასება.

## გაკვეთილი VIII

### გაკვეთილის თემა:

ალეკო შენგელია „დედა“, გიორგი ლეონიძე „დედას“.  
(ტექსტების შედარება-შეპირისპირება)

### გაკვეთილის მიზანი

- ტექსტზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომუშავება;
- მუშაობა ტექსტების შედარება-შეპირისპირების უნარ-ჩვევის ჩამოყალი-  
ბებაზე;
- წერის უნარის განვითარება.

### აქტივობები

- მწერლის დამოკიდებულების ამოცნობა ტექსტში;
- ორი ტექსტის შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი;
- მიძღვნის შინაარსის მქონე ტექსტის შექმნა.

### საჭირო რესურსები

სახელმძღვანელო

## შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე (განმავითარებელი შეფასება).

## გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი კითხვების საშუალებით კიდევ ერთხელ გაახსენებს მოწაფეებს დედისადმი მიძღვნილ ამორტექსტს. შესაძლოა, ერთ-ორ მოწაფეს წააკითხოს ლექსი ზეპირად, ან აამბობინოს, რას წერს ლეონიძე დედაზე;

15 წუთი

- მასწავლებელი სთხოვს მოწაფეებს, იმუშაონ ჯგუფებში და ამოწერონ თითოეული ტექსტიდან სიტყვები და ფრაზები, რომლებშიც ჩანს მწერლების დამოკიდებულება დედისადმი.
- შემდეგ დაფაზე დაიხაზება სქემა და შეივსება წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით. სქემა დაახლოებით ამგვარ სახეს მიიღებს:

ალეკო შენგელია	გიორგი ლეონიძე
წყაროს წერიალი — დედის სიცილი	ია — დედის ცრემლი
ტყის შრიალი — ქარში გაშლილი დედის თმა	იით ლურჯად გადაბურული არემარე — მთელი ქვეყნის დედების ცრემლი
მთების მხურვალე კალთა — დედის კალთა	ქვრივი დედა, შავკაბიანი
ნისლი — დედის მანდილი	იასავით სპეტაკი ადამიანი
სამშობლო = დედა	დედამ მასწავლა ... იისა და სამშობლოს სიყვარული

(შედარებითი ანალიზი უფრო იოლი, ბევრისმომცემი და საინტერესოა ბავშვისთვის, ვიდრე ცალკე ალებული ტექსტის ანალიზი. შედარება — შეპირისპირებისას იზრდება შემეცნებითი ინტერესი. ამგვარი ანალიზის ღირსება ისაა, რომ ყალიბდება წარმოდგენა ავტორის ინდივიდუალურობაზე, სტილზე, შემოქმედებით პროცესზე — ლიტერატურა იხსნება როგორც ხელოვნება, თავისი სპეციფიკით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყალიბდება წარმოდგენა უანრის სპეციფიკაზე; ამგვარი შედარების პროცესში მოწაფეები ხედავენ, რომ ყველა მწერალი ინდივიდუალურია თავის შეხედულებებში სამყაროს შესახებ და ერთსა და იმავე თემას სხვადასხვა ავტორები სხვადასხვაგვარად განიხილავენ და ხსნიან).

- ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ყურადღებას მიაქცევინებს იმ ფაქტზე, რომ ამ ორი სხვადასხვა ავტორისა და სხვადასხვა ჟანრის ტექსტის თემა ერთი და იგივეა. მაშინ რითი პეგავს და რით განსხვავდება ეს ორი ტექსტი ერთმანეთისაგან? პასუხები ამ კითხვაზე ასევე სქემის სახით დაფაზე ჩამოიწერება.

25 წუთი

- მასწავლებელი მოწაფეებს ავალებს მომდევნო გაკვეთილისთვის შეეცალონ დაწერონ მათთვის საყვარელი ადამიანისადმი მიძღვნილი ტექსტი (ნებისმიერ ჟანრში), რომელშიც გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას (შეუძლიათ დაურთონ ილუსტრაცია, დახატონ, მიაწერონ ფოტოს და ა.შ.). ინსტრუქცია მოცემულია სახელმძღვანელოში.

5 წუთი

### **საშინაო დავალება**

- საყვარელი ადამიანისადმი მიძღვნილი ტექსტის დაწერა.

**შენიშვნა:** მომდევნო გაკვეთილზე უკვე შეიძლება საშინაო დავალების შემაჯამებელი შეფასება.

## **გაკვეთილი IX**

### **გაკვეთილის თემა:**

- წინადადება;
- რა მოგვეთხოვება ტექსტის წარმოთქმის დროს?

### **გაკვეთილის მიზანი**

- საინფორმაციო ტექსტში საჭირო ინფორმაციის წვდომის უნარის განვითარება;
- წინადადების სწორად აგების უნარის განვითარება;
- მხატვრული ტექსტის სწორი ინტონაციით წაკითხვის უნარის ჩამოყალიბება.

### **აქტივობები**

- წინადადების რაობა, ზმნა და მისი ფუნქცია წინადადებაში;
- წინადადებების შედგენა;
- მხატვრული ტექსტის „კითხვის პარტიტურის“ შედგენა.

## საჭირო რესურსები

სახელმძღვანელო

### შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე (განმავითარებელი შეფასება).

### გაკვეთილის მსვლელობა

- ენობრივი მასალის ახსნისას სასურველია მასწავლებელმა მოწაფე-ებს „აახსნევინოს“ მასალა და არა მზამზარეული მიაწოდოს. ამ მიზნის განხორციელება მარტივად არის შესაძლებელი კითხვების დასმით, რომლებსაც მოწაფეები იოლად უპასუხებენ და დასკვნასაც თვითონვე გამოიტანენ, თუ კითხვები სწორად იქნება შერჩეული. მაგალითად, წინადადების რაობის ასახსნელად მასწავლებელი სვამს კითხვას:  
როგორ ფიქრობთ, რა არის მეტყველების მიზანი, რატომ ვლაპარაკობთ საერთოდ? (სავარაუდო პასუხები: გავაგებინოთ ერთმანეთს ჩვენი სათქმელი, გამოვხატოთ აზრი...).
- მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს: კაცი, თივა, ირემი. კითხვა: შეიძლება თუ არა ამ სიტყვებიდან აზრის გამოტანა? რა არის საჭირო, რომ ეს სიტყვები „აზრად იქცეს“? (სავარაუდო პასუხი: ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს).  
მაშ, დაუკავშირეთ ერთმანეთს, აქციეთ აზრად (კაცმა ირემს თივა აჭამა, დაუყარა ან რაიმე ამგვარი); პასუხები დაფაზე იწერება;
- მასწავლებელი: ახლა დააკვირდით ჩანაწერებს — კაცი, თივა, ირემი და კაცმა ირემს თივა დაუყარა. რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან, რა არის ან ერთი, ან — მეორე? (პასუხი: პირველი სიტყვებია, მეორე — აზრი, წინადადება).  
მასწავლებელი: იმისათვის, რომ სიტყვები წინადადებად (აზრად) ქცეულიყო, რა დაემართათ მათ, ან რა დაემატათ? (პასუხი: დაემატა დაუყარა, სიტყვებმა კი ფორმა იცვალა). შესაძლებელია მოწაფეებმა უცებ ვერ გასცენ პასუხი კითხვას, რა „დაემართათ“ სიტყვებს, მასწავლებელი ეხმარება სასურველ პასუხამდე მისვლაში.
- მასწავლებელი: სიტყვას, რომელმაც დააკავშირა დანარჩენი სიტყვები და დაეხმარა წინადადებად ქცეულიყვნენ, ზმნა ჰქვია.

15 წუთი

- შემდეგ მოწაფეები წიგნებს გადაშლიან და დამოუკიდებლად წაიკითხავენ პარაგრაფის ტექსტს „წინადადება“.
- მასწავლებელი კითხვებით ამოწმებს, როგორ გაიგეს წაკითხული.

10 წუთი

- იმისათვის, რომ მოსწავლეებმა თვალნათლივ დაინახონ ინტონაციის სწორად შერჩევის აუცილებლობა, შესაძლებელია, მასწავლებელმა რაიმე წინადადება თქვას გაუგებრად, არასწორი ინტონაციით ისე, რომ აზრი ვერ გამოიტანონ მოწაფეებმა. შემდეგ ჰკითხოს, რატომ ვერ გაიგეს ნათქვამი, ამის შემდეგ დასკვნას ბავშვები ადვილად გამოიტანენ; რასაკვირველია, მასწავლებელი დაამატებს იმ ინფორმაციას, რაც სახელმძღვანელოშია მოცემული.

7 ნუთი

- სწორად წარმოთქმისა და მეტყველების განვითარებისთვის, ასევე, რაც მთავარია, ტექსტში ავტორის სათქმელის ამოცნობისა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის ჩამოსაყალიბებლად, მასწავლებელი კლასს სთხოვს გადაშალონ წიგნი უკვე შესწავლილ იოსებ ნონეშვილის ლექსზე „ჩვენი ქართული — სიტყვაქარგული“. შემდეგ მოსწავლეებმა წიგნშივე ფანქრით გააკეთონ მონიშვნები — რომელი სტროფი ან სტრიქონი როგორ უნდა წაიკითხონ, სად უნდა შეჩერდნენ (პაუზა)... ანუ შეადგინონ „კითხვის პარტიტურა“ (დაახლოებით ისე, როგორც რემარკებია დრამაში, თავიდან მასწავლებელი დაეხმარება, უჩვენებს, როგორ გააგრძელონ მუშაობა), მოწაფეები შეეცდებიან თავიანთი შენიშვნების მიხედვით წაიკითხონ ტექსტი. შემდეგ კლასში გაანალიზდება.

13 ნუთი

## **საშინაო დავალება**

- სახელმძღვანელოში მოცემული ორი სავარჯიშო;
- შეადგინონ ერთი საყვარელი ლექსის „კითხვის პარტიტურა“.

## **გაკვეთილი X**

### **გაკვეთილის თემა:**

ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“

### **გაკვეთილის მიზანი**

- ტექსტზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომუშავება;
- ტექსტის გაგება-გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- მუშაობა ტექსტების შედარება - შეპირისპირების უნარ- ჩვევის ჩამოყალიბებაზე;
- წერის უნარის განვითარება.

## **აქტივობები**

- მწერლის სათქმელის ამოცნობა ტექსტში;
- მხატვრულ სახეებზე მუშაობა;
- სათაურის შერჩევაზე მუშაობა;
- კითხვარის დამუშავება;
- ორი ტექსტის შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი;

## **საჭირო რესურსები**

სახელმძღვანელო

## **შეფასების ფორმა**

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე (განმავითარებელი შეფასება).

## **გაკვეთილის მსვლელობა**

- ახალი მასალის ახსნამდე მასწავლებელი კიდევ ერთხელ გაამახვილებინებს მონაფეებს ყურადღებას ოთარ ჭილაძის ლექსის მთავარ სათქმელზე: „დღეს შენ ხარ და დღეს შენი ბრალია, რაც შეემთხვევა: კარგიც და ცუდიც“. იმსჯელებენ, რა პასუხისმგებლობა აკისრია ადამიანს საკუთარი ქალაქის, ქვეყნის წინაშე.

10 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას ყაყაჩო და სთხოვს ჯგუფებს, შეურჩიონ ეპითეტები, ჰერიტაჟს, რას აგონებთ, შეადარონ სხვა საგანს ან მოვლენას (შერჩეული მხატვრული სახე უნდა გამოხატავდეს მონაფის დამოკიდებულებას, მისეულ ხატს უნდა წარმოადგენდეს); მონაფეები წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს;
- შემდეგ მასწავლებელი კითხულობს ლადო ასათიანის ლექსს „კრწანისის ყაყაჩოები“ (სათაურის გარეშე). უსვამს კითხვას კლასს, მოეწონათ თუ არა ლექსი. შემდეგ ეკითხება, როგორ დაასათაურებდნენ ამ ლექსს. პასუხები იწერება დაფაზე. მონაფეები ხსნიან, რატომ დაასათაურეს ლექსი ამგვარად.
- შემდეგ მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას სამასი არაგველის შესახებ, რომ ლექსი მათ ხსოვნას ეძღვნება და ჰერიტაჟს, ხომ არ დააზუსტებდნენ თავიანთ სათაურებს (იწერება დაფაზე);
- მასწავლებელი გაუმხელს მონაფეებს ლექსის ნამდვილ სათაურს და ნაწარმოებზე დაყრდნობით სთხოვს მონაფეებს, ახსნან, რატომ უნდა მწერალმა ლექსს ეს სათაური;

15 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი რომელიმე მოწაფეს აკითხებს ლექსს და გადადის კითხვარის დამუშავებაზე.

15 ნუთი

- მე-6 კითხვაზე ვრცელი პასუხი შესაძლებელია მასწავლებელმა დასაწერად მისცეს სახლში მას შემდეგ, რაც გაკვეთილზე განიხილავენ ამ საკითხს (ტექსტების შედარება-შეპირისპირებაზე მუშაობის ნიმუში მოცემულია ამ წიგნში. იხ. გაკვეთილი VII).

## საშინაო დავალება

- წერილობით გადმოეცით, რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ ანა კალან-დაძისა და ლადო ასათიანის ლექსებს შორის.

## 4. მასწავლებლის ნიგნის დასკვნითი ნაწილი

### სახელმძღვანელოში მოცემული ზოგიერთი ცნობრივი

#### სავარჯოშოს პასუხი

##### 1. სიტყვა და ზესტი (გვ. 13).

**სავარჯიშო 1:** წარბი შეიკრა („გაწყრა“, „გაბრაზდა“), ცხვირი ჩამოუშვას („დალონდეს“), მუხლი მოიყარა („თაყვანი სცა“), შუბლი გაგვეხსენება („გაგვისარდება“), წარბები შეიჭმუხნა („გაწყრა“), ხელს მიქნევდა („მიწვევდა“, „მიხმობდა“), თითი დაუქნია („დაემუქრა“).

##### 2. სიტყვა (გვ. 38).

**სავარჯიშო:** თავხე, მეთაური, თავხედი, მოთავე, სათავე, ციხისთავი, თავმჯდომარე, თავდავიწყებით, რუსთავი, თავქუდმოგლეჯილი, თავმოყვარე, თავპირისმტვრევით, თავქვე.

##### 3. სიტყვის მნიშვნელობა (გვ. 40).

**სავარჯიშო:** დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვები:

- ძალიან, ვჩქარობდი, მივუსწარი;

ბიჭებსაც, იმედი, გადაეწურათ; მატყუარადაც ჩამთვალეს;

მე, ისე, მივდიოდი, მწვრთნელი, მენახა;

ისიც, სხვაგან, წასულიყო, სიტყვა, დაეგდო;

**დამხმარე:** თუმცა, მაგრამ, ვერ, ალბათ, იქნებ, კი, ვერ, რომ, ჯერ, თუმც, და, არც.

სახალისო ამოცანა: თოხი, კიბე, ბეჭედი, ქამარი, მაკრატელი, ქვაბი, ფარი.

#### **4. სიცონიმები (გვ. 44).**

**სავარჯიშო 1:** ხეები (შიშველი); ხმალი (შიშველი); ცხენი (შიშველი); ბარტყი (ტიტველი); ბავშვი (ფეხშიშველი); ახალგაზრდა (პირტიტველი).

**სავარჯიშო 2:** ვარამი — დარდი; უნებურად — თავისთავად; ტანჯვა — წვალება; ეჯავრებოდა — სძულდა; ჯავრი — მწუხარება; განთქმული — სახელოვანი.

**სავარჯიშო 3:** შეეშინდა — გაუსკდა გული; ალაზათიანებდა — ფერს აძლევდა; ეხმარებოდნენ — ხელს უმართავდნენ.

#### **5. სიცონიმების შერჩევა (გვ. 47).**

**სავარჯიშო 1:** ბეწვი; ბალანი; თმა; ბანჯგვლი; ჯაგარი; ბეწვი.

**სავარჯიშო 2:** 1. ცქვიტი; 2. მჩქეფარე.

#### **6. სიცონიმთა შერცემა (გვ. 49).**

**სავარჯიშო 1:** ძალ-ღონე; ჭკუა-გონება; ტოლ-ამხანაგად; წყევლა-კრულვის; ბედ-იღბალს; ციმციმ-კამკამი.

**სავარჯიშო 2:** ძალ-ღონე; ჭკუა-გონება; ტანჯვა-წვალება; შვება-ლხენა; ჭკუა-გონება.

#### **7. ანტონიმები (გვ. 51).**

**სავარჯიშო:** ძველი; ნათელი; დარი; უშნო; მართალი; ნაკლები; ბევრი; ახლოს; გემრიელი; იშვიათად; მაგარი; მშიერი; ცარიელი; ლხინი.

**სახალისო ამოცანა:** თბილი.

#### **8. სიტყვათა ნართოქანა (გვ. 53).**

**სავარჯიშო 1:** ძმა-საძმო, მოძმე, უძმო, ძმობილი, ძმიანი, და-ძმა, ძმაკაცი, საძმაკაცო, დაძმობილება...

**სავარჯიშო 2:** თავშალი, მოხვეული, თავი, ზარი, დაცემული; აბჯარი, ასხმული; გული, ყური, დაკარგული; თავი, გზა, აბნეული; გზა, კვალი, არეული; პირი, ქვე, დამხობილი; ახალი, ფეხი, ადგმული.

#### **9. რთული სიტყვების გართლერა (გვ. 56).**

**სავარჯიშო 1:** ახსნა თითოეულის.

**სავარჯიშო 2:** თვალ-წარბი; ცეცხლმოდებული; ფეხმოკლე; ყურგრძელი; თავშალი; გულგაღელილი.

#### **10. წინადაღება (გვ. 59).**

**სავარჯიშო 1:** ა) ბიჭი ცარცით წერს დაფაზე; ბ) გოგონამ დედას წერილი მისნერა; გ) ბებია ნემსით წინდას კერავს; დ) მხედარმა ცხენს უნაგირი დაადგა; ე) გოგონამ თხას ბალანი აჭამა; ვ) დედამ გოგონას თმაზე ბაფთა გაუკეთა; ზ) ექიმმა თერმომეტრით ბავშვს სიცხე გაუზომა.

**სავარჯიშო 2:** შვილი მამას დაემსგავსა. მოკრივემ მეტოქეს დარტყმა დაასწრო; დღე დღეს მისდევს; გოგონამ ბიჭს საუბარი გაუბა; ბიჭმა მდინარეში შესვლა გაბედა.

### 11. ცინადაღების ცეკვები (გვ. 61).

**სავარჯიშო 1:** მზემ (რამ?) აიწია (რა ქნა?) ფეხის (რის?) წვერებზე (რაზე?). ლექსომ (ვინ?) ქათმებს (რას?) საკენკი (რა?) დაუყარა (რა ქნა?).  
ქალი (ვინ?) ცისკრის (რის?) ზარებმა (რამ?) გამოაღვიძეს (რა ქნეს?).  
ხოლო ხეებმა (რამ?) თელას (რას?) თვალიერება (რა?) დაუწყეს (რა ქნეს?).  
ეს (რომელი?) თამაში (რა?) მე (ვის?) არ მიყვარდა (რას ვშვრებოდი?).  
გველი (რა?) თუ ვინმეს (ვის?) შეხვდა (რა ქნა?) და უკბინა (რა ქნა?).  
ჯავრსა (რას?) ნუ მაჭმევთ (რას იზამთ?) მტრისასა (ვისას?).  
მე (ვინ?) კი მაშინვე (როდის?) ეზოს (რას?) მივაშურე (რა ვქენი?).

### 12. მარტივი და რთული ცინადაღება (გვ. 63).

**სავარჯიშო 2:** ა) შედგება ძირითადად რთული წინადაღებებისგან.  
ბ) გამოტოვებული ზმნა: „მარჯვნით — ნესტან-დარეჯანი“ (ეჯდა).  
„ცალ-ცალკე და ყველა ერთად — სიცოცხლე და ნეტარება“ (იყო).  
გ) ხშირად მთავრდება ძახილის ნიშნით — იმიტომ, რომ გრძნობის, ემოციის გამომხატველი წინადაღებებია.

### 13. სრული და უსრული ცინადაღება (გვ. 65).

**სავარჯიშო 1:** ხომ არ გინდა (მენ), რომ დაეჭიდო (შენ მას)?  
— ვის (დავეჭიდო მე)?  
— იმ პატარა ბიჭს (დაეჭიდო შენ).  
— რად უნდა დავეჭიდო (მე იმ პატარა ბიჭს)?  
— თუ მოერევი (მენ იმ პატარა ბიჭს)?  
— რატომ ვერ მოვერევი (მე იმ პატარა ბიჭს)?  
— ღონიერია ის პატარა ბიჭი და იმიტომ (ვერ მოერევი შენ იმ პატარა ბიჭს).

### 14. სიტყვათა ძირითადი კლასები ანუ მატყველების ნაწილები (გვ. 75).

**დავალება:** არსებითი — მეფე, ღმერთი, მეომარი, ძე, მეფე, ასული, სოფელი, მნათი, მზე, გული, გონება, სული, ბრძენი, ენა...

ზედსართავი — სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი... უებრო, ლალი, წყნარი, ამაო...

ზმნა — იყო, ესვა, ხამს, არს, გაიზარდა, გაივსო, იხმნა, ზის, დაისხნა, დაუწყო...

### 15. არსებითი სახელი (გვ. 78).

**სავარჯიშო 1:** შირვანი, შაჰი, კაცი, ქვეყანა, მომჩივანი, გლახაკი, სამეფო, კაცი, ფრინველი, მხეცი, ენა.

**სავარჯიშო 2:** წარბები აძგიბა; თვალები მოჭუტა; წამნამები დააფახულა;

ცხვირი აიბზუა; ფეხები გაჭიმა; ყურები დაცქვიტა; პირი მოკუმა; კისერი წაიგრძელა; შუბლი შეიკრა; თითები გაფარჩხა; მხრები აიჩეჩა.

### 16. პრუნება (გვ.82).

#### სავარჯიშო:

სახლი	აგური	სოფელი	კედელი
სახლმა	—	სოფელმა	კედელმა
—	აგურს	—	—
სახლის	აგურის	სოფლის	კედლის
—	აგურით	—	—
სახლად	აგურად	—	—
—	—	სოფელო	—

### 17. ზედსართავი სახელი (გვ. 93).

**სავარჯიშო:** ყურები — გრძელი; რქები — მაღალი; კუდი — გრძელი; კისერი — გრძელი; მილი — გრძელი; ცხვირი — გრძელი; შუბლი — მაღალი.

### 18. რიცხვითი სახელი (გვ.97).

**სავარჯიშო 1:** ურიცხვი... სათამაშო; ბევრი ქვეყანა; ზოგიერთი ეპიზოდი; თითო-ოროლა კვერცხი; ბევრი შეცდომა; ოთხივე... მისცვივდა.

**სავარჯიშო 2:** ერთ, ას (მიც.); ორი (ნათ.); ერთი (ნათ.), ცხრა (მოთ.); ერთმა (მოთ.), ასი (სახ.); ერთსა (ნათ.), თორმეტი (სახ.).

### 19. ნაცვალსახელი (გვ.99).

#### სავარჯიშო:

მე (Iპ, მხ.რ); ისინი (IIIპ, მრ.რ); მე(Iპ, მხ.რ);  
შენ (IIპ, მხ.რ); ჩვენ(Iპ, მრ.რ); თქვენ(IIპ, მრ.რ);  
იგი(IIIპ, მხ.რ); მან(IIIპ, მხ.რ).

### 20. კუთვნილებითი ნაცვალსახელი (გვ.103).

**სავარჯიშო:** იმისმა (მხრებმა); თავიანთი (ეზოსკენ); თავისი (მოსაზრებით); ჩემს (ძმას); ჩემს (გუნებაზე); იმისი (მტერობა); ჩვენს (ჭერამთან); თავიანთი (სირცხვილი); თავისი (ხმის); თავიანთ (შვილებს); თავისი (ხელით).

### 21. მოქმედება და მოქმედი პირები (გვ.107).

**სავარჯიშო 1:** მიუყვანა (მოქმ.), მოქმ.პირები: მამამ შვილი გადიას; ჩაიკრა (მოქმ.), გადიამ ბიჭი (მოქმ. პირ.); დაემშვიდობა (მოქმ.), ბიჭი, მამას (მოქმ. პირ.); წავიდა (მოქმ.), მამა (მოქმ. პირ.); ეპარება (მოქმ.), კატა, თაგვს (მოქმ.პირ.); დააგდებინა (მოქმ.), ძალმა, კატას, თაგვი (მოქმ.პირ.); გადაუხადა (მოქმ.), თაგვმა, ძალლს მადლობა (მოქმ.პირ.); გაიბუტა (მოქმ.) კატა(მოქმ.პირ.).

**სავარჯიშო 2:** ჰყავს (ველოსიპედი), აქვს (აკვარიუმი); აქვს (წყალმცენარეები), ჰყავს (თევზები); ჰყავს (ცხენი), აქვს (უნაგირი); აქვს (ფაფარი), ჰყავს (რწყილე-

ბი); ჰერცოვინა (ძალლი), აქვს (ბუდრუგანა); ჰერცოვინა (ლეკვები), აქვს (საჭმელი); მოჰერცოვინა (ცხენი), მოჰერცოვინა (მანქანა); მოჰერცოვინა (მგზავრები), მოაქვს (ხურჯინი); წაიყვანა (ველოსიპედი), მოიტანა (მხრით); მოაქვს (მწვანილი) ბაზრიდან, მოჰერცოვინა (ბოსტანში).

## ღ ა ნ ა რ თ ი

### ტ ე ს ტ ე ბ ი

#### ლექსიკური და გრამატიკული მასალის ცოდნის შესამოწმებელი ტესტი

##### ნაწილი I

###### ლექსიკა

1) იპოვეთ ფრაზის „პირი დაალო“ სინონიმური შესატყვისი  
(შემოხაზეთ ამ სიტყვის შესაბამისი ციფრი):

1. გაუკვირდა
2. შეწუხდა
3. ეწყინა
4. ატირდა

2) რომელი სინონიმური შესატყვისით შეიძლება ჩავანაცვლოთ  
ნინადადებაში გამოყენებული ხატოვანი გამონათქვამი?

ზურაბ ქართველაძის ცოლს ოქრო გული ჰქონდა.

1. ძვირფასი გული
2. კეთილი გული
3. მგრძნობიარე გული
4. მოსიყვარულე გული

3) ჩამოთვლილთაგან რომელი სიტყვაა მიღებული სინონიმების  
შენიჭვილებით?

1. და-ძმა
2. სახლ-კარი
3. უივილ-ხივილი

4. ცოლ-ქმარი
- 4) იპოვეთ სიტყვა „ნალვლიანის“ ანტონიმი:
1. დარდიანი
  2. აფორიაქებული
  3. სევდიანი
  4. ხალისიანი
- 5) იპოვეთ ანტონიმური წყვილი:
1. შვება — ლხენა
  2. სიყვარული — სიძულვილი
  3. აღელვება — აფორიაქება
  4. მოგონება — გახსენება
- 6) იპოვეთ ხატოვანი გამონათქვამის — „თვალი ზედ დარჩენოდა“ — ანტონიმური ფრაზა:
1. სულ მას უყურებდა.
  2. თვალგაშტერებული იყო.
  3. თვალი გაექცა.
  4. ზედაც არ უყურებდა.
- 7) რომელ წინადადებაშია გამოყენებული სიტყვა „მგელი“ გადატანითი მნიშვნელობით?
1. მგელმა ფარიდან ცხვარი მოიტაცა.
  2. ადამიანი ადამიანისათვის მგელია.
  3. დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამს.
  4. მგლის ნაშიერსაც ლეკვი ჰქვია.
- 8) რომელ ფრაზაშია გამოყენებული სიტყვა „ტკბილი“ პირდაპირი მნიშვნელობით?
1. ტკბილი ძილი
  2. ტკბილი მოხუცი
  3. ტკბილი ნამცხვარი
  4. ტკბილი მოგონება
- 9) რა მნიშვნელობით არის სიტყვა „მეცადინეობა“ ამ წინადადებაში გამოყენებული?
- ნაიბმა კარგად იცოდა ზურაბის წადილი და მეცადინეობა.
1. სწავლა-განათლება
  2. სიბრძნე
  3. მონდომება, მცდელობა

4. სახელგანთქმულობა

**10) რომელ წინადადებაშია გამოყენებული სიტყვა „გზა“ გადატანითი მნიშვნელობით?**

1. მასწავლებელმა მოწაფე სწორ გზაზე დააყენა.
2. სოფელში ახალი გზა გაიყვანეს.
3. ბავშვს გზა აერია.
4. ისე ბნელოდა, რომ გზა საერთოდ არ ჩანდა.

**11) რომელია რთული სიტყვა?**

1. ნართვლევი
2. დოინჯშემოდგმული
3. თიხიანი
4. დაფეთებული

**12) რას ეწოდება მიმიკა?**

1. სახის ნაკვთების მოძრაობას
2. სხეულის ნაწილების მოძრაობას
3. ნაწარმოების მთავარ აზრს
4. უხმო დიალოგს

**13) რა არის ლექსიკა?**

1. პოეტური ნაწარმოები
2. ენის სიტყვათა მარაგი
3. ენის გასატეხი
4. მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვა

**14) რომელია ხატოვანი გამონათქვამი?**

1. ენა დაეწვა
2. ენაზე წამალი დაიდო
3. ენის წვერზე ადგას
4. ენა შეისწავლა

**15) ინტონაცია არის:**

1. ბრძანებითი წინადადება
2. წინადადების გამოთქმის თავისებურება
3. დასრულებული აზრი
4. სასურველი აზრი

**ნაცილი ॥**  
**გრამატიკა**

**16) რომელია დამოუკიდებელი სიტყვა?**

1. მაგრამ
2. ხოლო
3. მთვარე
4. თურმე

**17) რომელ წინადაღებაშია გამოყენებული დამხმარე სიტყვა?**

1. მე ავად გახლდით.
2. თქვენ ხომ კარგად ხართ?
3. დილით დაუბერა ქარმა.
4. ძვირფასი სტუმარი გვეწვია!

**18) რომელ წინადაღებაშია გამოყენებული მიმართვის ნეიტრალური ფორმები?**

1. შემოდი და დაჯექი!
2. მობრძანდით, დაბრძანდით!
3. დაეტიე შენს ადგილას!
4. გაეთრიე ახლავე გარეთ!

**19) რომელი რთული სიტყვა იწერება დეფისით?**

1. თავგადასავალი
2. წერაკითხვა
3. ფეხშიშველა
4. ნაცარქექია

**20) რომელი რთული სიტყვაა დაწერილი არასწორად?**

1. წირვა-ლოცვა
2. ხელ-პირი
3. თავ-შიშველა
4. ერთ-ერთი

**21) როგორ უნდა დაიწეროს რთული სიტყვები, რომლის შემადგენელი ნაწილებიც „და“ კავშირის საშუალებით შეიძლება შევაერთოთ?**

1. ცალ-ცალკე
2. დეფისით

3. ტირეთი
4. ერთად

**22) იპოვეთ თხრობითი ნინადადება:**

1. აბა, წავიდეთ
2. ნიკოლოზმა ყიზილბაში დაამარცხა
3. როგორ მოერია ნიკოლოზი ყიზილბაშს
4. მოდით პირი ჩაიტკბარუნეთ

**23) იპოვეთ ბრძანებითი ნინადადება:**

1. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა
2. რატომ ემტერებოდნენ საქართველოს
3. ბიჭო, გულში შური არ შეუშვა
4. ვხედავ ჩემს თავს პატარა სოფელში

**24) იპოვეთ კითხვითი ნინადადება:**

1. ნინადადება გამოხატავს დასრულებულ აზრს
2. არ გაბედო ტყუილის თქმა
3. გორგასალი მეფობდა V საუკუნეში
4. რომელი ლექსი განადიდებს ვახტანგ გორგასალს

**25) იპოვეთ კითხვითსიტყვიანი კითხვითი ნინადადება:**

1. მნიშვნელოვანი რამ გამოგრჩათ?
2. სწორადაა აბზაცები გამოყოფილი?
3. როგორ შეხვდი ახალ წელს?
4. ახალ წელს სახლში იყავი?

**26) რომელ ნინადადებაშია გამოყენებული დამხმარე (დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე) სიტყვა?**

1. წადი, პური მოიტანე!
2. წადი და სწრაფად დაბრუნდი!
3. წადი, ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცეს!
4. ღმერთმა მშვიდობით გატაროს!

**27) რომელ დიალოგშია გამოყენებული სრული (ანუ ყველა მთავარი წევ-რის შემცველი) ნინადადებები?**

1. — რატომ გიჯავრდება დედა?  
— დედა იმიტომ მიჯავრდება, რომ ფაფას არ ვჭამ.
2. — ვინ დაწერა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“?  
— ილიამ.
3. — გუშინ კინოში იყავით?  
— დაგვაგვიანდა და კინოში ვეღარ წავედით.

4. — ილიას ზღაპრებს დედა უამბობდა?  
— არა, ილიას ზღაპრებს მამა უყვებოდა.

**28) იპოვეთ მარტივი წინადადება:**

1. იქნებ მე თვალი მაბრმავებს, ზეცა მატყუებს კრიალა?
2. თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა!
3. ურიალი ხომ არ მოგესმათ ოჟა ჯურხაის ფარისა?
4. დღეს შენ ხარ და დღეს შენი ბრალია, რაც შეემთხვევა, კარგიც და ცუ-დიც.

**29) იპოვეთ რთული წინადადება:**

1. სიკეთით უნდა სძლიო მტერს.
2. მარაბდის ომში ცხრა ძმა ხერხეულიძემ გაწირა თავი.
3. მზემ აიწია ფეხის წვერებზე.
4. ასეთი დარი თუ იყო მაშინ, ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

**30) იპოვეთ რთული წინადადება, რომელშიც გამოტოვებული ზმის ნაცვლად ტირე უნდა დაიწეროს:**

1. რით გათავდა ეს ომი, ამის ამბავი გრძელია.
2. ღიმილი ჯადოსნური ჰქონია, სიტყვა-პასუხი ტკბილი.
3. ისეთი ყმანვილი კაცები დახოცა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა.
4. ეს სირცხვილი როგორ ვჭამოთ, შინ რა სახელითლა მივიდეთო.

II

ლექსიკური და გრამატიკული გასაღის  
ცოდნის შესამონვაზე ტესტი

ნაწილი I

ლექსიკა

- 1) იპოვეთ წინადადება, რომელშიც ანტონიმური წყვილია მოცემული:
  1. ჭირსა და უბედურებას დმერთმა გადაარჩინა.
  2. ჭირი არ წავა უჭიროდ, თუ ჭირის დედა მრთელია.
  3. ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა.
  4. ჭირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.
- 2) რას იტყვიან ალერსიანად, სასიამოვნოდ მოლაპარაკებები?
  1. პირზე რძე არ შეშრობია.
  2. პირი წყლითა აქვს სავსე.
  3. პირიდან თაფლი გადმოსდის.
  4. პირზე ცეცხლი უკიდია.
- 3) რას ნიშნავს გამონათქვამი „პასუხი აგო“?
  1. უპასუხა
  2. მიუგო
  3. დაისაჯა
  4. სთხოვა
- 4) რომელია ერთი და იმავე ფუძისაგან შედგენილი რთული სიტყვა?
  1. კარ-ფანჯარა
  2. მინდორ-მინდორ
  3. მთა-ველი
  4. ზამთარ-ზაფხულ
- 5) რომელია ორი სხვადასხვა ფუძისაგან შედგენილი რთული სიტყვა?
  1. საწუთო
  2. წუთისოფელი
  3. სასოფლო
  4. ნაწარმი
- 6) იპოვე სიტყვა, რომელიც „სახელი“ სიტყვასთან ერთად შექმნის რთულ სიტყვას:
  1. მორცხვი
  2. ურცხვი

3. გატეხილი
4. მოლებული

**7) რა არის „სენი“?**

1. მცხუნვარება
2. ბედნიერება
3. უბედურება
4. ავადმყოფობა

**8) რომელია ხატოვანი გამონათქვამი?**

1. მინდორს ცეცხლი მოედო.
2. სახლს ცეცხლი მოედო.
3. გულზე ცეცხლი მოედო.
4. თივას ცეცხლი მოედო.

**9) როგორ კაცზე იტყვიან „ყიამყრალიაო“?**

1. რომელსაც ცუდი სუნი უდის.
2. რომელსაც გრძელი ცხვირი აქვს.
3. რომელსაც ცუდი ენა აქვს.
4. რომელსაც კბილები აქვს ჩამტვრეული.

**10) რომელი სინონიმით შეცვლიდით გამონათქვამს: „სიტყვა დაუგდო“?**

1. უბრძანა
2. დაუბარა
3. მოახსენა
4. განაცხადა

**11) იპოვეთ სიტყვა, რომელიც „გული“ სიტყვასთან ერთად ქმნის რთულ სიტყვას:**

1. გაკრეფილი
2. წასული
3. აშენებული
4. შეკეთებული

**12) რომელია ერთი და იმავე ფუძის განმეორებით შედგენილი სიტყვა?**

1. სიცილ-ხარხარი
2. გამვლელ-გამომვლელი
3. დილა-საღამო
4. მზიან-მთვარიანი

**13) რომელია ხატოვანი გამონათქვამი?**

1. გრძელი კუდი აქვს

2. კუდს მიწაზე დაათრევს
3. კუდით თავს იწონებს
4. კუდით ქვა ასროლინა

**14) იპოვეთ „ქება“ სიტყვის ანტონიმი:**

1. მოფერება
2. ლანძღვა
3. ძაგება
4. დაყვირება

**15) რას ნიშნავს სიტყვა „თავლაფდასხმული“ ?**

1. თავდაუბანელს
2. პირდაუბანელს
3. შერცხვენილს
4. სახელგანთქმულს

## ნ ა ნ ი ლ ი ॥ გ რ ა მ ა ტ ი კ ა

**16) რომელია ჩამოთვლილთაგან ზედსართავი სახელი?**

1. ხუთი
2. ვარსკვლავი
3. ცისფერი
4. გამარჯვება

**17) რომელია ჩამოთვლილთაგან არსებითი სახელი?**

1. ყვითელი
2. რვა
3. წერს
4. თარო

**18) იპოვეთ არსებითი სახელი, რომელსაც დაესმის კითხვა „ვინ“?**

1. გედი
2. მზე
3. ასული
4. ალვა

**19) რომელ შემთხვევაშია სწორად გამოყოფილი ფუძე და ბრუნვის ნიშანი სიტყვაში?**

1. ხელ-მწიფე-დ
2. ხელმწი-ფედ

3. ხელმწიფე-დ
4. ხელმწიფ-ედ

**20) რომელი სახელია მოცემული ძველებური მრავლობითის ფორმით?**

1. ვეზირები
2. მეფენი
3. მსახურები
4. ქვეყნები

**21) რომელია თანდებულიანი სიტყვა?**

1. ბაღმა
2. თაგვით
3. ველზე
4. მთათა

**22) იპოვეთ არსებითთან ერთად ზედსართავის ბრუნების არასწორი ფორმა:**

1. ლამაზმა ხოხობმა
2. ლამაზი ხოხბით
3. ლამაზო ხოხობო
4. ლამაზ ხოხბის

**23) რომელია განუსაზღვრელობითი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი?**

1. ასი
2. თხუთმეტი
3. მილიონი
4. ურიცხვი

**24) რომელია მეორე პირის ნაცვალსახელები?**

1. მე, ისინი
2. შენ, ჩვენ
3. შენ, თქვენ
4. ის, ჩვენ

**25) იპოვეთ წინადადება, რომელშიც „ის“ ჩვენებითი ნაცვალსახელია:**

1. ის კარგად გამოიყურება.
2. ის გუშინ უნდა წასულიყო.
3. ის არ გამოჩენილა.
4. ის ბიჭი ჩემი კლასელია.

**26) იპოვეთ წინადადება, რომელშიც არასწორადაა გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი:**

1. მეფემ თავისი შვილი ძიძას მიაბარა.
2. ჩვენს ბალს წელს არ მოუსხამს.
3. მეფეები ერისთავებს აზრდევინებდნენ თავის შვილებს.
4. თქვენი სახლი გრილია.

**27) იპოვეთ სუბიექტი წინადადებაში:**

ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს.

1. ქართველსა
2. როგორ
3. გულმან
4. გაუძლოს

**28) იპოვეთ ზმნა, რომელსაც არასრულად აქვს პირები შენყობილი:**

1. მიუთითა — მან, მას , ის
2. შეურიგდა — ის, მას
3. აღმოჩნდა — ის
4. დაუგვიანა — მან, ის

**29) იპოვეთ წინადადება, რომელშიც მიზეზის ზმნიზედაა გამოყენებული:**

1. შენ იმისთვის დაგიძახეს, რომ ის გაელიზიანებინათ;
2. შენ იმიტომ დაგიძახეს, რომ ყველაფერი დაწვრილებით გვიამბო;
3. შენ იმისთვის დაგიძახეს, რომ ცეკვა-სიმღერით გაგვართო;
4. შენ იმიტომ დაგიძახეს, რომ ეს საქმე ყველაზე უკეთ იცი.

**30) იპოვეთ წინადადება, რომელშიც მიზნის ზმნიზედაა გამოყენებული:**

1. აქ იმიტომ მოვედი, რომ წასასვლელი არსად მქონდა;
2. აქ იმისთვის მოვედი, რომ ყველაფერი გულახდილად გიამბო;
3. აქ იმისთვის მოვედი, რომ ასე მირჩიეს;
4. აქ იმიტომ მოვედი, რომ ასე მირჩევნია.

## **მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები**

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები; თბილისი, 2008.
2. სწავლება და შეფასება; თბილისი, 2008.
3. სასწავლო და პროფესიული გარემო; თბილისი, 2008.
4. დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა;  
[http://www.tpdc.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=8115&Itemid=71&lang=ka](http://www.tpdc.ge/index.php?option=com_content&view=article&id=8115&Itemid=71&lang=ka)
5. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; 2007.
6. ტესტური დავალებების შექმნის ხელოვნება; 2009.
7. როგორ ვასწავლოთ აზროვნება; 2008.
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა; 2008.
9. რობერტ ჯ. მარზანო და სხვ., ეფექტური სწავლება სკოლაში; 2009.
10. მასწავლებლის წიგნი — ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში, მაია ფირჩხაძე, მაია ჯალიაშვილი, მანანა რატიანი, ნინო ლომიძე, ნინო ჭიაბერაშვილი, რუსუდან თედორაძე, სოფიკო ლობჟანიძე, 2017. მასტსავლებელი.გე/?ცატ=34&პაგედ=2.
11. მასწავლებლის წიგნი — განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, ანა ჯანელიძე, ვიოლეტა კვირიკაშვილი, ნინო ლაბარტყავა, ქეთევან ქობალია, 2015. მასტსავლებელი.გე/?ცატ=34&პაგედ=2.
12. კითხვის ეფექტური მეთოდები 2 (სასწავლო მეთოდური ფილმი და მისი გზამკვლევი), 2015. მასტსავლებელი.გე/?ცატ=34&პაგედ=2.
13. მასწავლებლის წიგნი — შეფასება: მოსწავლე, გაკვეთილი, შიდა სასკოლო, გიორგი ნოზაძე, თამთა კობახიძე, მაია ინასარიძე, მანანა ბოჭორიშვილი, 2017. მასტსავლებელი.გე/?ცატ=34
14. მასწავლებლის წიგნი — გამჭოლი კომპეტენციები, თამარ მოსიაშვილი, მაია ბლიაძე, მანანა რატიანი, მანანა სეხნიაშვილი, ნატო ინგოროვა, ცირა ბარბაქაძე, 2017. მასტსავლებელი.გე/?ცატ=34
15. როგორ ვასწავლოთ კითხვა, დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის, ნათელა იმედაძე, დალი ფარჯანაძე, მარიამ მირიანაშვილი, 2010. გამოცდების ეროვნული ცენტრი.
16. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, 2010. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
17. ქართული ენა და ლიტერატურა, I-IV კლასები, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, თამარ ჯაყელი, ირინა სამსონია, ნინო დობორჯგინიძე, თინათინ ცერაძე, ქეთევან თოფაძე, მაია ინასარიძე, მაია ლორთქიფანიძე, 2011. ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი.





